www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 11 თებერვალი, 2004 წელი. №34 (583) | ფასი 50 თეთრი

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

შალვა ნათელაშვილი: „ოთხკუთხედ ნივთებზე გართულება მაქვს„

ნათელაშვილი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისგან რუსეთთან არსებული სავიზო რეჟიმის გაუქმებას მოითხოვს. ბატონი შალვას ტონი, როგორც ყოველთვის, არც ახლა გამოირჩევა აკადემიურობით: "მოსკოვში უსაქმო საუბარს და ცერცეტობას, ეგებ, კონკრეტული შედეგი ჩამოგვიტანოს".

A3

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

როგორ გავზარდოთ ქვეყანაში ექსპორტი?

უკანასკნელი რამდენიმე წელიწადია, ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ასეული მილიონი დოლარით იზრდება. გასულ წელს საქართველოს სავაჭრო დეფიციტმა 711 მილიონ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა.

A4

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ერაყელი პარტიზანები ტაქტიკას ცვლიან

გუშინ ერაყში მომხდარმა ახალმა აფეთქებამ 50-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დაშავებულთა რიცხვი კი 150-ს აღემატება. აფეთქება ბაღდადიდან 40 კმ-ის მოშორებით მდებარე შიიტებით დასახლებულ ქალაქ ისკანდარიაში მოხდა.

A5

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

ბარამიძეს კვლავ საბრძოლო განწყობა აქვს

ალბათ, ძნელი გასახსენებელია, ბოლო პერიოდში ძებნილთა დასაპატიმრებლად ჩატარებული სპეცოპერაცია უსისხლოდ დასრულებულიყო. პოლიციის ინფორმაციით, ასეთი ოპერაციის დროს თავდაპირველად სროლას დამნაშავეები იწყებენ, რის გამოც სამართალდამცველები იძულებულნი ხდებიან, მათი ლიკვიდაცია ადგილზევე მოახდინონ...

A7

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

სად არის საწყალი დედა?

არსებობს პაციენტი, რომელსაც რაღაც აწუხებს. არსებობს ექიმი, ამ პაციენტს რომ უნდა უმკურნალოს და, შესაბამისად, წამალი დაუნიშნოს. და ბოლოს, არსებობს აფთიაქი, სადაც ავადმყოფმა მისთვის სასურველი მედიკამენტი უნდა შეიძინოს. მაგრამ, ზოგჯერ დედამ ნამდვილად არ იცის: სად წავიდეს, რა იყიდოს და რომელ ექიმს ენდოს.

A8

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

თბილისი	5
ქუთაისი	7
ბათუმი	7
სოხუმი	4
ფოთი	7
თელავი	3
ზუგდიდი	7
გორი	1
ახმეტა	4
ჭიათურა	4
გაგრა	1
სამტრედია	7

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲚᲐᲠᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ

აშშ დოლარი	2.0600
ევრო	2.6288
გირვანქა სტერლ.	3.8446
რუბლი	0.0723

დღეს სააკაშვილი პუტინს სამეგობროდ გაწვდილ ხელს ჩამოართმევს

სოფო ბუკია

"მე რუსეთს მეგობრობის ხელს ვუწვდი," – საქართველოს პრეზიდენტის "გამოწვდილ ხელს" პირველად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ლოშინინი "გამოეხმაურა", რომელიც გუშინ დომოდედოვოს აეროპორტში "აირზენას" რეგულარულ რეისს დახვდა და საქართველოს პრეზიდენტს ხელი პირველმა ჩამოართვა.

პოლიტიკური ბატალიები საქართველოს პრეზიდენტს დღეს ელოდება, გუშინ კი იგი მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტს ეწვია და სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს საქართველო-რუსეთის შემდგომ ურთიერთობებზე, ფიდელ კასტროსა და მრავალრიცხოვან ჩინელ ტელემაყურებელზე ესაუბრა.

გაგრძელება A3 გვერდზე

სააკაშვილი მოსკოვში ყინულის გასალღობად ჩავიდა.

მნიშვნელოვანი კანონპროექტი, რომელსაც ოპონენტები არ ჰყავს

"აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელება დაეკისრება კოლეგიალური, გუნდური პასუხისმგებლობის მქონე ორგანოს – საქართველოს მთავრობას, რომელიც მთლიანად იქნება პასუხისმგებელი ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე. როგორც აღმასრულებელი ორგანო, იგი იზრუნებს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის განმტკიცების, მისი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისთვის," – ეს ის მოტივაციაა, რომელმაც, სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას თქმით, განსაზღვრა საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტის შექმნა.

თამარ ასათიანი

საკმაოდ დიდი ხანია, აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზებაზე საუბრობენ. გუშინ კი ამ ცვლილების პროექტს უკვე ოფიციალური სახე მიეცა. პარლამენტართა წინაშე ზურაბ ჟვანიამ კანონპროექტის პრეზენტაცია გამართა.

პროექტის მიმართ პარლამენტართა ინტერესი არცთუ დიდი აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტის ბიუროს ოთახში ათიოდე დეპუტატი შეიკრიბა. პრეზენტაციას არ დასწრებიან ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები. შესაბამისად, არც ცხარე დებატები გამართულა და, თუ ამ საკითხის აქტუალობას გავითვალისწინებთ, უჩვეულოდ სწრაფად დასრულდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

როცა უკან დასახევი გზები მოჭრილია

საქართველოში კვლავ უმძიმესი ეკონომიკური კრიზისია

თამარ ხორბალაძე

სულ მალე საქართველოს ეკონომიკას ახალი მმართველი გუნდი ჩაიბარებს. ახალი ეკონომიკური გუნდის ვინაობა უკვე ცნობილია (ყოველ შემთხვევაში, გუშინდელი მონაცემებით) - პრემიერის ვინაობა არავისთვის სიახლე არ არის, ვიცე-პრემიერი - ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი იქნება, ენერგეტიკის მინისტრი - ნიკა გილაური, ინფრასტრუქტურისა და ურბანიზაციის მინისტრი - ანა ახალკაცი, ეკონომიკის მინისტრი - ირაკლი რეხვიაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი - მიხეილ მაჭავარიანი. მინისტრთა კაბინეტის შექმნის იდეასა და შემდეგ ამ კაბინეტისთვის კანდიდატურების შერჩევის ხმაურიან პროცესში უკანა პლანზე გადაინაცვლა და თითქოს "მიიფარცხა" ის პრობლემები, რომელიც ქვეყნის ეკონომიკაშია შექმნილი და რომელიც რეალურად იქცა კიდევაც საქართველოს აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ ვარდების რევოლუციის მოწყობის ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად.

გაგრძელება A4 გვერდზე

რიბკინის დროებითი გაუჩინარება: წინასაარჩევნო ტაქტიკა?

14 მარტს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთი კანდიდატი ივან რიბკინი ოთხდღიანი გაუჩინარების შემდეგ გამოჩნდა. იგი კიევში, მეგობრებთან იმყოფებოდა. საინტერესოა, რომ მისი გაუჩინარების ირგვლივ აგორებულ აჟიოტაჟს იგი მხოლოდ ახლა გამოეხმაურა. რიბკინის დროებითი გაუჩინარების შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს. ერთი ვერსიის მიხედვით, ყოველივე ეს კარგად დაგეგმილი წინასაარჩევნო ხერხია. რიბკინი, რომელსაც საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მინიმალური შანსიც კი არა აქვს, ბოლო დღეებში მართლაც მოექცა რუსული თუ საერთაშორისო მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში. "უოლ სთრით ჯორნალმა" გამოაქვეყნა მისი სტატია, სადაც რუსეთის პრეზიდენტის პოლიტიკა მკაცრადაა გაკრიტიკებული. "მოსკოვსკიე ნოვოსტიმ" კი "გაუჩინარებამდე" აღებული ინტერვიუ დაბეჭდა. უფრო ადრე, რიბკინმა ცენტრალური რუსული გაზეთის "კომერსანტის" ერთი გვერდი სარეკლამო უფლებით შეისყიდა და პუტინის საწინააღმდეგო სტატია გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, თუ რა მიზნებს ემსახურებოდა რიბკინის "გაუჩინარება", საინტერესოა ის კონკრეტული ბრალდებები, რომელსაც რიბკინი რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების კრიტიკისას ეყრდნობა.

დავით აფრასიძე

"უოლ სტრიტ ჯორნალში" გამოქვეყნებულ სტატიაში რიბკინი რუსეთის მოსახლეობასა და საერთაშორისო თანამეგობრობას პუტინის იმ დაპირებებს ახსენებს, რომლის წყალობითაც დღევანდელი პრეზიდენტი 2000 წელს კრემლს დაეპატრონა. უმთავრესი დაპირება, რიბკინის მიხედვით, რუსეთის ზესახელმწიფოს აღორძინება იყო. მისი აზრით კი, რუსეთის ძლიერება ახლა მხოლოდ კრემლის მასხარებისა და ნაციონალისტი შოვინისტების ბოდვაში გამოიხატება.

გაგრძელება A5 გვერდზე

ივან რიბკინი გამოჩნდა.

ᲐᲕᲘᲐᲑᲔᲘᲢᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲓᲔᲑᲐ

გიორგი ასანიშვილი

"აირზენასა" და "ბრიტიშ ეირვეისის" გახმაურებული დავა გუშინ კიდევ ერთხელ მოექცა პარლამენტარების ყურადღების ცენტრში. თითქმის მივიწყებული სკანდალის ხელახალი ამოტივტივების მიზეზი გახდა საკანონმდებლო ორგანოში სარატიფიკაციოდ გამოტანილი "საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმება". საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კახა სიხარულიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის დამტკიცების წინააღმდეგ ერთხმად გაილაშქრეს დეპუტატებმა ზვიად მუკბანიანმა და ირაკლი გოგავამ.

მათი განცხადებით, პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვა მანამდე არ უნდა დაწყებულიყო, ვიდრე საკომიტეტო მოსმენა არ მოეწყობოდა და რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა პროცედურული ნორმები არ იქნებოდა დაცული.

გაგრძელება A2 გვერდზე

კანონიერი ქურდები კახელ პოლიციელებს აფრთხილებენ

ზვიად რუაძე
კახეთიდან

კახეთის რეგიონის ძალოვანებსა და შავ სამყაროს შორის დაპირისპირება მწვავდება. რამდენიმე დღის წინ, სიღნაღის პოლიციის უფროსს გოჩა ღვედაშვილს და სამძებრო განყოფილების უფროსს სოსო ციციშვილს ადგილობრივმა კრიმინალურმა ავტორიტეტებმა, გაფრთხილების მიზნით, ორი კუბო გაუგზავნეს.

გაგრძელება A7 გვერდზე

ახალი კომისია ტყის "გამჩეხების" წინააღმდეგ

თამარ დვალი

"ბაგებში, წყნეთსა და ვაკის პარკის ტერიტორიებზე ნარგავების გაჩეხვას ბოლო უნდა მოეღოს. უკანონოდ აგებული ყველა შენობა უნდა დაინგრეს, ან მეპატრონეებმა დიდი ოდენობის ჯარიმა გადაიხადონ. დამნაშავეები უნდა დაისაჯონ,"- აცხადებდნენ გუშინ საკრებულოში შეკრებილი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და საკრებულოს წევრები.

"ვაკის პარკის ტერიტორიაზე, იჯარის წესით, ნუგზარ შევარდნაძეს სამი ათასი მეტრი მიწის ნაკვეთი აქვს აღებული. მან ეს ადგილი შემდეგ ნაწილ-ნაწილ გასცა სხვებზე. ნაძვების გაჩეხვის ხარჯზე, ვაკის პარკის ტერიტორიაზე შენდება ორი საელჩო," – განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლებრივი საქართველოს" წევრმა ლეილა გაფრინდაშვილმა.

ბაგების ტყის გაჩეხვასთან დაკავშირებით ვიდეო და ფოტო მასალა წარმოადგინა არასამთავრობო ორგანიზაცია "ბაგების" თავმჯდომარემ ნაირა ხუციშვილმა. **"ორ ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი კომერციული ბინათმშენებლობისთვის, შპს "ა და დ" - ზეა გაცემული, ნაწილიც ასოციაცია "მრევლის" საკუთრებაშია. ბაგების ტერიტორიის ნახევარი ეკუთვნის გარდაბანს, ნაწილი - ქალაქის მერიას.**

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 პროექტი | A7 სამართალი | A8 საზოგადოება

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

ავიაგეიტი გრძელდება

პირველი გვერდიდან

პარლამენტმა ვერ შეძლო, ანტიკორუფციული პაკეტის განხილვა დაეწყო.

ოპოზიციონერი დეპუტატების პრეტენზიების გამო გაოცებას ვერ მალავს მათი კოლეგა ჰამლეტ ჭიპაშვილი. იგი შეახსენებს მუკბანიანს, რომ დოკუმენტი უკვე თვეების განმავლობაში დევს საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტში და თუ მისი განხილვის სურვილი ექნებოდა, კომიტეტის თავმჯდომარეს ამაში ვერავინ შეუშლიდა ხელს. მით უმეტეს, ჯერ კიდევ ორი თვის წინათ კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გივი შუღაროვი დაბეჯითებით აცხადებდა, რომ საქართველო-დიდი ბრიტანეთის სამთავრობოთაშორისო შეთანხმების საკითხს კომიტეტი ერთი კვირის განმავლობაში აუცილებლად განიხილავდა.

ჭიპაშვილი აღნიშნავს, რომ თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა "უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებითაც. მისი საკომიტეტო მოსმენა და პლენარულ სხდომაზე გატანაც ასევე ჭიანურდება.

ჭიპაშვილის მტკიცებას, რომ ორივე დოკუმენტისთვის მსვლელობის მიცემა ხელოვნურად ფერხდება, ემატება კობა ამირხანაშვილის ვარაუდი, რომ ყოველივე ამის უკან გარკვეული ძალების ბიზნეს-ინტერესები დგას და საკითხების განხილვაც ამიტომ გაიწელა. თავის მხრივ, ნათელა პატარქალიშვილი მიიჩნევს, რომ თუ შეთანხმება ჩაიშლება, ეს მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთების კომერციული ინტერესების გამო მოხდება.

მიუხედავად მუკბანიანისა და გოგავას წინააღმდეგობისა, საქართველო-დიდი ბრიტანეთის სამთავრობოთაშორისო შეთანხმების ირგვლივ მსჯელობა გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მაინც დაიწყო. ამის შემდეგ ოპოზიციურმა ტანდემმა უკვე უშუალოდ დოკუმენტის წინააღმდეგ გაილაშქრა. მუკბანიანის თქმით, საქართველო დიდ ბრიტანეთთან კაბალურ ხელშეკრულებას აფორმებს და ამით ქართველი ავიაგადამზიდების უფლებები და ინტერესები ილახება. ირაკლი გოგავა კი ირწმუნება, რომ შეთანხმების რატიფიცირების შემთხვევაში, საქართველოს ბიუჯეტს ხუთი მილიონი ლარი დააკლდება.

კამათში ჩაბმული ზურაბ ტყემალაძე დოკუმენტის წარმომდგენთაგან იმის აღიარებას მოითხოვს, რომ შეთანხმების რატიფიცირებით ბრიტანული ავიაკომპანიის დავალიანების ჩამოწერა ხდება. ამასთან დაკავშირებით, კახა სიხარულიძე შენიშნავს, რომ თუ დოკუმენტის რატიფიცირება მოხდება და დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობები საერთაშორისო სამართლის ნორმებით დარეგულირდება, მაშინ დავალიანების საკითხიც გაცილებით იოლად მოწესრიგდება.

საკითხს სხვა ჭრილში განიხილავს კობა ამირხანაშვილი. მისი განცხადებით, როდესაც "აირზენა" კონკურენციის თანაბარ პირობებს ითხოვს, მომსახურებაც შესაბამისი უნდა ჰქონდეს. დეპუტატის თქმით კი, ქართული ავიაციის ფლაგმანს ფასები არნახულად მაღალი აქვს, სერვისი კი - უვარგისი.

განხილვა გუშინ ისე დასრულდა, რომ მხარეები კონსენსუსამდე ვერ მივიდნენ. "მტყუან-მართალს" კენჭისყრა გაარკვევს, რომელიც პარასკევს გაიმართება.

მასმედია - პარლამენტარების "ყურადღების" ქვეშ

ლევან თედიაშვილმა გაზეთს მიაწერა ის ბრალდება, რომელსაც მის მიმართ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი გამოთქვამს.

პარლამენტარებს ცნობისმოყვარეობა კლავთ და ბევრს მარჩიელობენ იმაზე, თუ რატომ მოხდა, რომ რამდენიმე წამყვანმა ტელეკომპანიამ ერთდროულად შეწყვიტა ღამის საინფორმაციო გადაცემები. ამის გასარკვევად დეპუტატი ირაკლი მინდელი სპეციალური მომხსენებლის დანიშვნას ითხოვს და ამ "თანამდებობაზე" არჩილ გოგელიას კანდიდატურას ასახელებს. მართალია, ეს საკითხი გუშინდელ პლენარულ სხდომაზე კენჭისყრაზე არ დამდგარა, მაგრამ, გამორიცხული არ არის, რომ დეპუტატები ამ თემას მომავალშიც წამოწევენ.

მასმედიის მუშაობა გუშინ ლევან თედიაშვილმაც "გააშუქა". მან აღშფოთება გამოთქვა გაზეთ "24 საათში" 9 თებერვალს გამოქვეყნებული პუბლიკაციის - "ლევან თედიაშვილს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ელის?" - გამო. დეპუტატს, რომელმაც გაზეთი სხვადასხვა ცოდვებში დაადანაშაულა, რატომღაც, არ უხსენებია, რომ მის მიმართ ბრალდებებს გაზეთის კორესპონდენტი კი არა, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ალექსანდრე გიოშვილი აყენებს.

გუშინდელ გამოსვლაში პარლამენტარმა, ძირითადად, თავის სპორტულ დამსახურებებზე და იმ ღვაწლზე ისაუბრა, რომელიც პურით ქვეყნის მომარაგების საქმეში მიუძღვის ამჟამად ძებნილ ბიზნესმენ გივი პოიაშვილს. რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ პუბლიკაციას, მის გამოქვეყნებას ლევან თედიაშვილი გაზეთის ტირაჟის გაზრდის სურვილით ხსნის.

მისი მწვავე გამოსვლის შემდეგ სპორტსმენ-პარლამენტარს მხარდამჭერად მსახიობი-პარლამენტარი მოევლინა. "ვინც ამას აქვეყნებს, არ იცის, ვინ არის ლევან თედიაშვილი," - აცხადებს დიმიტრი ჯაიანი.

24 საათი

ახალშობილის დაღუპვის მიზეზებით პროკურატურა დაინტერესდა

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში ახალშობილის დაღუპვის ფაქტს იკვლევს. 22 წლის გ.რ.-მ 9 თებერვალს, 7.30 საათზე იმშობიარა. ექიმების განმარტებით, დედისა და ახალშობილის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. ამის მიუხედავად, ახალშობილი დაბადებიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. როგორც საოლქო პროკურატურაში აცხადებენ, ჯანმრთელი ახალშობილის დაღუპვის ერთ-ერთ ვერსიად ექიმების დაუდევრობაც განიხილება.

პროკურატურის თანამშრომლებმა საავადმყოფოს მედპერსონალსა და ახალშობილის მშობლებს განმარტებები უკვე ჩამოართვეს. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა ჯანდაცვის სამინისტროდან სპეციალისტთა ქვემო ქართლში გაგზავნას ითხოვს, რომლებიც დაღუპულის ექსპერტიზას ჩაატარებენ. ექსპერტიზის შედეგები და ახალშობილის დაღუპვის მიზეზები, სავარაუდოდ, ორ დღეში გახდება ცნობილი.

მედია-ნიუსი

ახალი კომისია ტყის "გამჩეხების" წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

3 ათას ძირამდე ნაძვი ხელოვნურადაა დაზიანებული - ძირში ნავთი აქვს დასხმული. დაინტერესებულმა პირებმა იმ ადგილებში ტყეს ცეცხლი წაუკიდეს, " – აცხადებს ხუციშვილი. მისივე თქმით, აფხაზეთში ტყვედნამყოფებმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში შეიტანეს საჩივარი, რომლითაც მიწის ნაკვეთით დაკმაყოფილებას ითხოვდნენ. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ ხალხისთვის ტერიტორია გამოეყოთ. **"18 ოჯახზე სულ ორი ჰექტარი მიწის ნაკვეთია გაცემული. მერიის ანტიკორუფციულმა სამსახურმა გამოიკვლია ეს საქმე, მაგრამ პირებს, რომლებსაც ეს ტერიტორია გადაეცათ, ჯერჯერობით ვერ მიაკვლიეს,"** - ამბობს ხუციშვილი.

რაც შეეხება წყნეთს, აქ საქმე უფრო რთულადაა. "წყნეთის ფეოდალად" წოდებულმა შოთა მეფარიძემ რამდენიმე დღის წინათ ახლანდელი გამგებლის გვარი დაასახელა. რევაზ არეშიძესთვის გაურკვეველია, თუ რატომ სახელდება მისი გვარი და აცხადებს, რომ მას თავისი რვათვიანი მოღვაწეობის მანძილზე არათუ არანაირი უკანონობა არ ჩაუდენია, არამედ თავად აღმოაჩინა უამრავი კანონდარღვევა. **"ამ უკანონობას მე გამგებლად დანიშვნამდეც ვებრძოდი. სწორედ ამიტომ მომიგონეს ტყუილი, თითქოს მე გავჩეხე ტყე - ეს სიცრუეა,"** – აცხადებს წყნეთის გამგებელი რევაზ არეშიძე.

სამშენებლო მოედანი ვაკის პარკის ტერიტორიაზე.

დღეიდან საკრებულოში ახლად შექმნილი კომისია დაიწყებს მუშაობას, რომელშიც გაერთიანდებიან არასამთავრობო ორგანიზაციები და საკრებულოს წევრები: მანუჩარ მაჩაიძე, დავით ხუციშვილი და პაატა ჯიბლაძე. კომისიის წევრები აცხადებენ, რომ არანაირ კომპრომისზე არ წავლენ და ყველა აღმოჩენილ კანონდარღვევას პროკურატურას გადასცემენ. მათ ახალი ხელისუფლების მხარდაჭერის დიდი იმედი აქვთ.

რუსეთიდან იმპორტი კიდევ გაიზარდა

გუშინ, "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" (გსეკ) რუსეთიდან დენის იმპორტი 130 მეგავატით გაზარდა. იმპორტირებული დენის ეს მოცულობა დაემატა იმ 200 მეგავატს, რომლის იმპორტსაც ენერგოკომპანია 19 იანვრიდან ახორციელებს.

გსეკ 130 მეგავატ ელექტროენერგიას საქართველოს რეგიონებს საბითუმო ბაზრის მეშვეობით აწვდის. ამის გამო, უკვე შესაძლებელია, ბაზარმა შეზღუდვების პოლიტიკა განაგრძოს და რეგიონებს დენი გადახდის შესაბამისად დადგენილი ლიმიტის მიხედვით მიაწოდოს.

25 იანვრიდან შემოტანილი ელექტროენერგიის საფასური, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი იმპორტირებული დენის ღირებულება, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტიდან დაიფარება. ბანკთან შეთანხმებულია, რომ იმპორტი 19 თებერვლამდე გასტანს. თუ იმპორტის გაგრძელება მომავალშიც საჭირო გახდება, საქართველოს მთავრობას ამ საკითხის ბანკთან დაზუსტება მოუწევს.

გსეკ-ის მმართველ საკონსულტაციო კომპანია "პი-ეი კონსალტინგში" მიიჩნევენ, რომ თუ თანხების მობილიზება ელექტროენერგიის იმპორტზე იგივე მექანიზმით გაგრძელდება, მაშინ გერმანული კრედიტით გამოყოფილი თანხა 25 მარტამდე, ანუ ენგურის სრულ გათიშვამდე ამოიწურება. ბუნებრივია, ამ თანხის იმპორტისათვის მიმართვა ენერგოკომპანიის ინტერესებში არ შედის, რადგან ეს თანხა თავიდანვე ენერგოკომპანიის ტექნიკური რეაბილიტაციისა და გამრიცხველიანებისთვის იყო გათვალისწინებული. ახლა კი ძნელი სათქმელია, როდის მოახერხებენ მის ამოღებას გსეკ-ის რეგიონული ფილიალები.

გსეკ-ის მიერ იმპორტის მოცულობის გაზრდამ და რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის "კავკასიონის" 430 მეგავატით დატვირთვამ გუშინ დილით ხაზის გამორთვაც გამოიწვია. "კავკასიონის" ოპერატორ კომპანია "საქრუსენერგოში" მიიჩნევენ, რომ ხაზის გამორთვის მიზეზი რუსეთის ტერიტორიაზე ქვესადგურ "ცენტრალნაიაში" დამონტაჟებული ავტომატური რეჟიმის ამუშავება გახდა.

ნიკა მარიამიძე

მედიკო მეზვრიშვილი ჩვეულებრივი კრიმინალია

კახეთის გუბერნატორი თამაზ ხიდაშელი აცხადებს, რომ თელავის რაიონის ყოფილ გამგებელს მედეა მეზვრიშვილს მალე პროკურატურაში გამოიძახებენ, "რადგან იგი ჩვეულებრივი კრიმინალია". გუბერნატორის თქმითვე, პროკურატურა სხვადასხვა ფინანსურ მაქინაციებში ეჭვმიტანილი, კიდევ 20-მდე ყოფილი სახელმწიფო მოხელის დაკითხვასაც გეგმავს. "სხვადასხვა ეკონომიკურ დანაშაულებში ეჭვმიტანილებთან გასაუბრების შემდეგ, ყველა გზა მედეა მეზვრიშვილთან და მის უახლოეს მეგობართან, პარლამენტის წევრთან დალი აბაშიძესთან მიდის," - აცხადებს თამაზ ხიდაშელი.

ინტერ-პრესი

ნაწამები ჭარისკაცის მშობლები გალიდან გამოიქცნენ

აფხაზურ ჯარში იძულებით გაწვეული, 19 წლის მანუჩარ გერგედავას ჯანმრთელობის მდგომარეობა შედარებით სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

შეგახსენებთ, მანუჩარ გერგედავამ სამი დღის წინ თვითმკვლელობა სცადა, მაგრამ ახლობლებმა მისი გადარჩენა შეძლეს. გერგედავა ზუგდიდის საავადმყოფოში კრიტიკულ მდგომარეობაში მიიყვანეს.

აფხაზ სეპარატისტთა თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს ოფიციალურ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მანუჩარ გერგედავა იძულებით არავის გაუწვევია და ჯარში წასვლის სურვილი თავად გამოთქვა. სოხუმის მონაცემებით, გერგედავას გარდა, აფხაზურ ჯარში კიდევ ათი ქართველი მსახურობდა და დისკრიმინაციის ან შეურაცხყოფის ფაქტებს არც ერთი მათგანი არ ადასტურებს. აფხაზი სამხედროების თქმით, გერგედავას ხშირად აღენიშნებოდა ეპილეფსიური შეტევები.

მანუჩარ გერგედავა რეანიმაციულ განყოფილებაში გონს ორი დღის შემდეგ მოვიდა და განაცხადა, რომ იგი აფხაზურ ჯარში იძულებით გაიწვიეს და ვინაიდან ქართველი იყო, გამუდმებული დამცირების, წამების და შეურაცხყოფის ატანა უწევდა, რის გამოც თვითმკვლელობა სცადა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორის მოადგილემ მებრძოლი ჭკადუამ განაცხადა, რომ როგორც კი ექიმები ნებართვას მისცემენ, ქართველი სამართალდამცავები გერგედავას დაკითხავენ და საქმეს მსვლელობას მისცემენ.

ამჟამად მანუჩარ გერგედავას მშობლები ზუგდიდში იმყოფებიან, მათ გალის რაიონში დაბრუნების ეშინიათ. მათი თქმით, შესაძლოა, აფხაზები აღნიშნული ფაქტის გახმაურების გამო, მათ გაუსწორდნენ.

მედია-ნიუსი

შალვა ნათელაშვილი: ოთხკუთხედ ნივთებზე გართულება მაქვს

ნათელაშვილს დიდი სადარდებელი აქვს - მისი "გაკეთებული" საქმე სააკაშვილმა არ გააფუჭოს.

ნათელაშვილი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისგან რუსეთთან არსებული სავიზო რეჟიმის გაუქმებას მოითხოვს. ბატონი შალვას ტონი, როგორც ყოველთვის, არც ახლა გამოირჩევა აკადემიურობით: "მოსკოვში უსაქმო საუბარს და ცერცეტობას, ეგებ, კონკრეტული შედეგი ჩამოგვიტანოს".

"ლეიბორისტთა" ლიდერმა მასმედიას აუწყა, რომ რუსეთში თავისი ვიზიტის დროს ჩრდილოელი მეზობელი დაარწმუნა - ეს რეჟიმი, უპირველეს ყოვლისა, თქვენთვის არის საზიანოო. მეტიც, რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში ვალერი ლოშინინს შალვა ნათელაშვილი, თურმე, ამ თემაზე საუბრით ჩამოუცილებია ლიფტთან. ნათელაშვილს ახლა ერთადერთი სადარდებელი რჩება: ვაითუ, მისი გაკეთებული საქმე სააკაშვილმა **"ჩვეული ანტირუსული ისტერიკით გააფუჭოს."**

შალვა ნათელაშვილი უკმაყოფილოა მიხეილ სააკაშვილის ამასწინანდელი ვიზიტით გერმანიაში და აცხადებს, რომ სააკაშვილმა 11-მილიონიანი კრედიტი ენერგეტიკის რესტრუქტურიზაციისთვის და ხალხის სასარგებლოდ კი არა, საკუთარი კლანისთვის ჩამოიტანა: **"ასეთი რესტრუქტურიზაციისთვის 60 მილიონი შევარდნაძემ და სააკაშვილმა უკვე ჩამოიტანეს 6 წლის წინ გერმანიიდან და არც არაფერი რესტრუქტურიზებულა, არც მიცვალებული გაცოცხლებულა, არც შუქი მოსულა"...**

ნათელაშვილის ვერსიით, სააკაშვილს აქვს გეოპოლიტიკური შეკვეთა, რომ საქართველომ რუსეთთან ეკონომიკური და საბაზრო ურთიერთობები გაწყვიტოს, სამაგიეროდ, აქტიური კავშირები გააბას იქ, "სადაც იბეჭდება სოროსის დოლარები": **"თუ გახსოვთ, როდესაც შემოიღეს სავიზო რეჟიმი, ბატონმა რეზო ადამიამ, გაერო-ში ჩვენი ელჩი რომ არის, მეთხილამურე რომ იყო და მერე გახდა ცნობილი გეოპოლიტიკოსი (ბიოლოგიის მთელი ის კურსი, რომელიც ჟვანიამ დაამთავრა, მსოფლიო პოლიტიკის ელიტა გახდა), განაცხადა: აი, საქართველო ახლა გახდა დამოუკიდებელიო."**

გუშინდელ პრესკონფერენციაზე "ლეიბორისტთა" ლიდერი ბევრ ნიჭიერ პოლიტიკოსს დაჰპირდა მომსახურებას "პარტიული სიის ფარგლებში": **"სოციალისტებში მინდელი ირაკლი შესანიშნავი ახალგაზრდა იზრდება, იგივე ზაქრო ქუცნაშვილი, ნუგზარ ნავაძე... ახლებიდან დავით გამყრელიძე, ფიქრია ჩიხრაძე... კიდევ უამრავი პოლიტიკური ფიგურაა, რომელთა გაზრდასაც წლები უნდა. მათი დაკარგვა ქართული პოლიტიკისთვის არ შეიძლება. პარტიული სიის ფარგლებში მოვემსახურებით, მაგრამ ბლოკი ჩვენთან არ გამოვა, ოთხკუთხედ ნივთებზე გართულება მაქვს - ბლოკზე, აგურზე და ა.შ..."**

შალვა ნათელაშვილი იმდენად უკმაყოფილოა პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკით, რომ კრიტიკის ღირსადაც კი არ თვლის. გამონაკლისის სახით, მან უშიშროების საბჭოს ახლადდანიშნულ მდივანს "დასდო პატივი" და ვანო მერაბიშვილის დაწინაურების ფაქტი ამგვარად შეაფასა: **"მერაბ ვანუაშვილის, მაპატიეთ, ვანო მერაბიშვილის იმედზე რომ იქნება უსაფრთხოება ლავრენტი ბერიას ქვეყანაში, ის ქვეყანა შევარცხვინე მე, საკუთარი ოჯახის უსაფრთხოებას ვერ დაიცავს კაცი..."** როცა კაცს საქართველო "ბერიას ქვეყანა" ჰგონია, შეკამათებას აზრი ეკარგება.

ვერიკო თევზაძე

იძებნება... აფხაზეთი!

ჯემალ გამახარია სამშვიდობო ძალების კოდორზე გადაყვანას მოითხოვს.

გუშინ პარლამენტარები აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხზე სამსჯელოდ კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ. აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისიისა (თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია) და ფრაქცია "თავისუფლების" (თავმჯდომარე სანდრო ბრეგაძე) ერთობლივ სხდომაზე აქცენტი რუსული სამშვიდობო ძალების მანდატის გაფართოებასა და დევნილების უსაფრთხოდ დაბრუნებაზე იყო გადატანილი.

"ამჟამად სამშვიდობო ძალები დგანან მდინარე ენგურთან, რომლის ორივე მხარეს მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ. მიზანშეწონილია, რომ ცისფერჩაფხუტიანებმა აფხაზეთის ტერიტორიის სიღრმეში გადაიწიონ, კერძოდ, მდინარე კოდორზე, გუმისთასა და ბზიფზე, რის შემდეგაც დევნილების დაბრუნება გალისა და ოჩამჩირის რაიონების ქართველებით დასახლებულ სოფლებში განხორციელდება", - აცხადებს ჯემალ გამახარია, რომლის მტკიცებითაც, ამგვარი გამიჯვნის შემდეგ ლტოლვილი მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტი თავის საცხოვრებელ ადგილებს დაუბრუნდება.

თუ ამ გეგმის რეალიზება მოხერხდება, პარლამენტარის თქმით, მომდევნო ეტაპის ამოცანა გახდება რკინიგზისა და აეროპორტის გახსნა, ეკონომიკის რეაბილიტაცია, აფხაზეთის მთავრობისა და დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა, პოლიტიკური სტატუსის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება, არჩევნების ჩატარება...

გამახარიას განცხადებით, მხოლოდ ქართულ-აფხაზური დიალოგი შედეგს ვერ გამოიღებს და კონფლიქტის დარეგულირება მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ რუსეთი და აშშ შესაბამის კეთილ ნებას გამოავლენენ.

დეპუტატის ამ მოსაზრებებში თვისობრივად რაიმე ახალი არაფერია. ზემოთ აღნიშნული მოდელი ქართულ მხარეს არაერთხელ შეუთავაზებია როგორც აფხაზური, ისე რუსული მხარისთვის, მაგრამ მასზე თანხმობა ვერ მიუღია. საეჭვოა, რომ ასეთი რამ ჯემალ გამახარიას გუშინდელი განცხადების შემდეგ მოხდეს.

24 საათი

საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი მოსკოვში

თვითმფრინავი რეისით თბილისი-მოსკოვი "დომოდედოვოს" აეროპორტში მოსკოვის დროით 10.30 საათზე დაეშვა. საქართველოს პრეზიდენტს და მის თანმხლებ დელეგაციის წევრებს აეროპორტში დახვდნენ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ლოშინინი, რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ირაკლი ჩხიკვიშვილი, საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ს ქვეყნების IV დეპარტამენტის დირექტორი ვლადიმირ გუდევი.

ადგილობრივი დროით 12.30 საათზე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში გაემგზავრა.

შეხვედრის დასასრულს, უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ანატოლი ტორკუნოვმა მიხეილ სააკაშვილს უნივერსიტეტის საპატიო სტუმრის მედალი, ხოლო საქართველოს პრეზიდენტმა - ქართული რევოლუციის სიმბოლო - ოქროს ვარდი გადასცა და საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი გააკეთა. აღსანიშნავია შეხვედრისადმი როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური მედიის განსაკუთრებით დიდი ყურადღება.

მომდევნო შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში გამართა. იმავე დღეს მიხეილ სააკაშვილმა პირდაპირ ეთერში ინტერვიუ მისცა რადიოსადგურს "ეხო მოსკვი".

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური

ახალი სახეები ახალ კაბინეტში

ჯერ ისევ სახელმწიფო მინისტრის რანგში მყოფმა ზურაბ ჟვანიამ მინისტრთა კაბინეტის ბირთვის დაკომპლექტება რვა დღეში უნდა მოასწროს. პრემიერ-მინისტრად დასახელებიდან მეორე დღესვე ჟვანიასთან დიდი მიმოსვლა იყო. დიდ შეკრებას, ძირითადად, ის ხალხი ესწრებოდა, ვინც მომავალი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში ივარაუდება. თუმცა, ამ შეხვედრების მონაწილეები შემდეგ მხოლოდ იმას აცხადებდნენ, რომ დანამდვილებით რაიმე თანამდებობაზე წინასწარ საუბარი არ ღირს, მომავალ პრემიერ-მინისტრთან შეკრება კი მხოლოდ სტრუქტურულ ცვლილებებს ეხებოდა. სწორედ ამ ცვლილებების პროექტით წარდგა გუშინ საღამოს პარლამენტის წინაშე ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე.

და მაინც, ისევ გუშინდელი შეკრებიდან გამომდინარე, მასმედიის წარმომადგენლებმა სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში უკვე რამდენიმე ახალი მინისტრი დაინახეს. უწინარეს ყოვლისა, განათლების მინისტრად - ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ხელმძღვანელი კახა ლომაია. სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილის კანდიდატურა კი ერთბაშად ორ პოსტზე განიხილება - საგარეო საქმეთა და სახელმწიფო მინისტრისაზე. ცნობისათვის, ეს გუშინ უკვე თავად ბერუჩაშვილმაც დაგვიდასტურა. ბერუჩაშვილი, თავის მხრივ, ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატად დასახელებული ანა ახალკაცის "მეურვედ" შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ბერუჩაშვილთან აგრძელებდა ახალკაცი კონსულტაციებს ზურაბ ჟვანიასთან გამართული შეხვედრის შემდეგ. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე აქტიურად განიხილება ასევე საღომე ზურაბიშვილის კანდიდატურა. იგი ამჟამად საფრანგეთის ელჩია საქართველოში. იუსტიციის მინისტრის ერთ-ერთ პრეტენდენტად მიიჩნევენ ასევე არასამთავრობო სექტორის მეორე წარმომადგენელს გიორგი პაპუაშვილს. თავად პაპუაშვილი ამ ხმებს უარყოფს. ამ დღეებში იუსტიციის მინისტრობის მეორე კანდიდატად სახელდებოდა მიხეილ სააკაშვილის "მარჯვენა ხელი" (მასმედიასთან ურთიერთობის განხრით) მარიკა ვერულაშვილიც, რომელიც პარლამენტში კენჭს ყვარელიდან იყრიდა. თუმცა, სააკაშვილის მოსკოვში გამგზავრებამდე გამართული კონსულტაციების შემდეგ ეს ხმები თავად ზურაბ ჟვანიამ უარყო. სახელმწიფო მინისტრთან კონსულტაციები ამ კვირაში ძალზე აქტიურად გაგრძელდება. თავად სააკაშვილი კი მოსკოვში გამგზავრებამდე დაბეჯითებით აცხადებდა, რომ სამოქალაქო თავდაცვის მინისტრის ვინაობა ორ-სამ დღეში გახდებოდა ცნობილი. მოსალოდნელია, რომ ამ პოსტს გელა ბეჟუაშვილს შესთავაზებენ. უშიშროების მინისტრი ზურაბ ადეიშვილი გახდება. პოსტებზე დარჩებიან შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე და ეკონომიკის მინისტრი ირაკლი რეხვიაშვილი. ერთ-ერთი სახელმწიფო მინისტრის პოსტზე წარადგენენ ნიკოლოზ რურუას კანდიდატურას, რომელიც "24 საათის" დამატება "სამართლის" რედაქტორია. ჯერჯერობით გაურკვეველია შრომისა და ჯანდაცვის მინისტრის კანდიდატურა, თუმცა ყველაზე დიდი შანსები ირაკლი სასანიას აქვს.

ეს ყველაფერი წინასწარი ვარაუდებია. შეიძლება ვითარება კარდინალურადაც შეიცვალოს.

ლელა მჭედლიძე

ორი სიტყვით

თბილისი. საკრებულოს სარევიზიო კომისიას ახალი თავმჯდომარე ეყოლება. კომისიის თავმჯდომარეობის უფლებამოსილებას საკრებულო გენერალურ პროკურორად დანიშნული ირაკლი ოქრუაშვილის შემცვლელს დღევანდელ სხდომაზე მიანიჭებს. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეობის პოსტზე ერთადერთი კანდიდატი - "ლეიბორისტების" ფრაქციიდან წამოსული ბერდია გველებიანი სახელდება. საკრებულოს თავმჯდომარე, ყოფილი "ლეიბორისტი" ზაზა ბეგაშვილი ირწმუნება, რომ გველებიანს "ალტერნატივა არ ჰყავს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა შერაზადაშვილი აშშ-ს თავდაცვის მდივნის მრჩეველს საქართველოს საკითხებში ოთარ შალიკაშვილს შეხვდა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა. საუბრის თემა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში მიმდინარე რეფორმები იყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიტიკური გაერთიანება "მრეწველების" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე მემარჯვენე ძალებთან საარჩევნო ბლოკის ჩამოყალიბების მიზნით აქტიურ კონსულტაციების მიმდინარეობას არ უარყოფს და აცხადებს, რომ "მრეწველებს" მემარჯვენე პოლიტიკურ ძალებთან გაერთიანების დიდი სურვილი აქვთ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დედაქალაქში წესრიგის დამყარებასთან, თბილისის მასშტაბით არსებული კორუფციის აღმოფხვრასთან და საქალაქო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა რეკომენდაციები და რჩევები აშშ-ს ელჩისგან რიჩარდ მაილსისგან მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ მაილსი დღეს სამშობლოში გაემგზავრება. როგორც ელჩმა განაცხადა, იგი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის აშშ-ში ვიზიტისას ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრას დაესწრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. არასამთავრობო ორგანიზაცია "საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანმა საქართველომ" და ქართულ-ოსურმა კავშირმა "იბერ-ირონმა" საქართველოში მცხოვრებ ერ-ოვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები განიხილეს და მასმედიის წარმომადგენლებს ეთნოკონფლიქტების პროვოცირებაზე ესაუბრნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანებული საბჭო უახლოეს დღეებში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დამატებითი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით აქციებს განაახლებს. ამის შესახებ "ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში" გამართულ პრესკონფერენციაზე საბჭოს წევრმა მალხაზ პატარაიამ განაცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "ერთიანი კომუნისტური პარტია" რამდენიმე პოლიტიკურ ძალასთან მართავს კონსულტაციებს 28 მარტის ხელახალ საპარლამენტო არჩევნებში ბლოკით გამოსვლის მიზნით. მისივე თქმით, "ერთობის" ლიდერმა ჯუმბერ პატიაშვილმა უარი თქვა კომპარტიასთან ბლოკის შექმნაზე, რადგან ამჟამინდელი ხელისუფლება მხარდაჭერას ჰპირდება. პანტელეიმონ გიორგაძის მტკიცებითვე, მთავრობის მხარეზე გადავიდა "კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის" თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი, რომელიც მანამდე მისი შვილის, უშიშროების ყოფილი მინისტრის იგორ გიორგაძის მხარდამჭერი იყო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი ქართული მხარის მიერ აფხაზებისთვის თავდაუსხმელობის გარანტიების მიცემას დაუშვებლად მიიჩნევს. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქ

დღეს სააკაშვილი პუტინს სამეგობროდ გაწვდილ ხელს ჩამოართმევს

პირველი გვერდიდან

მოსკოვის ამ ელიტარული ინსტიტუტის გადაჭედილ დარბაზში გამოსვლისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს უმთავრესი ამოცანა ევროპულ ოჯახში ინტეგრაციაა. **"რუსეთიც ევროპაა ჩვენთვის და ჩვენი დიდი სურვილია, თუ ეს შესაძლებელია, ევროპულ ოჯახში რუსეთთან ერთად მოვხვდეთ. ვფიქრობ, რუსეთთან ერთად ჩვენ ამას უფრო მალე შევძლებთ. საქართველო არ არის არც ძველი ევროპა და არც ახალი ევროპა, საქართველო უძველესი ევროპაა... პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო დემოკრატიის მაგალითი უნდა გახდეს... არასოდეს საქართველო არ იყო ისეთი სტაბილური, როგორიც უკანასკნელი სამი თვის განმავლობაშია,"** – აღნიშნა მან და ორაზროვნად გაიხუმრა: **"ასე იქნება მომავალი ცხრანახევარი წელიწადიც, თუ რამდენი დამრჩა მე კიდევ?"**

ეს პრეზიდენტის ერთადერთი ხუმრობა არ ყოფილა, თუმცა ამაზე მოგვიანებით...

"ვერც ერთი სახელმწიფო საქართველოში რუსეთის გავლენას კონკურენციას ვერ გაუწევს, თუკი რუსეთის მიდგომა პრაგმატული იქნება. პირველ რიგში, ქართველი ხალხი ახალი პრეზიდენტისგან ქვეყანაში და მის საზღვრებთან სიმშვიდეს ელის. ვინ უზრუნველყოფს ამ სიმშვიდეს ყველაზე უკეთ, თუ არა რუსეთი? ჩემი ხალხი დაიღალა და მოითხოვს სტაბილურ, მშვიდ და განვითარებად საქართველოს, ხოლო სტაბილური განვითარება, პირველ რიგში, ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანას ნიშნავს. ძლიერი სახელმწიფოს შექმნა ნიშნავს საგარეო ბაზარზე გასვლას. აბა, თქვენ თუ გამოიცნობთ, რომელია ჩვენი უახლოესი საგარეო ბაზარი – ამერიკა, ავსტრალია თუ რუსეთი? არის ქართული ბრენდები, რომლებიც იციან რუსეთში, მაგრამ არ იციან ამერიკაში - "ხვანჭკარა", "ქინძმარაული" და სხვები. ჩვენ გვინდა, რომ ქართული ბრენდები რუსულ ბაზარზე დავაბრუნოთ... საქართველო რუსეთთან ღია და ეფექტური თანამშრომლობისთვის მზად არის. ჩემს წინამორბედს მოლაპარაკებები არ ეხერხებოდა. მე ვერ შევძელი მასთან მოლაპარაკება, ამიტომ იძულებული ვიყავი, ქართველ ხალხთან ერთად, თავიდან მომეშორებინა იგი. ჩემთან შეიძლება მოლაპარაკება. მე არასოდეს ვუღალატებ საქართველოს ინტერესებს, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რომ რუსეთის არც ერთი ინტერესი არ დარჩეს გაუთვალისწინებელი – ეს ჩვენივე უსაფრთხოების ინტერესებშიც შედის," – აღნიშნა სააკაშვილმა.

გუშინდელ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის ბაზების საკითხსაც შეეხო. მისი თქმით, საქართველო არ ითხოვს რუსეთის ბაზების დაუყოვნებლივ გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან. **"ჩვენ არ ვამბობთ – ხვალვე წაიყვანეთ თქვენი ბაზები. ამასთანავე მინდა აღვნიშნო, რომ ეს პროცესი აუცილებელია და გარდაუვალი... მოდით, განვახორციელოთ ერთობლივი პატრულირება, მაშინ შესაძლებელი იქნება თქვენი ოფიცრების საქართველოში დატოვება. მე თანამშრომლობის სწორედ ასეთი ფორმის მომხრე ვარ... არ ღირს ნერვების მოშლა ოცდაათი ამერიკელი ინსტრუქტორის გამო. ჩვენ არ ვიქნებით წინააღმდეგი, თუ რუსეთიც გამოაგზავნის ინსტრუქტორებს და ჩვენს ჯარისკაცებს გაწვრთნის. საქართველო არ არის რუსეთსა და აშშ-ს შორის დაპირისპირების ადგილი. საქართველო არის ქართველებისა და სხვა ერონვნების ადამიანების ქვეყანა,"** – აღნიშნა სააკაშვილმა. მისი თქმით, საქართველოში არც ამერიკული ბაზების ადგილი არ არის.

სააკაშვილი რუსულ მასმედიასა და რუსეთში საქართველოსთან მიმართებაში ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ აზრსაც შეეხო: **"რუსეთის საინფორმაციო საშუალებები, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილგანწყობით ეხმიანებოდნენ საქართველოში ნოემბერში მიმდინარე პროცესებს. ხშირად მსმენია რუსულ საინფორმაციო საშუალებებში, რომ საქართველოში რევოლუცია ამერიკელებმა დაგეგმეს და რომ ამ რევოლუციისთვის მე ამერიკელები ბელგრადში ექვსი თვის განმავლობაში მამზადებდნენ. მე ბელგრადში მხოლოდ ერთხელ ვიყავი, ისიც - ორი დღე, აქედან ნახევარი დღე დისკოთეკაში გავატარე, ასე რომ, შევარდნაძის ჩამოგდება იქ ჩემთვის არ უსწავლებიათ,"** – თავი იმართლა პრეზიდენტმა.

"ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა იყო, განგვეხორციელებინა შეტევა რუსეთის საზოგადოებრივ აზრზე, რადგან რუსეთში საქართველოს ხსენებაზე მომენტალურად ისეთი განცდა ეუფლებათ, რომ მზად არიან წამოავლონ ხელი იარაღს და დაგვიწყონ ბრძოლა. ეს მტრის ხატი, რომელსაც საქართველო დღეს რუსეთისთვის წარმოადგენს, უნდა გავაქროთ. მეორე მხრივ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი თავმოყვარეობა შეილახოს. პირიქით, ჩვენ გვიყვარს საქართველო და იმის გამო, რომ უნდა აღდგეს მისი ტერიტორიული მთლიანობა, ჩვენ გვინდა რუსეთთან მეგობრობა," – განაცხადა პრეზიდენტმა ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას.

"არაორდინარული, არასტანდარტული, იუმორით სავსე, ახალი თაობის ლიდერი", - ასე შეაფასეს მოსკოველმა სტუდენტებმა სააკაშვილი.

გუშინ სააკაშვილმა სტუდენტობის წლებიც გაიხსენა და აღნიშნა, რომ ერთხელ უკვე ნამყოფია მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში. **"მე მაშინ კიევის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, გამოცხადებული იყო კონკურსი – ვინ უკეთ იცნობდა გაერო-ს სტრუქტურებს. მე მაშინ პირველი ადგილი დავიკავე და ძალიან ამაყი ვიყავი, რადგან მოსკოვის ინსტიტუტის სტუდენტებს ვაჯობე".**

სააკაშვილმა სტუდენტებს რამდენიმე "საიდუმლოც" გაანდო. პირველი - საქართველოს პრეზიდენტს, თურმე, საშინლად არ უხდება წვერი: **"ფიდელ კასტრომაც კი აღნიშნა, რომ, აი, საქართველოში დაამხეს რეჟიმი, რომელიც ძარცვავდა საკუთარ ხალხს. ფიდელ კასტრომ ჩემზე თქვა, რომ ის ისეთივეა, როგორიც მე. იცით, მე უკვე ვსინჯე, წვერი ნამდვილად არ მიხდება."** და მეორე: სააკაშვილი ჯეროვნად არ აფასებს ჩინელ ჟურნალისტებს: **"ჩინეთის ტელევიზიამ საათნახევრიანი ფილმი გააკეთა. დავოსში სულ უკან დამდევდნენ ჩინელი ჟურნალისტები, მე კი იგნორირებას ვუკეთებდი, ინტერვიუს მხოლოდ ჩემთვის საინტერესო არხებს - "სი-ენ-ენ"-ს და "ენ-ტე-ვე"-ს ვაძლევდი. ჩინელები მოვიდნენ და მითხრეს: თქვენ არ გესმით, რად გინდათ ეს პატარა ტელევიზიები, ჩვენ 740 მილიონი მაყურებელი გვყავს".**

სააკაშვილის იუმორი ელიტარული ინსტიტუტის სტუდენტებმა სათანადოდ აღნიშნეს. საქართველოს პრეზიდენტი მათ "არაორდინარულ, არასტანდარტულ, იუმორით სავსე, ახალი თაობის ლიდერად" მოიხსენიეს. სააკაშვილის იუმორზე რუსული მასმედიაც საუბრობდა.

ვიზიტის პირველი დღე მოქანდაკე ზურაბ წერეთლის გალერეაში მიღებით დასრულდა.

სააკაშვილი დღეს პრეზიდენტ პუტინს "მეგობრობისთვის გაწვდილ ხელს" ჩამოართმევს და პატრიარქის მიერ შესრულებულ ნახატს აჩუქებს. სავიზო რეჟიმი, პრობლემები საბაჟოზე და საზღვარზე და ურთიერთობები ავტონომიებთან – ეს ის ძირითადი საკითხებია, რაზეც დღეს ორი ქვეყნის პრეზიდენტი ისაუბრებს. **"არა მგონია, რუსეთი მკვეთრ დათმობებზე წავიდეს, მით უმეტეს - საპრეზიდენტო არჩევნების წინ. თუმცა, პუტინთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ უნდა გავალღოთ რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ყინული,"** – განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა "აირზენას" რეგულარული რეისით მგზავრობისას.

მნიშვნელოვანი კანონპროექტი, რომელსაც ოპონენტები არ ჰყავს

პირველი გვერდიდან

როგორც ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, **"საქართველოს უნდა ჰყავდეს კომპაქტური, ერთდონიანი მთავრობა, რომლის საქმიანობაზე კონტროლი ნებისმიერ პარლამენტარს შეეძლება. მინისტრთა კაბინეტი კოლექტიური ორგანო იქნება და ნებისმიერი ნორმატიული აქტის გამოცემის საკითხი მთავრობის სხდომაზე კენჭისყრით გადაწყდება. ამასთან ერთად, პრეზიდენტი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას იღებს ძალოვან სამინისტროებზე."**

რაც შეეხება თავად მთავრობის სტრუქტურას.

უქმდება ტრანსპორტისა და კომუნიკაციებისა და ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროები, ხოლო მათ ბაზაზე შეიქმნება ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის დაქვემდებარებაში შევა გეოდეზიისა და კარტოგრაფიის, საავტომობილო გზების და ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტები.

ახალი პროექტის მიხედვით, დარჩება ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის, თავდაცვის, იუსტიციის, კულტურის, ლტოლვილთა და განსახლების, საგარეო საქმეთა, ენერგეტიკის, სახელმწიფო უშიშროების, სოფლის მეურნეობის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები.

ახალი პროექტით უქმდება სახელმწიფო კანცელარია და მის ნაცვლად იქმნება მთავრობის კანცელარია. მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, რომლის დაქვემდებარებაში შედიან მინისტრები (ბუნებრივია, ძალოვანი მინისტრების გარდა).

ასევე გაუქმდება საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შევა სატყეო მეურნეობის, დაცული ტერიტორიების და სამონადირეო მეურნეობის, გეოლოგიისა და ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტები.

შეიქმნება ეკონომიკისა და განვითარების სამინისტრო, რომლის მმართველობის სფეროში შევა სტატისტიკის, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტები.

დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი შეუერთდება უშიშროების სამინისტროს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავა მატერიალური რეზერვებისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტები.

იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის საარქივო სახელმწიფო და მინის მართვის დეპარტამენტები, ხოლო კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტები და ენის პალატა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შეიერთებს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტს, განათლების სამინისტრო კი - სწავლულ ექსპერტთა საბჭოს, ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციასა და სტანდარტიზაციის დეპარტამენტებს. მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ბაზაზე შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

გაუქმდება სახელმწიფო საიდუმლოებების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია და მისი ფუნქციები ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაეცემა.

ერთი სიტყვით, სამინისტროების რიცხვის შემცირების პარალელურად, უქმდება სახელმწიფო დეპარტამენტები, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელი დაწესებულებები. როგორც ზურაბ ჟვანია აცხადებს, **"ამ ტიპის დაწესებულებები სახელმწიფო მართვის სისტემის ეფექტურობის თვალსაზრისით გაუმართლებელია, რადგან მათი ფუნქციები, ხშირ შემთხვევაში, სამინისტროების ფუნქციების იდენტური იყო."**

რაც შეეხება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებს, ამ პროექტის თანახმად, **"ავტონომიების აღმასრულებელი ხელისუფლებების დაწესებულებები საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში შედიან."**

როგორც გუშინ ფრაქცია "აღორძინების" წარმომადგენელმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა განაცხადა, განსაკუთრებული შენიშვნები აჭარის დეპუტაციას პროექტისადმი არ აქვს. შენიშვნები არც აფხაზეთის დეპუტაციის წარმომადგენელს ჰქონია.

პრინციპული შენიშვნები არ გამოთქმულა სხვა დეპუტატების მხრიდანაც. დღეს პროექტის თაობაზე მსჯელობა უკვე პარლამენტის სხდომათა დარბაზში გადაინაცვლებს. თუმცა, მანამდე დეპუტატები იურიდიულ კომიტეტში შეიკრიბებიან, სადაც კონკრეტულ მოსაზრებებს და საკუთარ წინადადებებს გამოთქვამენ.

და კიდევ: გუშინ ცნობილი გახდა, რომ ორმა პარლამენტარმა – "დემოკრატებმა" მიხეილ მაჭავარიანმა და ელენე თევდორაძემ შეთავაზებულ თანამდებობებზე უარი განაცხადეს. მაჭავარიანმა უარი სოფლის მეურნეობის მინისტრის პორტფელზე განაცხადა, ხოლო ელენე თევდორაძემ – ომბუდსმენის სავარძელზე.

ქალაქის ცენტრში
ქირავდება ქალაქის ცენტრში
პრესტიჟულ ადგილას
400 კვ.მ. ფართის ტერიტორია.
საუკეთესოა რესტორნის, ღამის
კლუბის ან სხვა გასართობი
საქმიანობისათვის.
400 კვ.მ
ინფორმაციისათვის დარეკეთ: 893 200035

როგორ გავზარდოთ ქვეყანაში ექსპორტი?

უკანასკნელი რამდენიმე წელიწადია, ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ასეული მილიონი დოლარით იზრდება. გასულ წელს საქართველოს სავაჭრო დეფიციტმა 711 მილიონ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა. სავაჭრო დეფიციტის დასაფარად, დამოუკიდებელი ექსპერტები და მეწარმეები აღმასრულებელ ხელისუფლებას ადგილობრივი ექსპორტიორი კომპანიების წახალისებას, მათთვის არსებული შეღავათების ამოქმედებას და დამატებით კიდევ რამდენიმე შეღავათის დაწესებას სთხოვენ.

ეთერ მამულაშვილი

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, შარშან საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 1 მილიარდ 500 მილიონს ოდნავ გადააჭარბა. აქედან ექსპორტის ღირებულებამ 444.100 მილიონი დოლარი შეადგინა, იმპორტმა – 1 მილიარდ 58 მილიონი.

ქვეყნის სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტის წილის სიმცირეს ექსპერტები ექსპორტიორი კომპანიების მიმართ სახელმწიფოებრივი გულგრილობით ხსნიან. მათი თქმით, საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე იმპორტზე ორიენტირებულ ქვეყნად რჩება. ექსპორტის წახალისებისთვის, საკანონმდებლო დონეზე რამდენიმე სერიოზული საგადასახადო შეღავათი არსებობს. თუმცა, როგორც ადგილობრივმა ექსპორტიორმა კომპანიებმა ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, რეალურად დღეს არც ერთი ეს შეღავათი არ მოქმედებს.

ექსპორტის წახალისებისთვის ერთ-ერთი ასეთი შეღავათია პროდუქციის დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლება. ანუ მეწარმეს, რომელიც ქვეყნის გარეთ გასატან პროდუქციას ქმნის, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, პროდუქციის წარმოების დროს გადახდილი დღგ უკან უნდა დაუბრუნდეს. კანონი გადასახდის დასაბრუნებლად 15 დღეს ითვალისწინებს. ვადის გასვლის შემთხვევაში მეწარმეს კანონის ფარგლებში შეუძლია სახელმწიფოს, კუთვნილი თანხის გარდა, ჯარიმაც მოსთხოვოს. ცნობისათვის - ამ შემთხვევაში საურავის რაოდენობა ბევრად ნაკლებია, ვიდრე მეწარმის მიერ არგადახდილ გადასახადზე დარიცხული ჯარიმა.

"ეს არის ტიპური ნიმუში არადემოკრატიული, არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნისა, როდესაც ბიზნესმენი და სახელმწიფო არათანაბარ, არასამართლებრივ პირობებში არიან", - ამბობს საქართველოს ექსპორტიორთა ასოციაციის პრეზიდენტი თამაზ აგლაძე, რომლის მტკიცებით, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სახელმწიფოს ექსპორტიორების მიმართ დღგ-ს ნაწილში რამდენიმემილიონიანი დავალიანება დაუგროვდა.

"გარდა ერთი-ორი, ხელისუფლებასთან დაახლოებული კომპანიისა, თითქმის 99 პროცენტს გადახდილი დღგ უკან არ უბრუნდება. ზოგჯერ სახელმწიფოსა და კომპანიას შორის გარიგება ხდება, და ზედმეტად გადახდილი დღგ მეწარმეს სხვა გადასახადში ეთვლება, თუმცა მე ვფიქრობ, რომ ეს ხშირად მანიპულაციის საგანია, ზოგიერთ მეწარმეს არ უთვლიან, ან უჭიანურებენ", - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს თამაზ აგლაძემ.

თამაზ აგლაძე ექსპორტის ხელშეწყობის აუცილებლობაზე საუბრობს.

ფოტო: საინფორმაციო ცენტრი

საგადასახადო დეპარტამენტის უკანასკნელი მონაცემებით, სახელმწიფოს ექსპორტიორებისთვის ამ დროისათვის უკან დასაბრუნებელი 13 მილიონ ლარზე ოდნავ მეტი მართებს. თუმცა, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სახელმწიფოს რეალური ვალი დღგ-ს ნაწილში 100 მილიონზე მეტი უნდა იყოს. საწინააღმდეგო პოზიცია აქვთ ფინანსთა სამინისტროში, სადაც ამ ბოლო დღეებში არარეალური აქტივებით ვაჭრობის არაერთი ფაქტი აღმოაჩინეს. ხოლო მანამ, სანამ რეალური და არარეალური აქტივების საკითხი ბოლომდე გარკვეულა, ცხადია, ისინი არ იზიარებენ ექსპორტიორთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ **"მეწარმეს ამ ვალდებულების ბაზარზე გაყიდვის უფლება უნდა მივცეს და მან ის უნდა მიყიდოს იმ მეწარმეს, რომელსაც დღგ აქვს გადასახდელი".**

კიდევ ერთი შეღავათი, რასაც საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს, საბაჟო გადასახადს ეხება. კანონის თანახმად, მეწარმის მიერ შემოტანილი პროდუქცია, რომელსაც ის საექსპორტო საქონლის წარმოებაში იყენებს, საბაჟო გადასახადისგან თავისუფალია. თუმცა, როგორც ექსპორტიორთა ასოციაციის პრეზიდენტი ირწმუნება, ამ შემთხვევაშიც მეწარმეებს იმდენი ადმინისტრაციული ბარიერი ხვდებათ, რომ ისინი ამ გადასახადის გადახდას ამჯობინებენ. **"საბაჟოზე მეწარმეს საბანკო გარანტიას სთხოვენ, რომ ის შემოტანილ პროდუქციას შიდა ბაზრისთვის არ გამოიყენებს. ანუ, თუკი ის აპირებს, დავუშვათ, 50 ათასის ღირებულების პროდუქციის წარმოებას საექსპორტოდ, მან ბანკში ამის ეკვივალენტური თანხა უნდა გაყინოს. ფაქტობრივად, ეს ვითომდა შეღავათი მეწარმეს თავისტკივილად გადაექცევა"**, - ამბობს აგლაძე.

პრობლემებს შორის თავად ექსპორტიორები საბაჟოზე არსებულ ვითარებას და პროდუქციის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების არაქმედუნარიანობას ასახელებენ.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის თავმჯდომარეს დემურ გიორხელიძეს კი მიაჩნია, რომ **"საშიშროებას წარმოადგენს არა ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდო საქართველოში, არამედ საშიშია ექსპორტ-იმპორტის ძალიან ცუდი სტრუქტურა და ქვეყნებს შორის ვაჭრობის ძალიან ცუდი დივერსიფიკაცია, რაც შემოსავლების ასევე დივერსიფიკაციას იწვევს. კერძოდ, რა მაქვს მხედველობაში: დღეს ქვეყნიდან გადის პრიმიტიული პროდუქცია. რაც შეეხება იმპორტს, შემოდის მაღალინტელექტუალური შრომის პროდუქცია. თუ ეს არ იქნა დროულად დაძლეული, სიტუაციის გამოსწორებაზე საუბარი ზედმეტია".**

გიორხელიძეს მიაჩნია, რომ წახალისებისთვის იდეალური საშუალებაა, საქართველოში ხელისუფლებამ მეწარმეობისთვის იდეალური პირობები შექმნას, ხელისუფლება იყოს წესრიგისა და საკუთრების უფლებების დამცველი, შეიქმნას ჯანსაღი კონკურენცია, რომელიც საქართველოში დღეს, ფაქტობრივად, ნულს უტოლდება.

IFC-მ საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი დაიწყო

დასავლეთის ქვეყნები, რომელთა მაგალითიც ქართველ პოლიტიკოსებსა თუ ეკონომისტებს ხშირად მოჰყავთ, ეკონომიკური წინსვლის მისაღწევად კერძო სექტორის სიძლიერეს ეყრდნობიან. შეიძლება ითქვას, ეს მათი საქმიანობის წარმატების და ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობა გახლავთ. გამონაკლისი არც საქართველოა, მით უმეტეს, რომ ქვეყანაში წლების მანძილზე ბიზნესის მიმართ სახელისუფლო სტრუქტურების მხრიდან ინერტული დამოკიდებულება არსებობდა. საქართველოში ბიზნეს-გარემო უნდა შეიცვალოს და ამას ახლანდელი ხელისუფლება ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს.

ნინო ნარჩემაშვილი

საერთაშორისი საფინანსო კორპორაცია (IFC), რომლის საქართველოში მოღვაწეობის მიზანსაც სწორედ ბიზნესის განვითარება წარმოადგენს, დღეს სასტუმრო "მარიოტში" "საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის" ოფიციალურ პრეზენტაციას აწყობს. პროექტი, რომელიც რამდენიმე ძირითად მიმართულებაზე მუშაობს (კორპორაციული მართვის დასავლური სტანდარტების დანერგვა, ლიზინგის სექტორის განვითარების ხელშეწყობა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კვლევა), სავარაუდოდ, ორი წელი გაგრძელდება და მისი დაფინანსებისათვის დონორმა ორგანიზაციამ - კანადის საერთაშორისო განვითარების საააგენტომ, გრანტის სახით, მილიონ 400 ათასი აშშ დოლარი გამოყო.

IFC-ს საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის მენეჯერის, ფრენკ ლივერის განცხადებით, **"პროექტი ითანამშრომლებს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორთან, რათა მაქსიმალური წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების საქმეში, ხელსაყრელი პირობები შექმნას და დაეხმაროს ქვეყანას უცხოელი ინვესტორებისა და კაპიტალის მოზიდვაში".** სწორედ ამ მიზნით, პრეზენტაციას დაესწრებიან როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლები - საქციო საზოგადოებების, ბანკების, საწარმოების, სალიზინგო კომპანიების ხელმძღვანელები, ბიზნეს-წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პრეზენტაციაზე დასასწრებად საქართველოში ჩამოვიდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური დირექტორი ქრისტიან გროსმანი.

რაც შეეხება არსებული ბიზნეს-გარემოს შეფასებას, IFC-ში აცხადებენ, რომ ისეთი პატარა და გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, განუვითარებელი კაპიტალის ბაზრითა და კერძო სექტორით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, საკითხების საკანონმდებლო გზით რეგულირებას და შესაბამისი სანქციების დაწესებას, ეფექტიანი აღმასრულებელი ორგანოების, სასამართლო სისტემის არსებობას. მეორე მხრივ, კერძო ბიზნესის წარმატებას, აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ პირთა მხრიდანაც სჭირდება სათანადო ინიციატივა და ეფექტიანი მენეჯმენტი. IFC-ში მიიჩნევენ, რომ საქართველოში ბიზნესის წარმოების მნიშვნელოვანი პრობლემა ფინანსური რესურსების უქონლობაა. მათივე თქმით, "საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის" ერთ-ერთი შედეგი სწორედ ის იქნება, რომ საწარმოები ფუნქციონირებისათვის საჭირო სახსრების იოლად მოპოვებას შეძლებენ.

CERMA

RES & CO

უნიკალური შემოთავაზება!

თუკი თქვენი კომპანია ამუშავებს ხის მასალას, აწარმოებს ავეჯს და ავეჯის დეტალებს, კარ-ფანჯარას, პარკეტს და საპარკეტო ფრიზას

და თქვენ დაინტერესებული ხართ, რომ თქვენი საწარმო გახდეს საქართველოში წამყვანი კონკურენტუნარიანი კომპანია ან ექსპორტიორი დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებზე

მაშინ თქვენ გეძლევათ უნიკალური შანსი! შეუერთდით მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროგრამას, რომელიც დაგეხმარებათ გამოიყენოთ თქვენი პოტენციალი და გახდეთ საერთაშორისო ინდუსტრიის მნიშვნელოვანი მონაწილე.

პროგრამის ძირითადი ნაწილია თქვენთვის ტექნიკური დახმარების გაწევა, რაც შეიძლება მოიცავდეს:

- პროდუქციის დიზაინის სრულყოფას;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვას;
- საოპერაციო და ფინანსური სიტემების აწყობას;
- ტექნიკურ გადაიარაღებაში ხელშეწყობას;
- საექსპორტო შესაძლებლობების მოძიებას.

თქვენ დაგეხმარებიან უმაღლესი დონის ძარითველი და საერთაშორისო ექსპერტები! თქვენ საშუალება გექნებათ მოინახულოთ წარმატებული კომპანიები დასავლეთ ევროპაში და დაამყაროთ კონტაქტები პოტენციურ მომხმარებლებთან.

მნიშვნელობა არა აქვს რამდენად დიდი ან სირთულეებით სავსეა თქვენი ბიზნესი, პროგრამა ითვალისწინებს როგორც დიდ, ასევე პატარა კომპანიებისთვის დახმარების გაწევას. გადამწყვეტი ფაქტორია თქვენი სურვილი და მონდომება გახდეთ წამყვანი კომპანია საქართველოს ხე-ტყის სექტორში!

<u>დაბვირეკეთ!!!</u> ჩვენ მოგაწვდით დაწვრილებით ინფორმაციას ამ პროგრამის შესახებ. გახსოვდეთ რომ ეს <u>თქვენი</u> <u>შანსია</u> გახდეს საერთაშორისო დონის კონკურენტუნარიანი საწარმო. <u>გამოიყენეთ ეს შანსი, სანამ სხვა გამოიყენებს მას!</u>

ჩვენი საკონტაქტო მისამართია:

თბილისი, ყაზბეგის გამზ. 42ა. "სერმა"
ტელ: 307712/01 ფაქსი: 307703

როცა უკან დასახევი გზები მოჭრილია

პირველი გვერდიდან

დღემდე "მოვალეობის შემსრულებელი" ხელისუფლება ძველისძველი ტრადიციისამებრ მეხანძრის როლშია და "ალაგ-ალაგ" გაჩენილ ცეცხლს ძველი მეთოდებით აქრობს - ორშაბათს, მაგალითად, ჩაბნელებული ქვეყნის ფონზე ენერგეტიკოსებმა იხმაურეს (ვერ გეტყვით, ამ ხმაურმა და შექმნილმა მძიმე სიტუაციამ გადაწყვიტა თუ არა ენერგეტიკის სამინისტროს ბედი საბოლოოდ, თუმცა ფაქტია, რომ მომავალ მთავრობაში ენერგეტიკის სამინისტრო იარსებებს).

დროებით ხელისუფლებას მანამდე დაგვიანებული პენსიების და დახმარებების საკითხი ჰქონდა გასარკვევი, რომელიც, უკვე ტრადიციისამებრ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრით დასრულდა.

ამ დღეებში სსფ-სთვის წარსადგენად ბიუჯეტის პროექტის პარამეტრების შედგენა გახლდათ "მოსასწრები", რომელიც, როგორც "24 საათი" უკვე იუწყებოდა, საერთაშორისო შემოდინებების ხარჯზე მეტად ოპტიმისტურად გახლავთ დაგეგმილი.

ამავე პერიოდში პურის მეწარმეთა მიმართვებმა ხელისუფლებისადმი შედეგი არ გამოიღო და გუშინ პურის ფასი კიდევ 5 თეთრით გაიზარდა, რაც ასევე სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს...

მოკლედ, ყოველ შემთხვევაში - დღემდე, ეკონომიკის მართვის თვალსაზრისით, ხელისუფლება მეტად "გაფანტული" გახლდათ, ეკონომიკური კრიზისის ცალკეულ სიმპტომებზე საერთო-ეკონომიკური კონტექსტიდან ამოვარდნილად რეაგირებდა და შიდასახელისუფლებო თუ კულუარულ საუბრებში სულ იმ "ნანატრ" დროზე მიანიშნებდა, როცა ქვეყნის ეკონომიკაზე პასუხისმგებლობას გუნდი იკისრებს და ეკონომიკური კრიზისის დაძლევასაც დაიწყებს.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მომავალი ეკონომიკური გუნდის კონტურები უკვე გარკვეულია, საქართველოს სამომავლო ეკონომიკური პრიორიტეტები ჯერ კიდევ სერიოზული ბურუსით არის მოცული.

ახალი ხელისუფლების "დროებითობის" პირობებში გადადგმულმა ნაბიჯებმა უკვე შექმნა ისეთი პრეცედენტი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ხალხზე გათვლილი ნაბიჯები ახალი ხელისუფლებისთვის უცხო არ იქნება. თუმცა, თავისდროინდელი პოპულისტური გადაწყვეტილებები რამდენიმე გადასახადის გაუქმებასთან დაკავშირებით უფრო წინასაარჩევნო მანევრად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე - მომავალი სამოქმედო პროგრამის დედაარად.

ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ბიუჯეტის ახალ პროექტში, რომელიც ფინანსთა მინისტრმა ნოღაიდელმა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან უკვე შეათანხმა, ერთი წლის წინ ყბადაღებული მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების თემა არ გახსენებიათ - ერთი მხრივ, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება ბიუჯეტს რეალობასთან აახლოებს, მეორე მხრივ კი, ნიშნავს იმას, რომ მისთვის წინასაარჩევნო დაპირებების დავიწყება უცხო ხილი არ არის.

სხვათა შორის, სსფ-სთან მიმართებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სავალუტო ფონდის რეკომენდაციების უპირობოდ შესრულებას არ აპირებს და აქვე მოსალოდნელ საგადასახადო ცვლილებებზეც მიანიშნა. თუმცა, თუ მომავალი წლის ბიუჯეტის ოპტიმისტურობასაც გავითვალისწინებთ და მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო განცხადებასაც იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ წესრიგი უნდა დამყარდეს, ლიბერალიზაცია კი შემდგომი ეტაპია, გასაკვირი არ იქნება, თუ საგადასახადო ლიბერალიზაცია უახლოეს პერიოდში არ მოხდება.

მით უმეტეს, ფინანსთა სამინისტროში გამოჩენილი ბოლოდროინდელი ტენდენციები ცხადყოფს, რომ მომავალში აქცენტი მაქსიმალური ოდენობის თანხების მობილიზებაზე გაკეთდება. ფაქტია, რომ არ შეიცვლება ფინანსთა მინისტრი და მის მიერ დღემდე გატარებული პოლიტიკა, თუმცა ფაქტია ისიც, რომ ჯერჯერობით სისტემაში სიტუაცია დასალაგებელია და, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ბოლო პერიოდში ძლიერი მუშტის დემონსტრირებას კორუფციასთან მიმართებაში აქტიურად ახდენს, პრემიებჩამორთმეულ, 35-ლარიან ინსპექტორებზე და მებაჟეებზე დამყარებული დიდი იმედები, მეტი რომ არ ვთქვათ, შეიძლება გადაჭარბებული აღმოჩნდეს.

ამიტომ, ჯერ კიდევ წინაა სახელფასო პოლიტიკის რეფორმირება, რაც საკმაოდ სერიოზული პრობლემაა და რაც 2004 წლის ბიუჯეტის პარამეტრებში გათვალისწინებული არ არის. მართალია, ამ მიზნით ცალკე ფონდი შეიქმნა, თუმცა ამ ფონდის თემა ცალკე საკითხია.

წინაა სამინისტროების შიდასაუწყებო რეფორმირებაც.

ამასთან, ჯერჯერობით, აშკარად დაურეგულირებელია ურთიერთობა ქართულ ბიზნესთან - მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქართველ ბიზნესმენებს ხან პრეზიდენტი, ხან - ფინანსთა მინისტრი აქტიურად უმეორებს, რომ "ახალი წესებით" თამაში მოუწევთ, ჯერჯერობით, ბიზნესის წარმომადგენლებს ამ წესების დედააზრი აშკარად ვერ გაუგიათ და განსაკუთრებული აქტიურობისგან კი თავს იმ უბრალო მოტივით იკავებენ, რომ ბევრ მათგანს ანტიკორუფციული ბრძოლის კონტექსტში "მოხვედრის" შიში აჩუმებს.

გარკვეული ტენდენციები გამოიკვეთა სახელმწიფო ქონების მართვის მიმართულებით - მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზასთან დაკავშირებით ხელისუფლება სკანდალებს ვერ ასცდა, ფაქტია, რომ ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა დაიწყო - იქნება ეს სამეთვალყურეო საბჭოების შექმნა თუ ამ საწარმოებში საერთაშორისო აუდიტების შეყვანა. ამასთან, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ცენტრი აპირებს შეელიოს რეგიონებში განთავსებულ საწარმოთა გარკვეულ ნაწილს და ისინი სამართავად ადგილობრივ თვითმმართველობებს გადასცეს.

თუმცა, ერთია სახელმწიფო საწარმოების მართვა, მეორე კი - ეკონომიკის განვითარების პერსპექტივის ხედვა. ფაქტია, რომ დღევანდელი ხელისუფლება, სავარაუდოდ, არც გია მაისაშვილის ეკონომიკურ ხედვას დაეყრდნობა და არც ვლადიმერ პაპავას ეკონომიკურ კონცეფციას - დღეს ეს პერსონები სახელისუფლებო დერეფნებში, უკვე კარგა ხანია, აღარ ჩანან.

სხვათა შორის, როგორც ამბობენ, ეკონომიკის ახალგაზრდა მინისტრი ამ პოსტზე დანიშვნის დღიდან სიტუაციაში გარკვევას და ეკონომიკური კონცეფციის წერასაც კი შეუდგა, თუმცა ცხადია, რომ ასეთ კონცეფციას ერთი პირი ვერ შექმნის და, თან, ვეჭვობთ ბოლო დღეებში გავრცელებულმა ინფორმაციამ მისი "ჩანაცვლების" შესახებ რეხვიაშვილს წერის ხალისი დაუკარგა.

რაც მთავარია, ქვეყანაში შესაქმნელია თანასწორუფლებიანი, კონკურენტული გარემო, წასახალისებელია ექსპორტი და მცირე ბიზნესი, შესამცირებელია სახელმწიფოს ჩარევა ბიზნესმენთა საქმიანობაში, შესამცირებელია მაკონტროლებლები, ბოლომდე მოსაშლელია არა მხოლოდ ძველი კლანური ურთიერთობები, არამედ აღმოსაფხვრელია ახალი ჩრდილოვანი ურთიერთობების ჩამოყალიბების საფუძვლები, რომელიც საქართველოში, ცხადია, ისევ არსებობს და ა.შ. და ა.შ. ყველა ეს საკითხი ხელისუფლებაში დღეს მოსული ძალის წინასაარჩევნო კამპანიებში მოხსენიებული იყო, თუმცა - ზოგადად.

კონკრეტული კანონპროექტების სახე ამ წინადადებებს, ჯერჯერობით, არ აქვს.

ცხადია, სამომავლო პროგრამის წარდგენა საზოგადოების და პარლამენტარების წინაშე მოუწევს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს ზურაბ ჟვანიას. ვერ გეტყვით, რამდენად კონკრეტული იქნება ეს პროგრამა - არ გაგიკვირდებათ, თუ დღევანდელი პარლამენტი ახალ პრემიერ-მინისტრს ზოგადი ხედვის საფუძველზეც დაამტკიცებს. ამიტომ დღეს მართლაც ერთადერთი, რაც მომავალი სამთავრობო გუნდის მიერ ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის გარკვეულ იმედს აღძრავს, ის ფაქტორია, რასაც საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ზურაბ ჟვანიას წარდგენის დროს გაუსვა ხაზი - მომავალ პრემიერ-მინისტრს უკან დასახევი გზა, უბრალოდ, არ აქვს.

ერაყელი პარტიზანები ტაქტიკას ცვლიან

გუშინ ერაყში მომხდარმა ახალმა აფეთქებამ 50-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დაშავებულთა რიცხვი კი 150-ს აღემატება. აფეთქება ბაღდადიდან 40 კმ-ის მოშორებით მდებარე შიიტებით დასახლებულ ქალაქ ისკანდარიაში მოხდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა პოლიციის შენობასთან გაჩერებულ ავტომობილში იყო ჩამონტაჟებული. შედეგად, ნაწილობრივ დაინგრა პოლიციის შენობა და ქალაქის სასამართლო. აფეთქებას ერაყული პოლიციის თანამშრომლებიც შეეწირნენ. უკანასკნელ თვეებში, ტერაქტების შედეგად, ერაყის პოლიციის, დაახლოებით, 300 თანამშრომელია დაღუპული.

ზოგიერთი ვარაუდით, ეს თავდასხმა შეიძლება მიმართული იყოს არა მხოლოდ ერაყის იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც საერთაშორისო კოალიციასთან თანამშრომლობენ, არამედ მისი ერთ-ერთი მიზანი, შესაძლოა, შიიტებსა და სუნიტებს შორის რელიგიური შუღლის გაღვივებაც იყოს.

ამერიკული ჯარების წარმომადგენელმა, ბრიგადის გენერალმა მარკ კიმიტმა გაახმაურა ბაღდადში ნაპოვნი წერილის შინაარსი, საიდანაც ირკვევა, რომ "ალ-ქაიდას" დაგეგმილი აქვს შიიტებზე თავდასხმები, რათა შიიტებსა და სუნიტებს შორის დაპირისპირების ინსპირირება მოახდინოს. ამერიკელები ამბობენ, რომ ეს დოკუმენტები იორდანელ მებრძოლს აბუ მუსაბ ზარქავის ეკუთვნის. წერილში გამოთქმულია წუხილი, რომ ერაყიდან აშშ-ს ჯარების განდევნა დღემდე ვერ ხერხდება. აქვე ზარქავი ამბობს, რომ შიიტებსა და სუნიტებს შორის დაპირისპირება, შესაძლოა, ანტიამერიკული წინააღმდეგობის ფრონტის ინტერესებს თანხვდებოდეს. ერაყის მოსახლეობის უმრავლესობას შიიტები წარმოადგენენ, თუმცა ისინი წლების განმავლობაში იგნორირებულნი იყვნენ სუნიტთა მიერ. თავად სადამ ჰუსეინიც სუნიტია, თუმცა იგი რელიგიური იდეების მხარდაჭერით არასდროს გამოირჩეოდა.

17-გვერდიან დოკუმენტში, ამერიკელი სამხედროების განცხადებით, დეტალურად არის აღწერილი ერაყში შიიტებსა და სუნიტებს შორის სამოქალაქო ომის დაწყებისათვის აუცილებელი ნაბიჯები. წერილში ნათქვამია, რომ შიიტებზე თავდასხმები მათი მხრიდან სუნიტებზე საპასუხო თავდასხმებს გამოიწვევს, რაც, თავის მხრივ, გააძლიერებს სუნიტთა რადიკალურ განწყობას და მათ "ალ-ქაიდასთან" დააახლოებას.

REUTERS

ერაყში მომხდარმა აფეთქებამ 50-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

დოკუმენტის ავტორი აშშ-ს საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში აუცილებლად მიიჩნევს ერაყელთა მასობრივ გადაბირებას და ამბობს, რომ ეს კამპანია ჯერ კიდევ აშშ-ს მიერ ძალაუფლების ერაყული ადმინისტრაციისათვის გადაბარებამდე უნდა დაიწყოს. ძალაუფლების გადაცემა კი მიმდინარე წლის ივნისშია დაგეგმილი.

აშშ სახელმწიფო მდივნის, კოლინ პაუელის თქმით, ზემოაღნიშნული დოკუმენტის აღმოჩენა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სადამის ხელისუფლებასა და "ალ-ქაიდას" შორის კავშირი მართლაც არსებობდა.

რიბკინის დროებითი გაუჩინარება: წინასაარჩევნო ტაქტიკა?

პირველი გვერდიდან

რიბკინი კითხულობს, თუ სადაა რუსეთის არმიის ძლიერება, აღთქმული ეკონომიკური წინსვლა? რატომ ეცემა განათლებისა და ჯანდაცვის დონე ქვეყანაში? რატომ იზრდება ღარიბთა რაოდენობა მაშინ, როცა საერთაშორისო ეკონომიკის კონიუნქტურა თითქოსდა რუსეთის სასიკეთოდ იცვლება და ქვეყანაში ნავთობდოლარები შეედინება? რიბკინს რუსეთში დემოკრატიის დასამარებაც აფიქრებს. ტელევიზია და გაზეთების აბსოლუტური უმრავლესობა, მისი აზრით, კრემლის დიქტატის ქვეშაა მოქცეული. მასმედია კორუფციასთან ბრძოლას უწევს პროპაგანდას მაშინ, როცა ქვეყანაში ტერორი და ძალადობა ბატონობს. პუტინის სახელისუფლებო რეფორმებმა (იგულისხმება ადგილობრივი თვითმმართველობების ხარჯზე - ცენტრალური ხელისუფლების, ხოლო საკანონმდებლოს ხარჯზე - აღმასრულებლის გაძლიერება) ძირშივე მოსპო რუსეთის დემოკრატიის ინსტიტუციური მონაპოვრები. დღეს რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატა ყოველგვარ ფუნქციას მოკლებულია: ფედერაციის საბჭო რუსეთის რეგიონების ინტერესებს ველარ ახორციელებს, ხოლო დუმა უკვე დიდი ხანია, ხალხის ნებას აღარ გამოხატავს. უშიშროებას, პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომლებიც პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებენ, უკვე ყველაფრის კეთება შეუძლიათ და კრემლისგან სრული სამოქმედო კარტბლანში აქვთ მიცემული.

რიბკინი: პუტინი რუსეთის ყველაზე დიდი ოლიგარქია

საინტერესოა, რომ როცა პუტინი რუსეთის სახელმწიფოს ხარჯზე გამდიდრებული ოლიგარქების შევიწროებას ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევად ასახელებს, რიბკინი თავად მას უწოდებს რუსეთის უმსხვილეს ოლიგარქს. თავად რიბკინს ინგლისში შეხიზნულ ბერეზოვსკისთან მჭიდრო კონტაქტებში ამხელენ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ბერეზოვსკიმ დახმარება აღუთქვა ყველას, ვინც პუტინის ძალაუფლებას დაუპირისპირდება. რიბკინი ბერეზოვსკისთან კონტაქტს არ უარყოფს. მათ შორის ურთიერთობას ჯერ კიდევ მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა რიბკინი რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი იყო, ხოლო ბერეზოვსკი - მისი მოადგილე. **"ჩვენ ერთად ვმუშაობდით ჩეჩნეთის თემაზე და მეგობრობაც იმ დროს დაიწყო,"** - ამბობს რიბკინი "მოსკოვსკიე ნოვოსტი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში, თუმცა კატეგორიულად უარყოფს, რომ მას ბერეზოვსკი მართავს. როგორც ჩანს, რიბკინსა და ბერეზოვსკის, უბრალოდ, საერთო ინტერესები აქვთ – ესაა პუტინის "რეალური სახის" ჩვენება. **"როცა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა გადავწყვიტე, ჩემმა მეგობრებმა მკითხეს, თუ რისი შანსი მაქვს. რუსეთსა და დასავლეთს ვეუბნები: რუსეთს სჭირდება დამოუკიდებელი კანდიდატი, რომელსაც პუტინის გამოწვევა არ შეეშინდება,"** - ამბობს რიბკინი და კრემლის ახალი ოლიგარქების შესახებ საუბრობს. **"ბუნებაში არაფერი იკარგება, სადღაც თუ რამე ქრება, ის თავს სხვაგან იჩენს,"** - ფიზიკის ეს კანონი კარგად ესმის რიბკინს, რომელიც მიუთითებს, რომ "შერისხული ოლიგარქების" ქონება ხალხს კი არ უბრუნდება, როგორც ამას ხელისუფლება აცხადებს, არამედ ახალი - ხელისუფლებისადმი ერთგული ოლიგარქების მოძლიერებას ემსახურება. ასეთებია ყველასათვის ცნობილი რომან აბრამოვიჩი, ძმები კოვალჩუკები, გენადი ტიმჩენკო და სხვა ადამიანები, რომლებსაც ქვეყნის უდიდესი სიმდიდრეები ეკუთვნით.

თუ ზღაპრული სიმდიდრის პატრონს - რომან აბრამოვიჩს მეტნაკლებად ყველა იცნობს, დღემდე ნაკლები ინფორმაციაა მიხაილ და იური კოვალჩუკებზე, გენადი ტიმჩენკოზე. სამივე პეტერბურგელია და პუტინს 1990-იანი წლების დასაწყისიდან იცნობენ. მათ პეტერბურგის პოლიტიკურ სცენაზე პირველი ნაბიჯები ერთად გადადგეს. სამივენი, რიბკინის მტკიცებით, სხვადასხვა ბანკების საშუალებებით აკონტროლებენ რუსეთის წამყვან ენერგეტიკულ ობიექტებს, ფლოტის დიდ ნაწილს, მედიას. როგორც რიბკინი ირწმუნება, ხშირ შემთხვევაში საუბარია სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ ფირმებზე, რომლებსაც რეალურად პუტინთან დაახლოებული საძმო მართავს. ამავე ჯგუფის ხელში გადავიდა "შერისხული ოლიგარქების", მაგალითად, გენადი გუსინსკის ქონება. ყველა ახალ ოლიგარქს კი, რიბკინის მტკიცებით, პირადად პუტინი აკონტროლებს: **"მე ვამტკიცებ, რომ რუსეთის ყველაზე დიდი ოლიგარქი პუტინია."**

პუტინის ხელისუფლებამ არ შეასრულა უმთავრესი დანაპირები – "კანონის უზენაესობის" უზრუნველყოფა. რიბკინი ოლიგარქების ორ ჯგუფზე საუბრობს – პუტინის "ახლობლებსა" და "არაახლობლებზე". საქმე ისაა, რომ სახელმწიფოს ხელშეწყობით სწორედ "ახლობლები" სარგებლობენ. ის, რაც ნებადართულია მათთვის, აკრძალულია სხვებისთვის და პირიქით. რიბკინი კითხულობს, თუ რატომაა საკმარისი ჟურნალისტური გამოძიების შედეგები "იუკოსის" საქმის აღსაძვრელად, მაშინ, როცა ზემოთ დასახელებული ბრალდებების გადამოწმებაც კი არავის სურს.

"ჩეჩნურ ტერაქტებში" კრემლის ხელი ურევია

რიბკინი რუს პოლიტიკოსთა იმ მცირე ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც ჩეჩნეთის ომს კატეგორიულად არ ეთანხმება, რადგან კარგად ესმის, რომ ეთნიკური პრობლემის მოგვარება ძალისმიერი მეთოდებით შეუძლებელია და ეს მხოლოდ დამატებით მსხვერპლს და ძალადობას შეუწყობს ხელს. ეს გამოცდილება რიბკინმა 1996-1998 წლებში რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნად მუშაობის დროს მიიღო, როცა ჩეჩნეთში ელცინის სპეციალური წარმომადგენლის ფუნქციებსაც ასრულებდა. რიბკინი რუსეთის ხელისუფლებას კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზების ძიებისკენ მოუწოდებს. მისი აზრით, რუსეთში გახშირებული "ჩეჩნური ტერორიზმის" უკან კრემლის ხელი იკვეთება. რიბკინი "ნორდ-ოსტის" ცნობილ მოვლენას იხსენებს, როცა ჩეჩენმა ტერორისტებმა თეატრის შენობა აიღეს და რამდენიმე ასეული მშვიდობიანი მოქალაქე მძევლად აიყვანეს. იგი საუბრობს საეჭვო ფაქტებზე, რომლებიც მიუთითებს, რომ ტერაქტი, თუ კრემლის მიერ მოწყობილი არა, სულ მცირე, კრემლის ინტერესებისთვის გამოყენებული მაინც იქნა. რიბკინის შეშფოთებას ამ შემთხვევაშიც ის ფაქტი იწვევს, რომ ჟურნალისტების მიერ მოპოვებული მასალების გადამოწმება სამართალდამცველებმა არც კი ისურვეს.

გაუჩინარების ტაქტიკა: კარგად დაგეგმილი პიარი?

რიბკინის პოპულარობა 1 პროცენტს არ აღემატება, ხოლო პუტინის 70-პროცენტიან რეიტინგზე ვერც ტერაქტები მოქმედებს და ვერც შეუსრულებელი დაპირებები. კრემლის მესვეურის რეიტინგი სტაბილურად მაღალია. ძნელი სათქმელია, რა მიზეზით იმალებოდა რუსეთის საპრეზიდენტო კანდიდატი. თუ ეს მართლაც წინასაარჩევნო პროპაგანდაა, რატომ ვერ პოულობდა "საგულდაგულოდ გადამალულ" რიბკინს "ყოვლისშემძლე უშიშროება", მით უფრო, რომ სამართალდამცავების განცხადებით, რიბკინს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთილი არ ჰქონდა. ამასთან, გადამეტებული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ კრემლს რიბკინის ლიკვიდაციით რაიმე შემატებოდა, იგი ხომ პუტინს რეალურად საფრთხეს ვერ შეუქმნის. თუმცა, თავად ამგვარი ფაქტის თუნდაც თეორიული შესაძლებლობა მიუთითებს, რომ ბევრი პრობლემა, რაზეც იგივე რიბკინი საუბრობს, რუსეთში რეალურად არსებობს. რიბკინის ბრალდებები ახალი არაა. "რუსული დემოკრატიის" უარყოფით მხარეებზე დასავლეთის პოლიტიკური თუ სამეცნიერო წრეები, უკვე დიდი ხანია, ღიად საუბრობენ. რუსეთი კლასიკური მაგალითია იმ არგუმენტის წინააღმდეგ, რომ ლიბერალური დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა "მართვადი," ანუ ავტორიტარული გზითაა შესაძლებელი. დემოკრატიული სახელმწიფო მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი პრინციპების დაცვით შეიძლება აშენდეს. რიბკინმა, თავისი გაუჩინარებით, სულ მცირე, იმას მიაღწია, რომ რუსეთში არსებულ პრობლემებზე კიდევ ერთხელ ალაპარაკდა მსოფლიო. იმავდროულად, საკითხავია - ექნება თუ არა ამ ცდას კონკრეტული შედეგი.

ირანის თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა

არაბეთის გაერთიანებული ემირატების ქალაქ შარჯას მახლობლად ირანის სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოვარდა. ლაინერი ეკუთვნოდა პირველ ირანულ კერძო ავიაკომპანია "კიშ ეარვეის"-ს. ემირატების ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებით, თვითმფრინავში 46 ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის 6 ეკიპაჟის წევრი იყო. ლაინერში მსხდომთაგან მხოლოდ სამი გადარჩა. აღსანიშნავია, რომ ბორტზე, ირანელების გარდა, ინდოეთის, ფილიპინებისა და ეგვიპტის მოქალაქეებიც იმყოფებოდნენ.

უკვე ნაპოვნია აფეთქებისას გადარჩენილი ორი "შავი ყუთი". მიმდინარეობს გამოძიება კატასტროფის მიზეზების შესახებ. ზოგიერთი ვერსიით, ავარიის მიზეზი შეიძლება თვითმფრინავის გაუმართაობაც ყოფილიყო.

ავიაკატასტროფები ირანის თანამედროვე ისტორიაში იშვიათი მოვლენა არ არის. "ბოინგები" აშშ-ში ირანის მიერ ჯერ კიდევ ისლამურ რევოლუციამდე იქნა შესყიდული. ირანთან ვაჭრობაზე ემბარგოს შემოღების შემდეგ, ექსპლუატაციისათვის უსაფრთხო მდგომარეობაში მათი შენარჩუნება ძალიან რთული გახდა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, მრავალმა ირანულმა ავიაკომპანიამ რუსული წარმოების თვითმფრინავების ლიზინგით აღების ხერხს მიმართა.

ბოლო დროს მომხდარი ავიაკატასტროფებიდან ყველაზე მეტი მსხვერპლით 2003 წლის თებერვალში ავღანეთის საზღვართან ირანული თვითმფრინავის დაღუპვა აღინიშნა. მაშინ 302 ადამიანი დაიღუპა, მათგან 284 პიროვნება ელიტური შენაერთის, რესპუბლიკური გვარდიის მებრძოლები იყვნენ.

ლიბიამ საერთაშორისო იზოლაცია გაარღვია

სამშაბათს ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდელ რაჰმან მოჰამედ შალგამი ლონდონში ჩავიდა. შალგამი ლიბიის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრია, რომელიც ბრიტანეთს ეწვია, მას შემდეგ, რაც 1969 წელს ლიბიის სათავეში სისხლიანი გადატრიალების შედეგად მოამარ კადაფი მოვიდა.

ლიბია ყველანაირად ცდილობდა, საერთაშორისო იზოლაციისთვის თავი დაეღწია. ამისათვის იგი მნიშვნელოვან დათმობებზეც კი წავიდა. გასული წლის დეკემბერში ლიბიამ განაცხადა, რომ მასობრივი განადგურების იარაღის (მათ შორის - ბირთვულის) წარმოების პროგრამებს შეაჩერებს.

ლიბიასა და დიდ ბრიტანეთს შორის ურთიერთობების დათბობა 1999 წლიდან იწყება, როდესაც მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა მოხდა და ბრიტანეთს გადასცეს შოტლანდიის ქალაქ ლოკერბის თავზე 1988 წელს "პან ამის" საერთაშორისო რეისის აფეთქებაში ეჭვმიტანილი ლიბიის ორი მოქალაქე. გასულ წელს ლიბია დათანხმდა, ტერაქტის შედეგად დაღუპულების ნათესავებისათვის კომპენსაციის სახით 2,7 მილიარდი აშშ დოლარი გადაეხადა. ლიბიას ასევე 1989 წელს აფეთქებული ფრანგული თვითმფრინავის მგზავრების ახლობლებისათვის 170 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს.

აღნიშნულ ვიზიტამდე აშშ კვლავაც აგრძელებდა სანქციების გატარებას ლიბიის წინააღმდეგ, მაგრამ სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. გუშინვე ცნობილი გახდა, რომ აშშ-სა და ლიბიას შორის დიპლომატიური ურთიერთობები აღდგება და ამერიკელი დიპლომატები ტრიპოლში თვის ბოლოსთვის ჩავლენ. მისიის ერთ-ერთი მიზანი აშშ-ს მასობრივი განადგურების იარაღის ექსპერტთა დახმარებაც იქნება.

ზოგიერთი მოსაზრებით, სანქციების შესუსტება საშუალებას მისცემს ამერიკულ ნავთობკომპანიებს – მათ შორის, "ოაზის ჯგუფს", რომელშიც შედის "მარათონ ოილი", "კონოკმოფილიპსი" და "ამერადა ჰესი" - განაახლონ საქმიანობა ლიბიაში, რომლის შეწყვეტაც მათ 1986 წელს აშშ-ს მიერ სანქციების შემოღების გამო მოუხდათ.

ევროპულ ნავთობკომპანიებს, როგორიცაა ფრანგული "ტოტალი" და იტალიური "აგიპი", აშშ-ს მხრიდან კონკურენციის არქონის გამო, ლიბიაში სრული თავისუფლება აქვთ და სარფიანი კონტრაქტებიც აქვთ გაფორმებული. ლიბია დღეღამეში 1,4 მლნ ბარელ ნავთობს მოიპოვებს და "ოპეკის" წევრია.

REUTERS

ჯეკ სტრო და აბდელ რაჰმან მოჰამედ შალგამი.

სამშაბათს ლონდონში გამართული მოლაპარაკებები სხვა ქვეყნებისთვის ნიშანი უნდა გახდეს იმისა, რომ თუ ისინი შეიარაღების პროგრამებზე უარს იტყვიან და ტერორისტებთან კავშირს გაწყვეტენ – გზა ხსნილი ექნებათ აშშ-სთან და ბრიტანეთთან ნორმალური ურთიერთობების დასამყარებლად.

ზოგიერთი ექსპერტის მტკიცებით, ლიბიის უკანასკნელი ნაბიჯები მხოლოდ მოსალოდნელი თავდასხმის შიშითაა ნაკარნახევი. 2003 წლამდე ხომ ლიბია აშშ-ს მიერ შედგენილი ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოთა სიაში ირიცხებოდა და ვარაუდობდნენ, რომ ერაყის შემდეგ სწორედ ლიბია შეიძლებოდა გამხდარიყო აშშ-ს დარტყმის სამიზნე.

"ისინი (ბრიტანეთის ოფიციალური პირები) ამ ფაქტს აღიქვამენ, როგორც ტრიუმფს, როგორც ერაყის ოკუპაციის სისწორის დადასტურებას," - განაცხადა "სი-ენ-ენ"-ის ევროპის პოლიტიკურმა რედაქტორმა რობინ ოკლიმ.

ლიბიის ხელისუფლების კომპრომისული მოქმედება შეიძლება განვიხილოთ, როგორც საზოგადოებრივი აზრის შემზადება და სამაგალითო საქციელი ჩრდ. კორეისა და ირანის მსგავსი ქვეყნებისათვის.

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიძვილი

ელენე კუკი: აფხაზეთში ძალიან ეშინიათ სააკაშვილის!

შთაბეჭდილებები სოხუმიდან დაბრუნების შემდეგ

"თქვენი აფხაზეთი"-ს წინა ნომრის სტუმარი იყო ქალბატონი ელენე კუკი, რომელიც ინგლისური საერთაშორისო ორგანიზაცია "შერიგების რესურსების" პროექტის "აუდიოდღიურების" კოორდინატორია და თავის ორგანიზაციასთან ერთად, რამდენიმე წელია, ქართულ–აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში მონაწილეობს. ერთი კვირის წინ იგი სოხუმიდან დაბრუნდა და თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

ლელა მარგიანი

ელენე კუკი: 3 თებერვალს სოხუმში, ჩვენი პროექტის "ცხოვრებისეული ისტორიების" დისკის პრეზენტაცია გაიმართა. გვინდოდა, ფართო საზოგადოებას სცოდნოდა ამის შესახებ. ამიტომ პრეზენტაციაზე მოვიწვიეთ არა მხოლოდ დღიურების ავტორი – რიგითი ადამიანები და პროექტის ყველა იქაური მონაწილე, არამედ, სპეციალურად დავპატიჟეთ აფხაზი პოლიტიკოსებიც. პოლიტიკოსები ხომ ის ხალხია, ვინც რადიოს არ უსმენს! ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, პოლიტიკოსებმა, რომლებიც ხალხის სახელით ლაპარაკობენ და ქართულ–აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში მონაწილეობენ, გაიგონ, თუ რას ფიქრობენ რიგითი ადამიანები. ჩვენ ყველა მოსულ პოლიტიკოსს თითო დისკი ვუსახსოვრეთ.

- როგორი შთაბეჭდილება მოახდინა დისკის პრეზენტაციამ აფხაზურ საზოგადოებაზე?

- შთაბეჭდილება იყო დადებითი. ჩვენ მათ მოვასმენინეთ რამდენიმე დღიური დისკიდან. პრეზენტაციაზე მოწვეულმა დღიურების ავტორებმა თავიანთი განცდები და ემოციები გაიხსენეს.

მათ თავიანთი ცხოვრებიდან სხვა საინტერესო ამბებიც გვიამბეს. ძალიან სასიამოვნო ატმოსფერო იყო. "რიგითმა ადამინებმა" და პარლამენტის წევრებმა ამ პრეზენტაციის დროს გაიცნეს ერთმანეთი. პრეზენტაციის მოწყობის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ მათი გაცნობა და დაახლოება იყო. მართალია, სოხუმი პატარა ქალაქია და, პრინციპში, ყველა ერთმანეთს იცნობს, მაგრამ ხალხი და ლიდერები - დეპუტატები, მთავრობის წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, ხშირად ვერ ხვდებიან ერთმანეთს.

პროექტის გამო, ყოველ სამ თვეში ერთხელ მიწევდა აფხაზეთში ჩასვლა. უნდა აღვნიშნო, რომ ამ ხნის განმავლობაში იქ გარკვეული ცვლილებები მოხდა და ეს ძალიან შესამჩნევია. ცოტა ხნის წინ იქაც გაიმართა პარლამენტის წინ დემონსტრაციები, ბევრი ხალხი შეიკრიბა და ჟურნალისტები აკეთებდნენ "პირდაპირ" ჩართვებს, მოეწყო ტელედებატები სხვადასხვა მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ეს ყველაფერი ძალიან ახალია მათთვის. ეს ჩემთვისაც მოულოდნელი იყო! ისინი ძალიან პოზიტიურად იყვნენ განწყობილი ჩვენი დღიურების მიმართ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რაღაც დონეზე ისინი გაიხსნენ. აჩვენებენ, რომ საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი. ხდება ღია საზოგადოების ჩამოყალიბება. ეს, რა თქმა უნდა, წინ გადადგმული ნაბიჯია.

ამავე დროს, უნდა აღვნიშნო, რომ

ზაზა ფაჩიკაძისა. ფოტო

ელენე კუკი "24 საათის" რედაქციაში.

ძალიან რთულია მათი დამოკიდებულება შექმნილი მდგომარეობის მიმართ. ისინი იხსენებენ ბევრ კარგს, რაც ადრე იყო, მაგრამ, იმავდროულად, კონფლიქტის დროს იმდენი ცუდიც მოხდა, რომ ძალიან ძნელია დამაკავშირებელი ძაფების აღდგენა. არის ოცნება, რომელიც სინამდვილედ გვესახება, მაგრამ არსებობს რეალობა - მათ უნდათ დამოუკიდებლობა.

ადამიანებს არა აქვთ ილუზია რუსეთთან დაკავშირებით, მაგრამ საქართველოსა და რუსეთს შორის არჩევანის გაკეთებისას, აფხაზები მაინც რუსეთს ამჯობინებენ. ისინი ძალიან შეწუხებულები არიან იმით, რაც საქართველოში ხდება. ძალიან ეშინიათ სააკაშვილის. ეშინიათ მისი განცხადებების, გამოთქმების, რომელშიც იგი მიუთითებს, რომ მზადაა ძალის გამოსაყენებლად.

როგორც კი სოხუმში ჩავედი, პირველი რაც მკითხეს იყო – აბა, რას შეიძლება ველოდოთ სააკაშვილისგან? ის აგრესორია თუ არა? როდესაც მე ავუხსენი, რომ იგი არაა აგრესორი, მათ მკითხეს, აბა რას ნიშნავს მისი ნათქვამი – არჩევნები აფხაზეთის მიწაზე უნდა ჩატარდესო?! ისინი ამბობენ, თუ ადრე ვიცოდით, რა გველოდა შევარდნაძისგან, ახლა სულაც არ ვიცით, რა გველის სააკაშვილისგანო. სააკაშვილის ამერიკასთან მეგობრობაც ძალიან აშინებთ, ამიტომ რუსეთთან ყოფნაში ხედავენ გამოსავალს. სჯერათ, რომ მათ ინტერესებს რუსეთი დაიცავს.

- რუსეთისკენ სწრაფვას სხვა საფუძველიც ხომ არა აქვს?

- ამას ყველაფერს, რა თქმა უნდა, ეკონომიკური საფუძველიც აქვს. რუსეთი მათთვის რეალურად აკეთებს რაღაცას, "უმსუბუქებს" მდგომარეობას. თუნდაც პასპორტიზაცია ავიღოთ, აფხაზეთში ესმით, რომ რუსეთის მოქალაქის პასპორტის აღებით, შეიძლება დამოუკიდებლობა დაკარგონ, მაგრამ მათ ამით გარკვეული შეღავათები ეძლევათ - ვაჭრობის შესაძლებლობა, კარგი პენსია, უფასო მკურნალობა, განათლება.

ესაა თავის გადარჩენა და სხვა არაფერი. ამას თვითონვე აღიარებენ.

- საკმაოდ პესიმისტური განწყობა დამეუფლა. თქვენი აზრით, რაშია გამოსავალი?

- ჩემი აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ორ მხარეს – ქართულსა და აფხაზურს შეუძლია. უნდა იყოს ხშირი ორმხრივი შეხვედრები, ყოველგვარი მესამე მხარის გარეშე. შექმნილ სიტუაციაში თქვენ დათმობით უნდა სძლიოთ აფხაზების წინააღმდეგობას. როცა ისინი დარწმუნდებიან, რომ თქვენ მხოლოდ მშვიდობიანი გზით აპირებთ წინსვლას, მათი წინააღმდეგობა გატყდება, დაიშლება.

აფხაზებმა მითხრეს, რომ მათთვის პაატა ზაქარეიშვილი უფრო საშიშია, ვიდრე ნადარეიშვილი. ეს მართლაც ასეა იმიტომ, რომ პაატა ზაქარეიშვილი მათ ქართული საზოგადოების ჰუმანურ, კაცთმოყვარე სახეს აჩვენებს. ამის წინააღმდეგ ბრძოლა კი ძნელია. ქართულ საზოგადოებაში რაც უფრო მეტი მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრე ადამიანი იქნება, მით უფრო გაუძნელდებათ აფხაზეს თავისი პოზიციის დაცვა. ეს მათ ძალიან კარგად ესმით!

ფოსტა

თანამებრძოლის ღირსების შელახვას არავის ვაპატიებთ

თავს მოვალედ ვთვლით, გამოვეხმაუროთ ერთ ფრიად უტაქტო და დაუსაბუთებელ განცხადებას, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ გაკეთდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დირექციის სხდომაზე ამავე უმაღლესი სასწავლებლის პერიოდული ორგანოს, გაზეთ: "სოხუმის სადროშო"-ს მთავარი რედაქტორის მიერ. ის ლახავს სოხუმის უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორის, საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის, აფხაზეთის სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთ-ერთი კოლორიტული წარმომადგენლის, ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ჩვენი თანამებრძოლის, აფხაზეთის ომის პერიოდში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების უფროსი ოფიცრის, თადარიგის კაპიტან ზურაბ პაპასქირის პიროვნულ ღირსებას.

ჩვენთვის სრულიად გაუგებარია "ბრალდება", რომელსაც უყენებს ხსენებული განცხადების ავტორი ბ-ნ ზ. პაპასქირს. საზოგადოებამ იცის (ამის შესახებ პრესაში არა ერთხელ დაწერილა) თუ რა გამოუვალ ვითარებაში (თვით ბ-ნი ზურაბისა და მისი ოჯახის, დედისა და მეუღლის, ფიზიკური ანგარიშსწორების რეალური საშიშროების ზღვარზე) მოხდა მისი პატიმრობაში აყვანა სეპარატისტთა უშიშროების სამსახურის მიერ. რამდენად კაცთმოძულე უნდა იყო ადამიანი, რომ პიროვნება, რომელმაც ამდენი ჭირ-ვარამი გამოიარა და სასწაულებრივად დააღწია თავი ჯოჯოხეთს, დაადანაშაულო სეპარატისტებთან თანამშრომლობაში, იმ სეპარატისტებთან, რომელთა წინააღმდეგ ყოველთვის შეუპოვრად იბრძოდა და დღესაც იბრძვის პროფ. ზ. პაპასქირი, როგორც ისტორიოგრაფიულ-იდეოლოგიურ ფრონტზე, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე. ამის თვალსაჩინო მაგალითია თუნდაც მისი გადაცემების ციკლი "აფხაზეთი - ისტორიული წარსული და თანამედროვეობა"(რუსულ ენაზე), რომელიც მეოთხე წელია, სრულიად უანგაროდ მიჰყავს საქართველოს რადიოს პირველ არხზე და რომელსაც უსმენენ აფხაზეთშიც.

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვაპირებთ პროფ. ზ. პაპასქირის მრავალმხრივი, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასებას, მაგრამ საჭიროდ ვთვლით ორიოდე სიტყვა ვთქვათ მის საქმიანობაზე მეორე საარმიო კორპუსში.

ზ. პაპასქირი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მოვიდა 1993 წლის იანვრის ბოლოს, იმ დროს, როდესაც ცხადი გახდა, რომ აფხაზეთის კონფლიქტი გასცდა ძმათა შორის შუღლის ფარგლებს და მან საქართველოსთვის, ფაქტობრივად, სამამულო ომის ხასიათი მიიღო. გვინდა აღვნიშნოთ, რომ მას, როგორც ცნობილ მეცნიერს, არც თუ ისე ახალგაზრდა და ჯანმრთელ კაცს, თავდაპირველად (სამხედრო კომისარიატისა და 23-ე ბრიგადის მეთაურის დონეზე) უარი ეთქვა სამხედრო სამსახურზე. მაგრამ ბ-ნმა ზურაბმა ჯიუტად უკან არ დაიხია და მიაღწია იმას, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ის დაინიშნა მეორე საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების უფროს ოფიცრად.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ექსტრემალურ სიტუაციაში იწყებოდა ქართული არმიის ჩამოყალიბება. ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გამოკვეთილი სათანადო სტრუქტურული დანაყოფების, მათ შორის, აღმზრდელობითი სამსახურის ფუნქციები. ასეთ ვითარებაში, ზ. პაპასქირი შემოქმედებითად მოეკიდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მისი ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით მეორე საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილებაში შემუშავდა საჯარისო ფორმირებებში პატრიოტულ-აღმზრდელობით მეცადინეობათა თემატიკა, რომელიც სახელმძღვანელო გახდა, მეორე საარმიო კორპუსისადმი დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილებისათვის, შემდეგ კი გავრცელდა საქართველოს მთელ შეიარაღებულ ძალებში. საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ზ. პაპასქირის მიერ დამუშავებულმა პირველივე თემამ: "საქართველოს საგარეო პოლიტიკური და სამხედრო დოქტრინა." რომლის საფუძველზე ჩატარდა მეცადინეობები საქართველოს თავდაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ნაწილებში. გარდა იმისა, რომ ზ. პაპასქირი უშუალოდ ატარებდა ლექცია-საუბრებს ბატალიონებში, ის ეწეოდა აქტიურ იდეოლოგიურ საქმიანობას მეორე საარმიო კორპუსის შტაბშიც. მის მიერ იქნა მომზადებული მეორე საარმიო კორპუსის სარდლობის მოწოდება-პროკლამაცია აფხაზური მხარისადმი, რომელშიც გამოხატული იყო ქართველ მეომართა კეთილი ნება შეეწყვიტათ ძმათამკვლელი ომი.

ზ.პაპასქირი ასრულებდა თადაცვის საბჭოსა და მეორე საარმიო კორპუსის სარდლობის სხვა მნიშვნელოვან დავალებებსაც. კერძოდ, მისი აქტიური მონაწილეობით მოეწყო არა ერთი შეხვედრა საქართველოს ეკლესიის ღირსი მამებისა (ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსის მეუფე დანიელის მეთაურობით) და აფხაზეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების (გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე, თეიმურაზ მიბჩუანი, ევგენი აქუბარდია და სხვ.) მეომრებთან უშუალოდ ფრონტის ხაზზე (კამანი, შრომა, ლინდავა, მერკულა, წარჩე და ა.შ.).

ეს არის მხოლოდ მცირედი, რაც შეიძლება ითქვას ზ. პაპასქირის ჯარისკაცულ ცხოვრებაზე. მას არასოდეს შეუღახავს ქართველი ოფიცრის მუნდირი და მუდამ ღირსეულად უტარებია ის. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მეომრებში. ზ. პაპასქირი იდგა აფხაზეთის მეომართა კავშირის შექმნის სათავეებთან, იყო ამ ორგანიზაციის მთავარი საბჭოს წევრი. პროფ. ზ. პაპასქირი ჭირში თუ ლხინში ერთგულად უდგას მხარში მეომრებს და ამხნევებს მათ. ეს ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა 2003 წლის ზაფხულში "იმელის" შენობასთან მიმდინარე აფხაზეთის ომის ვეტერანთა შიმშილობის აქციისას.

ერთი სიტყვით, ბ-ნი ზურაბ პაპასქირის სახით ქართულ საზოგადოებას ჰყავს მისაბაძი პიროვნება, რომელმაც, როგორც სამხედრო მოსამსახურემ, ოფიცერმა, თავისი პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე პირნათლად მოიხადა და, რომლის ღირსების შელახვის მცდელობას არავის ვაპატიებთ.

ვალერი ქვარაია, გენერალ-მაიორი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის მეთაური;

ვახტანგ ვეკუა, პოლკოვნიკი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარი;

ზურაბ დადიანი, თადარიგის კაპიტანი, მეორე საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

როინ ჯანაშია, ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის მეთაურის მოადგილე;

დავით ცირამუა, ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის მეთაურის მოადგილე, პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების უფროსი, აფხაზეთის მეომართა კავშირის თავმჯდომარე;

ავთანდილ კილასონია, თადარიგის უფროსი ლეიტენანტი, მეორე საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების უფროსი ოფიცერი.

ცხოვრებისეული ისტორიები

... ცვრიან ბალახზე ...

მე აფხაზეთიდან დევნილი გახლავართ. მინდა მოგითხროთ შემთხვევაზე, რომელიც დევნილობის დროს აფხაზეთში გადამხდა.

ეს ამბავი აფხაზეთის დატოვებიდან ხუთი წლის შემდეგ მოხდა. გალში, მშობლიურ სოფელ ჭუბურხინჯში, მშობლების სანახავად ჩავედი. თან ძმისშვილები, თერმეტი და თორმეტი წლის გოგონები მყავდა წაყვანილი. მათი მშობლები – ჩემი ძმა და რძალი, რუსეთში იყვნენ წასულები და ბავშვებს მე ვუვლიდი. ბავშვებიც თან წავიყვანე დიდი ხნის უნახავ ბებია–ბაბუასთან.

უპრობლემოდ ჩავედით აფხაზეთში. ხუთი წელია, არ მენახა მშობლიური სოფელი, ჩემი სახლ–კარი, ეზო. იმდენად მენატრებოდა იქაურობა და ისეთი ამაღელვებელი იყო ყველაფერ იქაურის ნახვა, რომ ლამის დავკოცნე ჩემი ეზოს მიწა, თითოეული ხე ჩემს ეზოში. ჩემი გადამწვარი სახლის ნახვა, რა თქმა უნდა, იყო ძალიან ტრაგიკული და მტკივნეული, მაგრამ, იმავდროულად, იყო დიდი სიხარულიც, რადგან ძალიან, ძალიან მენატრებოდა იქაურობა. აფხაზეთში დარჩენილი დიდი ხნის უნახავი მეზობლების ნახვამაც ძალიან გამახარა.

არასდროს დამავიწყდება ერთი მომენტი, რომელიც იქ მოხდა...

როცა ჩვენ აფხაზეთში ჩავედით, წითელი პარასკევი იყო. აპრილი ახალი დაწყებული იყო და ჯერ კიდევ გრილოდა.

ჩემი ძმისშვილები, რომლებიც იმ სახლში დაიბადნენ და გაიზარდნენ, ჩემსავით ძალიან გახარებულები იყვნენ იქაურობის ხილვით... და ბავშვებმა თავისი უზომო სიხარული თავისებურად გამოხატეს – მათ ფეხზე გაიხადეს და, მიუხედავად სიგრილისა, მთელი დღე ფეხსაცმელი აღარ ჩაუცვამთ. არადა, მათ არასოდეს ფეხშიშველებს არ უვლიათ, მაშინაც კი, როცა პატარები იყვნენ და მერე, მით უმეტეს, თბილისში ხომ არ ივლიდნენ ფეხშიშველები?!..გაიხადეს ფეხზე და დარბოდნენ ეზოში. უმცროსმა თავისი დარგული ყვავილები მოიკითხა. გაიხსენეს, როგორ თამაშობდნენ ქვიშაში, როგორ ზელდნენ ტალახს და "აცხობდნენ" ტალახის ტორტებს...ეს ყველაფერი ძალიან ამაღელვებელი იყო ჩვენთვის, უფროსებისთვის...

მერე მთელი ღამის განმავლობაში უფროსებს არც კი დაგვიძინია, რადგან მაინც გვეშინოდა, რამე არ მომხდარიყო. თავზე დავფოფინებდით ბავშვებს. განვიცდიდი მათ ჩამოყვანას, არ მინდოდა, მათ შეშინებოდათ...ბავშვებს კი ისე მშვიდად და ღრმა ძილით ეძინათ.. სამი დღე-ღამე დავრჩით იქ და წამოსვლა აღარც კი უნდოდათ...

რუბრიკას უძღვება
ლელა მარგიანი

რადიოპროექტი – "ცხოვრებისეული ისტორიები" ხორციელდება ინგლისური საერთაშორისო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მიერ. ჩანაწერები მოგვაწოდა რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".

რადიო "მწვანე ტალღა"

ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.

FM 107,4

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

მეცნიერის ტრიბუნა

ეკონომიკური ფაქტორების როლი კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში

ამ სტატიის ავტორია სოხუმიდან დევნილი ალუ გამახარია, არასამთავრობო ორგანიზაციის "სამოქალაქო მშვიდობიანი ინიციატივა"-ს თანათავმჯდომარე. როგორც ბატონი ალუ ამბობს, წლების განმავლობაში აფხაზურ მხარესთან ერთად პრაქტიკულად განხორციელებული უამრავი მცირე ეკონომიკური პროექტის შედეგების და ამ პროცესში მიღებული გამოცდილების განზოგადება-გააზრებამ წარმოშვა ეს სტატია. ავტორი დიდი მადლიერებით იღებს მკითხველის შენიშვნებს და წინადადებებს.

ალუ გამახარია

რას ნიშნავს "ეკონომიკური ფაქტორები" და როგორ ზემოქმედებენ ისინი ადამიანთა შორის ურთიერთობებზე?

სიტყვა "ფაქტორი" წარმოიშვა ინგლისური "factor" – ისგან და ნიშნავს "აგენტს", "შუამავალს". მას გააჩნია რამდენიმე მნიშვნელობა. "ფაქტორის" ერთ-ერთი გამოხატულებაა ეკონომიკური რესურსი (მიწა, კაპიტალი, შენობა, მეწარმეობა და ა.შ), რომელიც "შუამავლობს" და გამოიყენება ადამიანის ეკონომიკურ საქმიანობაში და ზემოქმედებს მასზე.

ეკონომიკური ფაქტორები წარმოადგენენ იმავე რესურსების გამოყენების ისეთ პირობებს, მაჩვენებლებსა და პარამეტრებს, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკურ პროცესებსა და მის შედეგებს; ზეგავლენას ახდენენ ადამიანების და მათი ჯგუფების, დასახლებებისა და რეგიონების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მათ განვითარებაზე. ასეთია ეკონომიკური ფაქტორების ზოგადი ცნება და ეს სპეციალისტებს შორის კამათს არ იწვევს. კამათს არ იწვევს ისიც, რომ ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც არსებობენ ჩვენი ნებისგან დამოუკიდებლად, მოქმედებაში მოდიან უპირველესად ადამიანების მიერ, ან ადამიანების მეშვეობით და ზეგავლენას ახდენს მათ შორის ურთიერთობებზე. ეს მოკლე მსჯელობაც საკმარისია, რათა გავაკეთოთ მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ საერთოდ ეკონომიკური ფაქტორები (მიწა, კაპიტალი, შრომა, მეწარმეობა) თავისთავად წარმოადგენენ ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარების გამომწვევ მიზეზს და მისი გათვალისწინება, მართვა და გამოყენება ისეთ რთულ, მტკივნეულ და, ამავე დროს, ძალიან ფაქიზ პროცესში, როგორიცაა კონფლიქტის დარეგულირება – არა თუ მიზანშეწონილია, აუცილებელიცაა.

რა ძირითადი ეკონომიკური ფაქტორების ამოქმედებაა საჭირო და შესაძლებელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში?

კონფლიქტმა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქართველთა და აფხაზთა შორის ადრე არსებულ კეთილმეზობლურ, მეგობრულ და თბილ ურთიერთობებს.

დაპირისპირებულ მხარეებს შორის გაჩნდა რევანშისა და შურისძიების განწყობა, რამაც წარმოშვა შიშისა და უნდობლობის სინდრომი, რომელიც დღემდე გადაულახავია. იმის მიუხედავად, რომ პოზიტიური ძვრები ორივე საზოგადოებაშო მოხდა, კონფლიქტის მოგვარებაში შესამჩნევი პროგრესის მიღწევა მაინც ვერ მოხერხდა. სერიოზული პრობლემაა, უპირველეს ყოვლისა, დაკარგული ნდობის აღდგენა. ამისათვის კი, როგორც კაცობრიობის ისტორია ადასტურებს, ყველაზე ეფექტურია ეკონომიკური ფაქტორების ამოქმედება. უნდა გვახსოვდეს, რომ ისე არაფერი აახლოებს ადამიანებს, როგორც ერთობლივი საქმიანობა.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში საჭირო და შესაძლებელია ისეთი კონკრეტული ეკონომიკური ფაქტორების ამოქმედება, რომელშიც იგულისხმება შემდეგი:

- ვაჭრობის განვითარება დაპირისპირებულ მხარეებს შორის;
- ადგილობრივი ბუნებრივი რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მოპოვება-გადამუშავება, წარმოება-რეალიზაციაში თანამშრომლობა;
- კოოპერირება სამრეწველო პროდუქციის წარმოების პროცესში;
- თანამედროვე ინფორმაციული და სამრეწველო ტექნოლოგიების ურთიერთგაზიარება, მეცნიერებისა და სპეციალისტების თანამ,შრომლობის, ერთობლივი კვლევების, სწავლებისა და სხვა ურთიერთსასარგებლო საქმიანობის ხელშეწყობა;
- საომარი მოქმედებების დროს დაზიანებული ან განადგურებული, პირველ ეტაპზე სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების რეაბილიტაციის ერთობლივი პროგრამების შემუშავება განხორციელება;
- მცირე ბიზნესის მხარდამჭერი, ერთობლივი საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების ჩამოყალიბება და ამოქმედება;

ეს ჩამონათვალი კიდევ შეიძლება გაგრძელდეს, თუ დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთობებს უფრო დეტალურად განვიხილავთ ეკონომიკის კლასიკური ფაქტორების – მიწის, წყლის, და სხვა ბუნებრივი რესურსების, კაპიტალის, შრომითი და სამეწარმეო პოტენციალის გონივრულად, ორივე მხარისთვის სასარგებლოდ ეფექტურად გამოყენების ჭრილში. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ასეთი გონივრული თანამშრომლობის მაგალითს ჯერჯერობით მხოლოდ ენგურ ჰესის ექსპლოატაცია იძლევა. იგი უფრო ღრმა შესწავლასა და განზოგადებას საჭიროებს.

როგორია ეკონომიკური ფაქტორების როლი კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის თვალსაზრისით?

ბუნებრივია, ეკონომიკური ფაქტორები კონფლიქტის მიზეზებს ვერ აღმოფხვრიან და ვერც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს შეცვლიან, მაგრამ მათ შეუძლიათ კონფლიქტის დარეგულირების პროცესში შეასრულონ ძალიან საინტერესო როლი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

- ეკონომიკური ფაქტორები დაპირისპირებულ მხარეთა შორის საქმიანი ურთიერთობების დაწყების კატალიზატორი და სტიმულატორია.
- საქმიანი ურთიერთობების აღდგენა ხელს უწყობს მხარეთა შორის ურთიერთგაგების ატმოსფეროს ჩამოყალიბებას, მათ დაახლოებას და საბოლოო ჯამში ნდობის აღდგენას.
- ნდობის აღდგენა კარგ გარემოს უქმნის პოლიტიკოსებს კონსტრუქციული დიალოგისთვის, რაც ხელს უწყობს არსებული პრობლემების სწორ და სამართლიან გადაწყვეტას.
- ეკონომიკური ფაქტორების ამოქმედება, მხარეებისათვის ობიექტური და რეალური ინფორმაციის მომტანია არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე პროცესების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. ეს კი ფასდაუდებელი ანალიტიკური მასალაა სიტუაციის შეფასების, დასკვნების გაკეთებისა და მოვლენების პროგნოზირებისათვის.
- ეკონომიკური ფაქტორები მხარეებს უბიძგებენ მათ შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების მდგრადობისა და სტაბილურობისაკენ. ისინი აიძულებენ მხარეებს, ეძებონ კომპრომისები კონფლიქტის თანდათანობითი დარეგულირებისათვის.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური ფაქტორები კონფლიქტის დარეგულირების პროცესში კატალიზატორისა და სტიმულატორის როლს თამაშობს.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

ბარამიძეს კვლავ საბრძოლო განწყობა აქვს

ალბათ, ძნელი გასახსენებელია, ბოლო პერიოდში ძებნილთა დასაპატიმრებლად ჩატარებული სპეცოპერაცია უსისხლოდ დასრულებულიყო. პოლიციის ინფორმაციით, ასეთი ოპერაციის დროს თავდაპირველად სროლას დამნაშავეები იწყებენ, რის გამოც სამართალდამცველები იძულებულნი ხდებიან, მათი ლიკვიდაცია ადგილზევე მოახდინონ. ითვლება თუ არა ამგვარი შედეგით დასრულებული ოპერაცია წარმატებულად, ძნელი განსასჯელია, მაგრამ ფაქტია, სისხლიანი ოპერაციები საზოგადოებაში ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს.

თამარ კაკიტაძე

"დამნაშავეთა ლიკვიდაცია ჩვენი თვითმიზანი არ არის. რა თქმა უნდა, დანაშაულის გახსნის და სხვა დამნაშავეების გამოვლენის თვალსაზრისით, მათი ცოცხლად აყვანა გვირჩევნია, მაგრამ თუ სროლას დაიწყებენ, პოლიციის კანონის თანახმად, სამართალდამცველებს უფლება აქვთ საპასუხო ცეცხლი გახსნან და თუ საჭიროა, მათი ადგილზე ლიკვიდაციაც მოახდინონ. ასეა საფრანგეთში, ამერიკაში და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ადრე ათასი ბარიერი არსებობდა, რის გამოც პოლიციელები კრიმინალური სამყაროსგან დაშინებულნი იყვნენ. ჩვენ კი უკან დახევას არ ვაპირებთ. დამნაშავეები შეიარაღებულ წინააღმდეგობას ნუ გაგვიწევენ და არავის ვესვრით," – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ გუშინ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე, რომლის გამხსნელი თემაც გორის რაიონში ორი ძებნილის ლიკვიდაციით დასრულებული სპეცოპერაცია იყო.

კასპელი ძმები - ლევან და გიორგი ბეგლარაშვილები რაიონის სამართალდამცველების მიერ სხვადასხვა დანაშაულისთვის იძებნებოდნენ. რამდენიმე დღის წინ კი ერთ-ერთი სამძებრო ღონისძიების დროს, სოფელ დოესში ძმებმა სამი პოლიციელი დაჭრეს. ჩვენი ინფორმაციით, ლევან ბეგლარიშვილმა დაზვერვაზე მყოფი პოლიციელი მოულოდნელად ქოხში შეათრია, იარაღი წაართვა და დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, ფანჯრიდან კი ხელყუმბარა ისროლა, რის გამოც კიდევ ორმა პოლიციელმა მძიმე დაზიანებები მიიღი.

"როგორც დაგპირდით, პოლიციელებზე თავდასხმას არავის ვაპატიებთ", - განაცხადა გიორგი ბარამიძემ და ამის დასადასტურებლად გუშინდელი სპეცოპერაცია დაასახელა.

ძებნილ ძმებს ლევან და გიორგი ბეგლარაშვილებს და მათ თანამონაწილეს უსურგუნაშვილს პოლიციამ მაღალმთიან სოფელ ნათლისმცემელში მიაკვლია.

თათანაშვილების საცხოვრებელ სახლში მიმალულ ძებნილებს სამართალდამცველებმა წინააღმდეგობის გარეშე ჩაბარება შესთავაზეს, თუმცა საპასუხოდ ბეგლარაშვილებმა პოლიციას ცეცხლი გაუხსნეს. ორმხრივი სროლის დროს ორივე დამნაშავე ადგილზე იქნა ლიკვიდირებული. შემთხვევის ადგილიდან კი ამოღებულია მათი კუთვნილი ხელყუმბარა, სანადირო თოფი, გლუვლულიანი გადაჭრილი თოფი და პოლიციის თანამშრომლების დაჭრისას გატაცებული ტაბელური იარაღი.

ვახო ბესელია. ფოტო

ბარამიძე პოლიციელთა რიგების გაწმენდას აგრძელებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, გუშინ ცხინვალის საავადმყოფოში გარდაიცვალა კიდევ ერთი დამნაშავე, რომელმაც თანამზრახველებთან ერთად სამართალდამცველებს ცეცხლსასროლი იარაღით წინააღმდეგობა გაუწია.

ორი დღის წინ ქართველმა პოლიციელებმა ცხინვალის რაიონში ოთხი გატაცებული მანქანა დაიფიქსირეს. სამართალდამცველთა მოთხოვნას – გაჩერებულიყვნენ, მანქანაში მყოფებმა ცეცხლით უპასუხეს. მათ სროლა ჯერ ცეცხლსასროლი იარაღიდან დაიწყეს, შემდეგ კი ხელყუმბარა ისროლეს. ორმხრივი სროლის დროს პოლიციელები არ დაშავებულან. დამნაშავეებმა კი ორი მანქანა – "მერსედესის" და "BMW"-ს ჯიპები მიატოვეს და გაიქცნენ. გუშინ ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული სროლის დროს დაჭრილი ერთ-ერთი პიროვნება საავადმყოფოში გარდაიცვალა. იგი ე.წ. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი - ვიქტორ მამიტოვი აღმოჩნდა.

"ეს მნიშვნელოვანი ფაქტია. ამის გამო, ჩვენ შეგვიძლია საერთაშორისო ორგანიზაციებს წავუყენოთ პრეტენზიები, გააქტიურონ კონტროლი სეპარატისტული ხელისუფლების მიმართ, რომლებიც მანქანების გატაცებით და, საერთოდ, კრიმინალით სულდგმულობენ", - აღნიშნა გიორგი ბარამიძემ.

გუშინდელ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრი კიდევ ერთხელ შეეხო სტრუქტურის უღირსი კადრებისგან გაწმენდის თემას, რაზეც შს, უშიშროების სამინისტროები და გენერალური პროკურატურა ერთობლივად მუშაობს.

საბოლოოდ კი, ჟურნალისტებთან შეხვედრა გიორგი ბარამიძემ კარგი ინფორმაციით დაასრულა.

გუშინწინ საქართველოს ბიუჯეტს მილიონ 14 ათასი ლარი შეემატა. იგი აღნიშნული თანხის დამალვაში ბრალდებულმა მადნეულის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ვახტანგ ჩხეიძემ დააბრუნა. ჩხეიძე ამჟამად გათავისუფლებულია პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. თუმცა, მის მიმართ გამოძიება კვლავ გრძელდება, რადგან მინისტრის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ მას გაცილებით დიდი თანხა ჰქონდეს დამალული.

"ეს პენსიონერთა, დევნილთა, ჯარისკაცთა და ავადმყოფთა სამკურნალო თანხებია. ჩვენ პირობა დავდეთ, რომ მოპარულ ფულს ყველას დავაბრუნებინებთ და ამ მხრივ ბრძოლას კვლავაც გავაგრძელებთ", – გვპირდება შინაგან საქმეთა მინისტრი.

კანონიერი ქურდები კახელ პოლიციელებს აფრთხილებენ

პირველი გვერდიდან

ბოლო ერთი თვის მანძილზე კახეთში ძალოვანი უწყების ხელმძღვანელების გააქტიურება საგრძნობლად შეიმჩნევა. მათი "წარმატებული" მუშაობა კი იმაში გამოიხატება, რომ ახალი ხელმძღვანელობის წინაშე ყველას თავის მოწონება სურს. თუმცა, ცხადია, ისინი ამას არ აღიარებენ და აცხადებენ, რომ პოლიციამ, ბოლოს და ბოლოს, ხალხის ნდობა უნდა დაიმსახუროს. რამდენად მოიგებენ კახელი პოლიციელები მოსახლეობის გულს, ძნელი სათქმელია. ერთის თქმა კი უკვე შეიძლება - საგზაო პოლიციას მიჩვეულის გადაჩვევა უჭირს. თანაც, თუ ისინი აქამდე სამარშრუტო ტაქსის მძღოლებისგან 2 ლარს იღებდნენ, ამჯერად "სტავკებმა" ხუთ ლარამდე მოიმატა. ამ საკითხთან დაკავშირებით ძალოვანები კომენტარს, რა თქმა უნდა, არ აკეთებენ, რადგან მათ უფრო დიდი საფიქრალი აქვთ.

გიორგი ბარამიძეს გამინისტრების შემდეგ, "შავებსა" და "წითლებს" შორის შევარდნაძის ეპოქაში გადებული "მეგობრობის ხიდი" ჩატყდა. ამის მიზეზი ის სპეციალური განკარგულებაა, რომლის მიხედვითაც, კანონიერი ქურდებისა და კრიმინალური ავტორიტეტების მიმართ სადამსჯელო ღონისძიებები ტარდება - თანამდებობების შესანარჩუნებლად და დასაწინაურებლად კახელი პოლიციელები ყველანაირ რისკზე მიდიან.

თავდაპირველად რეგიონის პოლიციამ ახალი ხელმძღვანელის გულის მოსაგებად გურჯაანელი კანონიერი ქურდი, მამუკა ცისკარიშვილი, მეტსახელად "კიო" დააკავა. მისი დაკავება სამხარეო პოლიციამ თელავში, სიმამრის ბინაში მოახერხა. ბრალად კი მას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა წაუყენეს. არადა, როგორც მისი ახლობლები ამბობენ, "კიომ" ნარკოტიკების გამოყენებას რამდენიმე თვეა, რაც თავი დაანება. ბრალდებულის ახლობლების თქმით, ცისკარიშვილის წინააღმდეგ საქმე მას შემდეგ აღიძრა, რაც იგი განყოფილებაში მიიყვანეს, ზეწოლა მოახდინეს და პირში იძულებით "ჰეროინი" გამოავლებინეს...

პოლიციასა და ავტორიტეტებს შორის სიტუაცია კი მას შემდეგ გამწვავდა, როცა ანალოგიური სპეცოპერაცია უკვე სიღნაღის რაიონში განხორციელდა. რაიონის ახალდანიშნულმა პოლიციის უფროსმა გოჩა ღვედაშვილმა მისვლის დღიდან, სიღნაღში კრიმინალური ვითარების გამოსასწორებლად, რადიკალურ ზომებს მიმართა და რამდენიმე ავტორიტეტი დააკავა. მათ შორის იყო სოსო ჯავაშვილი, იგივე "ტიკნო", რომელიც სულ მალე, ასე ვთქვათ, კანონიერ ქურდად უნდა მონათლულიყო, მაგრამ პოლიციამ მას გეგმების განხორციელებაში ხელი შეუშალა და საპყრობილის გზას გაუყენა. სამართალდამცველების მხრიდან ასეთ დარტყმას შეუჩვეველ ავტორიტეტებში, ყოველივე ზემოთთქმულმა გაღიზიანება გამოიწვია. მათ, გაფრთხილების მიზნით, გოჩა ღვედაშვილს და მის ყოფილ მოადგილეს, ამჟამად კახეთის სამხარეო პოლიციის სამძებრო განყოფილების უფროსს სოსო ციციშვილს ორი კუბო გუგზავნეს და შეუთვალეს: **"თუ ჩვენს ძებნას თავს არ დაანებებთ, შიგ ჩაგაწვენთო"**.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, სამხარეო პოლიციაში ოფიციალური კომენტარისგან თავს იკავებენ, თუმცა, როგორც ღვედაშვილი, ციციშვილი და რეგიონის კრიმინალური პოლიციის უფროსი გოჩა ნაზღაიძე ამბობენ, **"გამომგზავნს რაღაც შეეშალა, რადგან კუბოები ზომით ძალიან პატარაა და, ვინ იცის, ადრესატი ჩვენ კი არა, თავად შემკვეთი არ იყოს. მაშინ ზედმეტი წვალება აღარ დაგვჭირდებაო".**

ეს მეტად ავისმომასწავებელი საჩუქრები ამჟამად კახეთის სამხარეო პოლიციაში ინახება. გოჩა ნაზღაიძემ კი გაგვიმხილა, რომ ყველანაირი ზომაა მიღებული და სულ მალე იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც მათ უწყებას დიდი საფიქრალი გაუჩინა, მკაცრი ზომები გატარდება.

უზენაესი სასამართლოს უპრეცედენტო განაჩენი

ჯონი გიგანის მანქანის აფეთქებაში ბრალდებული უშიშროების პოლკოვნიკი სასამართლომ გაამართლა

"ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება," – ორი თვის წინ მოსამართლე ჯემალ ლეონიძის მიერ გამოტანილი განაჩენი ასე შეაფასა 14 წლით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში დატუსაღებულმა უშიშროების ყოფილმა პოლკოვნიკმა, რომელიც ბიზნესმენ ჯონი გიგანის მანქანის აფეთქების მცდელობისთვის დააპატიმრეს. "სასამართლომ კანონიერი გადაწყვეტილება გამოიტანა," – ორი თვის შემდეგ იგივე საქმეზე გამოტანილ ახალ განაჩენს განსასჯელმა უკვე ასეთი შეფასება მისცა.

ინგა ალავიძე

საქმე ისაა, რომ გუშინ უზენაესმა სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება გამოიტანა. ჯერ თბილისის პროკურატურის მიერ ჯონი გიგანის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულად გამოცხადებული, ხოლო შემდეგ უზენაესი სასამართლოს მიერ ამ ბრალდებისთვის მძიმე სასჯელით დატუსაღებული ალექსანდრე მაისურაძე, ფაქტობრივად, გაამართლა.

უფრო ზუსტად, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ მსჯავრდებულ ალექსანდრე მაისურაძეს ბიზნესმენ ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებისათვის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდება მოუხსნა. შესაბამისად, უშიშროების ყოფილ პოლკოვნიკს 14-წლიანი პატიმრობაც შეუმცირდა. საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით, ალექსანდრე მაისურაძეს მხოლოდ ერთი ბრალდება დარჩა - იარაღის უკანონო შენახვისთვის მას 2 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

შეგახსენებთ, რომ უზენაესმა სასამართლომ მაისურაძეს 14-წლიანი განაჩენი 2003 წლის 28 ნოემბერს გამოუტანა. თბილისის პროკურატურის საბრალდებო დასკვნას უზენაესი სასამართლოც დაეთანხმა და მაისურაძისთვის წაყენებული მძიმე ბრალდების საფუძვლად სამართალდამცველებმა სამორინე "ოსკარის" წილების გამო ყოფილ პარტნიორებს - გიგანსა და მაისურაძეს შორის წარმოქმნილი დაპირისპირება მიიჩნიეს.

სხვათა შორის, სასამართლო პროცესზე დაზარალებულმა ჯონი გიგანმა პროკურატურისთვის მიცემული ჩვენება შეცვალა. მან უკმაყოფილება გამოთქვა მისი აფეთქების მცდელობის შესახებ გამოძიების მიერ დადგენილი მოტივაციის თაობაზე და გამოთქვა ვარაუდი, რომ სასტუმრო "აჭარასთან" მის წინააღმდეგ განხორციელებული აფეთქება, პატარკაციშვილის მედია-ჰოლდინგის დაცვის უფროსმა ალექსანდრე მაისურაძემ, შესაძლოა, ბადრი პატარკაციშვილის დაკვეთით დაგეგმა და არა პიროვნული ინტერესის საფუძველზე. ჯონი გიგანის მაშინდელი განცხადებით, პატარკაციშვილისა და მისი ბიზნეს-ინტერესები საფეხბურთო კლუბ "დინამოს" გამო გადაიკვეთა. **"კლუბი "დინამო" რამდენიმე წლის წინათ ორგანიზაცია "ბერმუხამ" შეიძინა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი მე ვიყავი. მოგვიანებით, "დინამოში" საკუთარი ინტერესი ბადრი პატარკაციშვილს გაუჩნდა და შესაძლოა, ჩემი თავიდან მოშორება ამიტომ მოინდომეს,"** – ასეთი იყო გიგანის ვარაუდი. თუმცა, ეს ვარაუდი ორი თვის წინ ჩატარებულმა სასამართლომ არ მიიღო.

შეგახსენებთ, რომ გიგანსა და პატარკაციშვილს შორის "დინამოს" გამო დავა მართლაც მიმდინარეობდა. როგორც ცნობილია, კლუბის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა, მერაბ რატიანმა თავისი 28-პროცენტიანი წილი გიგანს გადასცა. სავაჭრო ცენტრ "მორკინალის" მფლობელი "დინამოს" ახლანდელ მფლობელთან – ბადრი პატარკაციშვილთან სამართლებრივ ომშიც კი ჩაება. თუმცა, მაშინ საოლქო სასამართლოში გამართული პროცესი ჯონი გიგანმა წააგო და იგი საკუთარი ბიზნეს-ინტერესების დაცვას სტრასბურგის სასამართლოშიც კი აპირებდა.

მოსამართლე ჯემალ ლეონიძის მიერ გამოტანილი განაჩენი მაისურაძის ადვოკატმა საკასაციო პალატაში გაასაჩივრა. საქმის ხელახალი განხილვის შემდეგ, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ გიგანის ავტომანქანის აფეთქებაში მაისურაძის დასადანაშაულებლად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს. ანუ, ვერც თბილისის პროკურატურამ და ვერც უზენაესმა სასამართლომ საქმე ობიექტურად, სრულყოფილად ვერ გამოიძია.

მაისურაძის ადვოკატმა ვოვა გაბრიჩიძემ სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება კანონიერად შეაფასა და განაცხადა, რომ თუ სასამართლოზე ოდესმე ზეწოლა განხორციელებულა, ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა მაისურაძეს 14-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

გუშინდელმა გადაწყვეტილებამ დაზარალებული მხარე აღაშფოთა. ჯონი გიგანის მეუღლის თაკო ჩარკვიანის განცხადებით, **"უზენაესმა სასამართლომ სისხლიან ფულს მოჰკიდა ხელი, გაათავისუფლა ტერორისტი და მისი შვილები ნაღმზე დასვა".** ჩარკვიანმა ეჭვი გამოთქვა, რომ სასამართლოზე ზეწოლა განხორციელდა და განაცხადა, რომ დღევანდელ გადაწყვეტილებას ყველანაირი ცივილიზებული ფორმით გააპროტესტებს. თუ ვისი მხრიდან განხორციელდა ზეწოლა სასამართლოზე, მას არ დაუკონკრეტებია.

საკასაციო პალატის მიერ გუშინ გამოტანილი განაჩენი საბოლოოა. ორი თვის შემდეგ ალექსანდრე მაისურაძეს უფლება ექნება, სასამართლოს ვადაზე ადრე გათავისუფლების თხოვნით მიმართოს.

სამხედრო პროკურატურამ საზღვრის დაცვის დეპარტამენტში შეაღწია

თამარ კაკიტაძე

ბოლო პერიოდში კორუფციული დანაშაულებისთვის დაკავებულ მაღალჩინოსან სამოქალაქო პირებს გუშინ, სამხედრო პირი, პოლკოვნიკი დავით ჩხეიძეც მიემატა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის კადრების სამმართველოს უფროსი ჩხეიძე გუშინ მთავარ სამხედრო პროკურატურაში მოწმის სახით დაიბარეს და რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ იგი პირდაპირ წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

მთავარი სამხედრო პროკურორის, გენერალური პროკურორის მოადგილის პაატა ჯახუტაშვილის თქმით, პოლკოვნიკის დაპატიმრების საფუძველი პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაცია გახდა.

გაზეთ "კვირის პალიტრის" ფურცლებზე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილმა თანამშრომლებმა სააშკარაოზე ის შავ-ბნელი საქმეები გამოიტანეს, რასაც თავად დეპარტამენტის თანამშრომლები უშუალოდ თავმჯდომარის მითითებით ასრულებდნენ და რისთვისაც ვალერი ჩხეიძეს ისინი დავით ჩხეიძის შუამავლობით, ქრთამის სახით, ძვირადღირებულ საჩუქრებსაც უგზავნიდნენ.

რესპონდენტებმა, რომლებიც მოგვიანებით სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მოწმის სახით დაიკითხნენ, ოფიციალურად დაადასტურეს, რომ ვალერი ჩხეიძეს ავტომანქანები - "ვაზ-2107" და "გაზ –3110" აჩუქეს, ცოტა ხანში კი მას ძვირადღირებული ცეცხლსასროლი იარაღიც მიართვეს. მოწმეთა ჩვენებით, ყველა საჩუქარმა დეპარტამენტის თავმჯდომარემდე სწორედ დავით ჩხეიძის ხელით მიაღწია, რომელმაც ქრთამი ოფიციალურად გააფორმა კიდეც.

"პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდეგ საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან დავით ჩხეიძის პირადი საქმე გამოვითხოვეთ, სადაც უამრავი დარღვევა აღმოვაჩინეთ. საქმეში გაყალბებულია ჩხეიძის დანიშვნა, ჩინის მიღება და ა.შ." - აღნიშნა ჩვენთან საუბარში სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა მიშა ჭანუყვაძემ.

სხვადასხვა დოკუმენტების გადამოწმების და მოწმეებთან დაპირისპირების შემდეგ, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის კადრების სამმართველოს უფროსი ეჭვმიტანილად სამი მუხლით – სიყალბეში, თაღლითობასა და ქრთამის აღებაში ცნეს.

მიუახლოვდება თუ არა გამოძიება თავად საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, სამართალდამცველები ამ ეტაპზე არაფერს ამბობენ. მთავარი სამხედრო პროკურორის თქმით, ვინმეს ბრალეულობაზე სასაუბროდ, ჯერჯერობით, მტკიცებულებები არ არსებობს. თუმცა, გამოძიება გრძელდება და წინასწარ არაფრის განსაზღვრა არ შეიძლება.

სხვათა შორის, ჩვენი ინფორმაციით, გამოძიებამ უკვე გადაამოწმა საეჭვო მანქანები და იგი სწორედ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ოჯახის წევრებზე უნდა იყოს გადაფორმებული.

და კიდევ ერთი, არ არის გამორიცხული, რომ სამხედრო პროკურატურა დეპარტამენტის იმ ყოფილი თანამშრომლების საქმიანობითაც დაინტერესდეს, რომლებიც აღიარებენ, რომ კონტრაბანდით თავადაც იყვნენ დაკავებულნი.

რაც შეეხება პოლკოვნიკ ჩხეიძეს, იგი თავს დამნაშავედ არ თვლის და დუმილის უფლებას იყენებს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის კადრების სამმართველოს უფროსს პროკურატურა დღეს ბრალს წარუდგენს და სასამართლოს აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით შუამდგომლობითაც მიმართავს.

ორი სიტყვით

თბილისი. თბილისის პროკურატურამ დედაქალაქში მიმდინარე უკანონო მშენებლობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. როგორც თბილისის პროკურატურაში აცხადებენ, საქმე დედაქალაქის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე აღიძრა რიგი თანამდებობის პირების მიმართ, უფლებამოსილების გადამეტების მუხლით და მათ მიერ გადასახადების დიდი ოდენობით თავის არიდების ფაქტზე. პროკურატურაში კონკრეტულ თანამდებობის პირებს, ჯერჯერობით, არ ასახელებენ, თუმცა აცხადებენ, რომ გამოძიებით სერიოზული დარღვევებია გამოვლენილი თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურში, ბოლო სამი წლის განმავლობაში თბილისში მიმდინარე უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართველმა მესაზღვრეებმა გუშინწინ, ღამით, სადახლოს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე განუბაჟებელი ავტომანქანები დააკავეს. როგორც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურში აცხადებენ, დაკავებულია 5 ავტომანქანა, მათ შორის - 2 "ფორდი" და 3 "ფოლკსვაგენი", რომლებიც მის მფლობელებს სომხეთის ტერიტორიაზე გადაჰყავდათ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა მიმდინარეობს **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

დმანისი. დმანისის რაიონის სოფელ გეგუთში ჩატარებული სპეცოპერაციისას პოლიციელებმა დააკავეს სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, ერევანში მცხოვრები გეგორქ სტეფანიანი, რომელიც თბილისში მოქმედი, ავტომანქანის გამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის ლიდერობაშია ბრალდებული. როგორც თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში აცხადებენ, სტეფანიანმა, სხვა პირებთან ერთად, 30 იანვარს რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიიდან ე.წ. „ატმიჩკების" გამოყენებით გაიტაცა საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოს კუთვნილი ავტომანქანა „ვაზ-21213", რომელსაც დიპლომატიური ნომრები ჰქონდა. პოლიციელებმა დაკავებულს ავტომანქანა ჩამოართვეს და მფლობელს დაუბრუნეს. სტეფანიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თბილისის შს მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახურმა აღძრა. გამოძიებას ეჭვი აქვს, რომ სტეფანიანს სხვა დანაშაულებიც აქვს ჩადენილი. სტეფანიანის ჯგუფის წევრთა დადგენისა და დაკავებისთვის პოლიციელები მუშაობენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისელ გიორგი მთვრალაშვილს ბეჟანიშვილის ქუჩაზე დაუდგენელმა პირმა დანის მუქარით გასტაცა ავტომანქანა „ვაზ-2106". ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად თბილისის გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს თბილისელი, ხუთჯერ ნასამართლევი, 26 წლის ივანე მარიდაშვილი. ნივთმტკიცება ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

სად არის საწყალი დედა?

სოფიო თოდუა

არსებობს პაციენტი, რომელსაც რაღაც აწუხებს. არსებობს ექიმი, ამ პაციენტს რომ უნდა უმკურნალოს და, შესაბამისად, წამალი დაუნიშნოს. და ბოლოს, არსებობს აფთიაქი, სადაც ავადმყოფმა მისთვის სასურველი მედიკამენტი უნდა შეიძინოს. ეს, ერთი შეხედვით მარტივი სქემა სინამდვილეში არც ისე მარტივია. რაც ყველაზე სავალალოა, იგი სირთულეებს მხოლოდ პაციენტებს უქმნის. ამიტომაა, რომ კარგი რეკლამის მიუხედავად, ზოგჯერ დედამ ნამდვილად არ იცის: სად წავიდეს, რა იყიდოს და რომელ ექიმს ენდოს.

ფოტო: სანდრო ალიბეგაშვილი, ფოთელი

პრობლემა ნომერი ერთი: ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული და კონტრაბანდის გზით შემოტანილი მედიკამენტები. ფალსიფიცირებული "წამლები" უმთავრესად ადგილზევე მზადდება და ძირითადად ბაზრობებზე იყიდება. ისინი, რასაკვირველია, პაციენტს შვებას ვერ მოგვრის და ძალიან გაგვიმართლებს, თუ მხოლოდ ცარცის ფხვნილს ან პლასტილინს შემოგვაჩეჩებენ. ამ პრობლემის გადაჭრა არც ისე ძნელია, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი, დაბალი ფასების მიუხედავად, ფალსიფიცირებული წამლების ყიდვას ერიდება. გაცილებით რთულადაა საქმე არარეგისტრირებულ სამკურნალო საშუალებებთან დაკავშირებით. მათი მიღება სარისკოა იმდენად, რამდენადაც ვერც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები და ვერც ექიმები ამ შემთხვევაში გარანტიას ვერ იძლევიან. რაც შეეხება რეგისტრირებულ, მაგრამ კონტრაბანდის სახით შემოტანილ მედიკამენტებს, ისინი, ცხადია, კარგია და პაციენტს არ ვნებს, მაგრამ საგრძნობლად აზარალებს ქვეყნის ბიუჯეტს. ამ პრობლემასთან შებრძოლება აქამდე ძალიან ძნელი იყო, აწი რა იქნება, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

პრობლემა ნომერი ორი: "კეთილსინდისიერი" ექიმები, რომლებიც ესკულაპეს ფიცს იმითაც ამყარებენ, რომ პაციენტებს მედიკამენტების შეძენას ერთ კონკრეტულ აფთიაქში ურჩევენ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტი ტყუილად არ შექმნილა. არც პარლამენტს მიუღია ტყუილად 1997 წელს "საქართველოს კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ", რომელშიც ბოლო ცვლილება 2003 წლის 8 მაისს მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აფთიაქები საერთოდ აღარ არსებობენ, სახელმწიფო სწორედ ამ კანონის საშუალებით მკაცრად განსაზღვრავს, რა რაოდენობის მედიკამენტები გაიყიდოს ბაზარზე და ვის შეუძლია მათი რეალიზაცია. ბოლო მონაცემებით, რეგისტრირებულია, დაახლოებით, 5 ათასი დასახელების მედიკამენტი და 1300-ზე მეტი სტრუქტურა, რომელსაც წამლების შემოტანისა და გაყიდვის ლიცენზია აქვს. ყველაფრის მიუხედავად, ძნელი დასაჯერებელია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში კონტრაბანდის სახით საქართველოში შემოჰქონდათ ყველაფერი, სამკურნალო საშუალებების გარდა.

სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ინსპექციის უკანასკნელი მონაცემებით, მკითხველს არ გადავღლით. მხოლოდ რამდენიმე ციფრს დავასახელებთ. ასე მაგალითად, ლიცენზირებულ დაწესებულებებში აღრიცხული 102 მედიკამენტიდან სტანდარტს შეესაბამება მხოლოდ 50 პროცენტი. არარეგისტრირებულია - 36,2 პროცენტი, სტანდარტს არ შეესაბამება - 13,7 პროცენტი. ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაა არალიცენზირებულ დაწესებულებებში. ამ სტრუქტურის მონაცემებში, როგორც მოსალოდნელი იყო, კონტრაბანდა აღრიცხული არ არის. ამას ისიც ემატება, რომ შემოწმების მექანიზმი, მართალია, კანონმდებლობით განსაზღვრულია, მაგრამ კანონი ყველგან არ ვრცელდება. მაგალითად, თუ კონტროლის ინსპექციას ლიცენზიის მოთხოვნაზე თბილისში თითქმის არანაირი პრობლემა არ ექმნება, ქუთაისში ამისათვის სასამართლოს დადგენილებას ითხოვენ (და არა მარტო ქუთაისში). ფალსიფიცირებული და ვადაგასული მედიკამენტების შემოწმება წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრში ხდება. ისევ სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, ბოლო მონაცემებით გამოვლენილი იქნა უკანონო ფარმაცევტული საქმიანობის 730 ფაქტი. მათ შორის: 526 არალიცენზირებული აფთიაქი; 40 არასერტიფიცირებული ფარმაცევტი; 66 ფალსიფიცირებული და არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების გასაღება. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტი დარღვევა თბილისში აღინიშნა.

ბევრი აფთიაქის არსებობა, ბუნებრივია, პირველ რიგში მედიკამენტების ფასებზე უნდა აისახოს. მაგრამ ფასების კლება-მატება ქალაქებში მაინც მხოლოდ ტერიტორიული გადანაწილების პრინციპით ხდება. ყველამ ვიცით, რომ "ავერსის", "PSP"-ს, "GPS"-ისა თუ "კრისტალის" ქსელში შეძენილი მედიკამენტები იაფი და სანდოა. აქ შეძენილი სამკურნალო საშუალებები სხვა პატარ-პატარა აფთიაქებში შედარებით ძვირია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახლო-მახლო ხსენებული აფთიაქები არ არის. მაგრამ, თბილისში ერთმანეთის გვერდი-გვერდ (განსაკუთრებით ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე) აღმოაჩენთ მსხვილ და წვრილ აფთიაქებს, სადაც ერთსა და იმავე მედიკამენტს ყველგან ერთი ფასი ადევს. მიზეზი გასაგებია: პატარა აფთიაქების მფლობელებს მედიკამენტები, უმთავრესად, ხსენებული საბითუმო ბაზებიდან შემოაქვთ და მათთან სიახლოვის გამო ფასებს ვერ ზრდიან. მაგრამ, აქვე ჩნდება ერთი ლოგიკური კითხვა: რა მოგებას ნახულობს ამ შემთხვევაში ეს აფთიაქი? პასუხი მარტივია: ის ან ულიცენზიოდ მუშაობს, ან თავის დროზე კაპიკებად პრივატიზებულ ფართში არაფერს იხდის და მინიმალურ მოგებას სჯერდება. აი, ამიტომაა, რომ ერთად განლაგებული რამდენიმე აფთიაქიდან ერთში შესვლა სავსებით საკმარისია როგორც ფასების, ასევე წამლების შერჩევის თვალსაზრისით. რაც შეეხება ლიცენზიას, აფთიაქის გახსნა კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების თანახმად, არც ისე იოლია და შესაბამისი სანიტარული პირობებისა თუ სხვა მოთხოვნების გარდა, უპირველესად აფთიაქში გამოცდილი ფარმაცევტების ყოფნას გულისხმობს. სხვა შემთხვევაში კერძო პირი აფთიაქს ვერ გახსნის. ამის მიუხედავად, ხშირად ჩვენზე, რიგით მოქალაქეებზე ბევრად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენილან ის თეთრხალათიანი გამყიდველები, რომლებსაც ზედმეტ კითხვებზე პასუხის გაცემა არ შეუძლიათ. კითხვები კი, დღევანდელი ფართო ასორტიმენტის შემთხვევაში, როცა სხვადასხვა დასახელების წამლები სინამდვილეში ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ერთს ბანანის გემო აქვს, მეორეს კი ანანასის, ძალზე ბევრი ჩნდება.

"კეთილსინდისიერი" ექიმები შემთხვევით არ მიხსენებია. ბოლო დროს ერთი უცნაურობა დასჩემდათ ქართველ ექიმებს. მიხვალ, ბავშვს მიუყვან, კონსულტაციის ფულსაც გადაიხდი, უამრავ წამალსაც გამოგიწერენ და კარში მოგაძახებენ, რომ ეს წამალი მაინცდამაინც "იმ" აფთიაქში უნდა იყიდო და მაინცდამაინც უცხოური. საქართველოში ბევრი მედიკამენტი არ მზადდება, მაგრამ რაც მზადდება, იმას ეჭვის თვალით ვუყურებთ. მეტიც, ასევე უვარგისად მიგვაჩნია ბულგარული, რუსული თუ ინდური წამლები. ეს, რასაკვირველია, მხოლოდ ჩვენი კუდაბზიკობის ბრალი არ არის, თუმცა არც უამისობაა, ალბათ. როგორც თავად ფარმაკოლოგები განმარტავენ, სხვადასხვა ქვეყანაში დამზადებული ერთი და იგივე მედიკამენტის ფასი იმაზეა დამოკიდებული, როგორია ეს ქვეყანა - დალხენილი, სადაც ძვირი მუშახელია და, შესაბამისად, მედიკამენტებიც ძვირი ღირს, თუ გაჭირვებული, რომელსაც იაფი მუშახელის გამო წამლის დამზადება იაფი უჯდება. ამას ფარმაკოლოგები ადასტურებენ. საუკეთესო ექიმები კი ჯიუტად ისევ გერმანულ თუ ფრანგულ მედიკამენტებს ანიჭებენ უპირატესობას. ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი: ეს ექიმი პაციენტის ჯანმრთელობაზე მეტად რომელიმე აფთიაქის კეთილდღეობაზე ხომ არ ზრუნავს? თუ ამ უკანასკნელს წამალი კონტრაბანდის სახით შემოაქვს და განუბაჟებელ საქონელზე გადასახადს არ იხდის, ის, რასაკვირველია, ძვირი წამლების გაყიდვით მეტ მოგებას ნახულობს. მარტივად რომ ვთქვათ - ხელი ხელს ბანს: მე შენ პაციენტს გიგზავნი, შენ კი პაციენტს ჩემს აფთიაქში აყიდინებ წამლებს.

ბოლოს, ერთ ფაქტზეც მსურს ყურადღების გამახვილება. სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი მზა მედიკამენტების სიუხვის გამო, თითქმის აღარ ხდება ადგილზე წამლების დამზადება. არადა, გამოცდილი ფარმაცევტები სინანულით აღნიშნავენ, რომ ხშირად დამზადებულ და დასამზადებელ წამალს შორის (მაგალითად, ხველების საწინააღმდეგო მიქსტურები) დაახლოებით ისეთივე სხვაობაა, როგორც ცოცხალ ალუბალსა და ალუბლის კომპოტს შორის - ორივე უდავოდ გემრიელია, მაგრამ ცოცხალი ალუბალი მაინც მეტ ვიტამინს შეიცავს.



ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲘ

ᲣᲮᲘᲚᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲔᲓᲘ - ᲚᲝᲠᲐ ᲑᲣᲨᲘ

დახვეწილი ლორა ბუში.



ჯორჯ ბუში.

REUTERS

ᲛᲔᲚᲝᲠ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ
ᲡᲐᲥ. ᲙᲝᲠᲠ. ᲐᲒᲔᲜ.

სხვას რას გაუგებ. მით უმეტეს, ამერიკის პირველ ლედის. ჩვენ მხოლოდ აისბერგის მწვერვალს ვხედავთ, მის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ცერემონიულს, რომელშიც მისი როლი იმითაა შემოფარგლული, რომ თავის ყოვლისშემძლე მეუღლეს შეყვარებული თვალებით შესცქერის და ანბანურ ჭეშმარიტებებს გაიძახის, ისეთს, სიცოცხლე რომ არ მოუნდება კაცს.

ამჟამინდელი ამერიკის პირველი ლედი ლორა ბუში ამ როლს ჩინებულად ასრულებს, იმდენად კარგად, რომ თეთრი სახლის ამ იდეალურ მანეკენში შეიძლება ეჭვი შეგეპაროს – ის დიდი მსახიობია. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე ასეთი აზრი შემექმნა და ძალიან მიხარია, რომ ის დადასტურდა კიდეც.

სულ მალე ამერიკის წიგნის ბაზარზე ახალი ბლოკბასტერი გამოჩნდება, რომელსაც გამომცემლობა "საიმონ ენდ შუსტერი" ამზადებს. მისი სათაურია "იდეალური ცოლი – ლორა ბუშის ცხოვრება და არჩევანი". მისი ავტორი გახლავთ ენ გერჰარტი, გაზეთ "ვაშინგტონ პოსტის" რეპორტიორი, რომელიც 2001 წლიდან თეთრ სახლშია აკრედიტირებული. ამ საინტერესო წიგნის რამდენიმე ფურცლის გადახედვა შევძელი და მინდა მკითხველს მათი შინაარსი გავუზიარო.

წიგნი "დაფარული ლორას" შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ამერიკის პრეზიდენტის ჰიგიენურად სუფთა ცოლის როლს ასრულებს, რომელიც, კეისრის მეუღლის მსგავსად, ეჭვზე მაღლა, მაგრამ ქმარზე დაბლა დგას. ერთხელ ჟურნალმა "ნიუ რიპაბლიკმა" ლორას Play-Don პირველი ლედი უწოდა. მაგრამ წიგნში ცოტა სხვაგვარი სახე იხატება, მოცეკვავე მარიონეტისგან განსხვავებული. ავტორი წერს: "არსებობს ეჭვი და ჭორები, რომ მისი პირადი ღირსებები და შეხედულებები გულს გაუხეთქავდა კონსერვატიულ მემარჯვენე რესპუბლიკელებს, რომლებსაც პრეზიდენტი და მისი რუხი კარდინალი კარლ როუვი ასე გულმოდგინედ ევლებიან თავს" (როუვი ბუშის მთავარი პოლიტიკური მრჩეველია – მ.ს.).

ელემენტარულით დავიწყოთ. საქვეყნოდ ცნობილია, რომ ლორა ბუში, ისევე, როგორც მისი მეუღლე, არ სვამს და არ ეწევა. მაგრამ, როგორც გაირკვა, მთლად ასეც არ ყოფილა საქმე. სინამდვილეში, პირველი ლედი სიგარეტს ეწევა, "მარგარიტას" სვამს და საყვარელ მექსიკურ კერძებს ღვინოს აყოლებს სადილის დროსაც და ვახშამზეც. ზოგჯერ, როცა არავინ უსმენს, უსულგულოდ, OK, dear - "ო ქეი, ძვირფასოსაც" ამბობს ხოლმე, რაც თეთრი სახლისა და ვაშინგტონის უმაღლესი საზოგადოების წრეში დიდად მიღებულ ფრაზად არ ითვლება. ალკოჰოლი და მექსიკური სამზარეულო, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, კალორიებია. მაგრამ ამერიკის პირველ ლედის, ამერიკისა, რომლის მოსახლეობის უმრავლესობაც ცხიმში იხრჩობა, ქვეყნისა, რომელიც მსოფლიოში "ცოცხალი წონით" პირველ ადგილზე გავიდა, არა აქვს უფლება, მსუქანი იყოს და არა მარტო წმინდა წყლის ესთეტიური მოსაზრებებით. მან ერს მაგალითი უნდა აჩვენოს, ცოცხალი მაგალითი. ვინაიდან ლორა მხოლოდ ხალხის დასანახად შიმშილობს, ის იძულებულია, მექანიკურ ბილიკზე სირბილით დაიტანჯოს თავი. ცოტა ხნის წინათ კი მან პირადი მწვრთნელი დაიქირავა.

ლორა – ნამდვილი, და არა საჩვენებელი – არ თვლის, რომ მზე მისი პრეზიდენტი ქმრის ნებით ამოდის და ჩადის. წიგნის ავტორი წერს, რომ ბუშის "საუკეთესო ნახევარი" არა მარტო ეწევა და სვამს, რაც არც ისე მნიშვნელოვანია, არამედ თავისი ქმრის, კონსერვატიული რესპუბლიკელის აზრებსაც არ იზიარებს და ზოგჯერ "ცელქი ბიჭივით" ექცევა ხოლმე. ჩვენ "გარე სამყაროსთვის საგულდაგულოდ შექმნილ ქალს ვხედავთ, რომელიც საზოგადოებას თავის რთულ და ცენზურას დაქვემდებარებულ ხასიათს უმალავს". ირკვევა, რომ "რეალური ლორა ბუში გამომწვევად დამოუკიდებელია და ქმრისგან ძირეულად განსხვავებული ინტელექტუალური ინტერესები აქვს. ის ყოველთვის დემოკრატებს აძლევდა ხმას (!) და საკუთარი თავი ფემინისტად მიაჩნია". ჰო, ეს უკვე უარესი ამბავია, სიგარეტი და "მარგარიტა" რა სახსენებელია! შემდგომ ვიტყობთ, რომ ლიტერატურის გარდა, "უცენზურო" ლორას ორინტოლოგია და ბოტანიკა იტაცებს, ისტორია და ოპერა უყვარს, რომ მისი პირადი მეგობრები დემოკრატები და პროგრესისტები არიან, და მრავალ მათგანთან ის ბავშვობიდან მეგობრობს. გამოდის, რომ თეთრ სახლში პირველი ლედის სახით ტროას ცხენი დასახლებულა, მართალია, პოლიტიკურად გახედნილი.

ორივეს – პრეზიდენტსაც და პირველ ლედისაც – 57 წელი შეუსრულდათ. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტს ლორას გაჯავრება უყვარს, ონავარი ბიჭივით. მაგალითად, როცა ლორა კითხულობს, ის ღიზიანდება, თითს უკიტინებს და "ბუშის" უძახის, რასაც ინგლისურად უამრავი მნიშვნელობა აქვს. როცა ლორა ეკითხება: "რა გინდა?", ის რამე სისულელეს პასუხობს, და ლორა საკითხავს უბრუნდება. ზოგჯერ საქმე უწმაწურ სიტყვებამდეც მიდის. ერთხელ პრეზიდენტმა თქვა, რომ მეტისმეტად ბევრი შემწვარი ხორცი ჭამა და "მაგრად გაკუება" მოუნდა. ამას ასეთი დიალოგი მოჰყვა:

- არა, ამას არ იზამ!
- ო, ვიზამ!
- ო, არ იზამ!
- არა, ვიზამ!

ჩვენ ვერ გავიგებთ, "ქნა" თუ არა პრეზიდენტმა, სამაგიეროდ, ვიგებთ, რომ მას "ასეთი თამაშები მოსწონს".

ბუშის გასაოცარი სიძუნწის ამბავსაც გავიგებთ. ერთხელ მან საშობაოდ მიღებული ღია ბარათები შეაგროვა, გამომგზავნელთა სახელები წაშალა და დააწერა: "მხიარულ შობას გისურვებთ. ჯორჯი და ლორა". ლორამ ჩათვალა, რომ "ეს მეტისმეტია". მაგრამ ბუში არ შეეპუა.

ჯორჯ ბუშის, "მდიდარი წუწურაქისა" და კულტურული სკოლის ბიბლიოთეკარის რომანმა ლორას ბავშვობის მეგობრების გაკვირვება გამოიწვია. წიგნის ავტორი წერს, რომ ლორა სისუფთავისა და წესრიგის გიჟია. ის თავის წიგნის თაროებს "ქლოროქსით" წმენდს, რომ არცერთი ლაქა არ დაეტყოს და მათზე წიგნებს დიუნის ათობითი სისტემით ალაგებს. ბუშს, ჯიბეზე ხელის გაკვრისა არ იყოს, სისუფთავე და წესრიგი არ ეპიტნავება. ქორწინების შემდეგ პირველ წლებში, როცა ბუშმა ბიზნესით დაკავება გადაწყვიტა, მან ოფისი გამაგრილებელი სასმელების მაღაზიის თავზე იქირავა. თავად მას გარაჟში ეძინა, ლოგინზე, რომელიც სიმყარისთვის ძველი ჰალსტუხებით იყო შეკრული. როცა მისი რომელიმე მეგობარი ძველი, ნახმარი პერანგის გადაგდებას დააპირებდა ხოლმე, ბუში მას, ჩვეულებრივ, ართმევდა (სხვათა შორის, ბუში არც ახლაა მოდას გადაყოლილი. როცა გასულ წელს, კემპ დევიდში შეხვედრის დროს ბუში და პუტინი დასკვნით პრესკონფერენციაზე გამოცხადდნენ, ყველა რეპორტიორმა აღნიშნა სხვაობა "თავით ფეხებამდე იტალიურ სამოსში გამოწყობილ" პუტინსა და "გათელილ" ბუშს შორის – მ.ს.). ავტორი წერს, რომ ბუშს "ქლოროქსის" ქალი სჭირდებოდა, რომელიც მას ისევე განმენდდა, როგორც თავის თაროებს. ეს მძაფრი საჭიროება იყო, რადგან ბუში კონგრესში ადგილის მოსაპოვებლად აპირებდა ბრძოლას, და მან ლორას სასწრაფოდ ხელი სთხოვა. ექვსი კვირის თავზე ისინი დაქორწინდნენ. წინააღმდეგობები შეეყარნენო, ამბობდა ლორა (თავისი ახალი მეუღლის დადებით მხარედ ის მის "თავშესაქცევ ონავრობას" თვლიდა).

ბუშს, იმხანად ცქვიტ, კულულებიან და შეყვარებულ ბიჭს საცოლის მცირე მოთხოვნები ძალიან მოეწონა. მას არც დიდი ქორწილი უთხოვია, არც ძვირფასი საჩუქრები, არც ლამაზი საქორწილო კაბა. პატარძლის მთელი სამკაული წელზე დაბნეული ყვავილი იყო. წიგნის ავტორი წერს, რომ ლორას ბუშების ოჯახში შესვლა "ოდრი ჰეპბერნის სამხეცეში შესვლის" ტოლფასი იყო (ჟურნალისტური თვალსაზრისით შესანიშნავია – მ.ს.). ავტორის თქმით, პირველი ლედისთვის ქორწინება მსახურებას და ვალის მოხდას ნიშნავს. ლორამ ფეთხუმი ჯორჯი არა მარტო "ქლოროქსით" დაამუშავა, არამედ ალკოჰოლიზმისგანაც განკურნა.

ერთხელ ლორას დედამთილმა, იმხანად ასევე ამერიკის პირველმა ლედიმ, ქალბატონმა ბარბარამ, ლორას თავისი ქმრის სიტყვების კრიტიკა აუკრძალა. "დაახლოებით ასეთი შეთანხმება ჰქონდათ: თუ ლორას დოსტოევსკის კითხვა ან ბალეტზე წასვლა უნდა, ნება მისია, მაგრამ იმის იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ჯორჯი მის ამ ინტერესებს გაიზიარებს. ლორამ მაქსიმალური სიზუსტით უნდა შეასრულოს ცოლ-ქმრული ვალდებულებები და ქმარი უხერხულ მდგომარეობაში არ უნდა ჩააგდოს. მან თავისი დედამთილი არ უნდა აკრიტიკოს, საჯაროდ მაინც".

ლორა ბუში ამ წესებს მკაცრად იცავს. მაგრამ, როცა საქმე მის ქალიშვილებზე, 22 წლის ტყუპებზე, ჯენასა და ბარბარაზე მიდგება ხოლმე, ლორა ჯიუტად ამბობს უარს მათ მიმართ ასეთი შიდა განაწესების გამოყენებაზე. წიგნში ნათქვამია: "ჯენა და ბარბარა ვიდეოფილმ "გოგონები გამხეცდნენ"-ს გმირებივით იქცევიან. ისინი შონ "პაფ" კომბსთან და ესტონ კეჩერთან დადიან, "ბალახს" ეწევიან, საზოგადოებაში მთვრალები ჩნდებიან. მაგრამ ლორას მათი მოთოკვა არ სურს. ის ამას ასე ხსნის: "მათ ეს არ უთხოვიათ" (ანუ, ქვეყნის პრეზიდენტის ქალიშვილები საკუთარი ნებით არ გამხდარან – მ.ს.)".

მოკლედ, სხვას რას გაუგებ. მით უმეტეს, ამერიკის პირველ ლედის.



ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

თეატრალური სარდაფი
მაიკლ ფრეინი
"ხმაური სცენის მიღმა"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი
"მარტოობის ბინადარი"
კითხულობს სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ.

ᲙᲘᲜᲝ

"ამირანი"
"ბეჭდების მბრძანებელი 3: ხელმწიფის დაბრუნება"
დას: 12:00; 16:00 სთ.

"მეოცნებენი"
დას: 20:00; 22:00 სთ.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

"ძველი გალერეა"
დავით აკრიანის ფოტონამუშევრების გამოფენა

"სახლი"
ვახო კუნცევის ნამუშევრების გამოფენა

"ორიენტი"
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

"სურათების ეროვნული გალერეა"
ზაალ ბაჩანაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ

ხუთშაბათს, 12 თებერვალს 17 საათზე, ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება" - ანზორ სალუქვაძეს იგონებენ: თენგიზ არჩვაძე, ემზარ კვიტაიშვილი, გივი შახნაზარი, ლაშა თაბუკაშვილი.

პარასკევს, 13 თებერვალს 17 საათზე, ლაშა იმედაშვილის წიგნის - "ბიოგრაფიები" პრეზენტაცია.

კვირას, 15 თებერვალს, 16 საათზე ნოდარ გაბუნიას წიგნის - "პედაგოგიური სისტემა" (გამომცემლობა "სანი") პრეზენტაცია.

მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50

ᲢᲐᲑᲐᲙᲝᲕᲘ ᲩᲘᲕᲘᲡ

სარჩელი, რომელიც ცნობილმა მსახიობმა და რეჟისორმა ოლეგ ტაბაკოვმა მისი ჩანაწერების უკანონოდ გამავრცელებელი ხმისჩამწერი კომპანიების წინააღმდეგ შეიტანა, 5 მილიონ მანეთის ღირებულებისაა. ტაბაკოვის სამიზნე ორი სტუდიაა: ТВИК-Лирек და "მელოდია". "ჩემი საქციელის მოტივაცია სულაც არაა ის, რომ შიმშილის მსახვრალი ხელი მიჭერს... საქმე იმაშია, რომ არ მსურს შევეგუო ქურდობასა და იმ პროფესიის უპატივცემულობას, რომელსაც თავად წარმოვადგენ", - ამბობს ოლეგ ტაბაკოვი.

ტაბაკოვის პრეტენზიები სრულიად სამართლიანია, რამდენადაც წლების განმავლობაში ხმისჩამწერი კომპანიები მისი ნებართვის გარეშე ავრცელებენ აუდიო-კასეტებსა და კომპაქტ-დისკებს ტაბაკოვის რადიოგადაცემებისა და ზღაპრების ჩანაწერებით.

ᲘᲠᲛᲐ ᲡᲝᲮᲐᲫᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

მომღერალი ირმა სოხაძე უახლოეს მომავალში მსმენელს რამდენიმე ახალ სიმღერას წარუდგენს. სოხაძე ამჟამად სტუდია "ორფეოსში" კომპოზიტორების - გია მაჭარაშვილისა და ნუგზარ ჩხაიძის სიმღერებს იწერს. ერთ-ერთ სიმღერაზე კი კლიპის გადაღებასაც აპირებს.

ამის გარდა, ირმა სოხაძე გაზაფხულზე ჯაზისა და რუსულ-ქართული რომანსების საღამოების გამართვას და სოლო ალბომის გამოშვებას ვარაუდობს.

მედია-ნიუსი

ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

ᲙᲝᲢᲔ ᲧᲣᲑᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲕᲘᲬᲧᲔᲑ ᲝᲛᲡ. ᲡᲐᲓᲐᲛᲓᲔᲪ ᲒᲐᲥᲐᲩᲐᲕᲗ, ᲛᲝᲛᲧᲔᲕᲘᲗ!"

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

კოტე ყუბანეიშვილი ლოკალური ბიბლიოთეკებისა და კინოთეატრების აღსადგენად იწყებს ბრძოლას. პოპულარული პოეტის ეს, ყველასათვის მისაღები და ერთი შეხედვით, მარტივად აღსასრულებელი ინიციატივა სინამდვილეში საკმაოდ რთული განსახორციელებელი იქნება. და თუკი, პოეტს გულშიაც არ გაუვლია თავისი წვლილი შეიტანოს ისედაც საყოველთაო დაპატიმრებებში, პრობლემა, რომელსაც გაუქმებული ბიბლიოთეკებისა და კინოთეატრების აღდგენისას გადააწყდებიან, თავისთავად სამართალდამცავ ინსტანციებამდე მივა.

არც ერთი წიგნი არ იმსახურებს ასეთ ბედს.

ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓᲘ.

ᲒᲘᲚᲘ ᲯᲘᲚᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

პრობლემა, რომელიც თბილისის მთავრობის დღის წესრიგში დადგა, ახალი ნამდვილად არ არის. ქალაქის სხვადასხვა უბნებში არსებული ბიბლიოთეკებისა და კინოთეატრების გაუქმებას ისე მიეჩვია ჩვენი საზოგადოება, თითქოს ისინი არც არასდროს არსებობდა ჩვენთან. თბილისში იზრდება თაობა, რომლისთვისაც კინოთეატრები მხოლოდ "რუსთაველთან" და "ამირანთან" ასოცირდება; ბიბლიოთეკა კი მათთვის ერთადერთი – ეროვნული ბიბლიოთეკაა. ერთ დროს თბილისში არსებული 22 კინოთეატრიდან დღეს რამდენიმე ("რუსთაველი", "ამირანი" და "საპოვნელა", კინოს სახლი) მუშაობს; ბიბლიოთეკებში კი ისეთი განუკითხაობაა... არ შემიძლია არ გავიხსენო ისტორია, რომელიც რამდენიმე თვის წინათ ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში გადამხდა. სასწრაფოდ დამჭირდა ერთი ქართველი მწერლის ცნობილი პიესა და სახლთან ახლოს მდებარე უახლოეს ბიბლიოთეკას (ყაზბეგის გამზირზე) მივაშურე. ავტორის დასახელებისთანავე მოხუცმა ბიბლიოთეკარმა ხელები გაასავსავა – არ გვაქვს მაგი ჩვენო; გამიკვირდა და ვეცადე დამერწმუნებინა: იქნება მაინც გვენახა, არ არსებობს რომ არ იყოს-თქო. ნაწარმოები მკითხა; ვუპასუხე – მოკლედ, ძალიან დაეზარა მოძებნა. ცოტა ხანს წიგნებს შორის გაუჩინარდა და დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ მიპასუხა: ზუსტად ის წიგნი, სადაც ეგ პიესაც არის შეტანილი, გუშინ გაიტანესო. არადა, მერწმუნეთ, საუბარი ბესთსელერზე კი არა, საკმაოდ ძველ პიესაზე იყო... ვეღარაფერი ვიღონე, უბრალოდ დავრწმუნდი, რომ ასეთ უპატრონო ბიბლიოთეკებში, სადაც წლების განმავლობაში სრულმა განუკითხაობამ დაისადგურა, ფეხს აღარასდროს შევდგამდი. მაგრამ, საბედნიეროდ ვიღაც-ვიღაცები ჩემგან განსხვავებით, სხვაგვარად ფიქრობენ და პრობლემისგან გაქცევის ნაცვლად მის მოგვარებაზე ზრუნავენ.

როდესაც კოტე ყუბანეიშვილს ჰკითხეს, რა იყო მისი ახალი ინიციატივის (მოუწოდოს საზოგადოებას გაუქმებული საზოგადოებრივი სივრცეების განახლებისკენ) მიზეზი, მარტივად უპასუხა: კინოში ვეღარ დავდივარ და ის მიზეზიაო. პოეტის ეს სიტყვები გადაჭარბებული ნამდვილად არ არის. დავიწყოთ იმით, რომ ქალაქში არსებული ორად-ორი კინოთეატრი ცენტრშია; ბილეთის ღირებულებიდან დაწყებული, წვენითა თუ პოპ-კორნით დამთავრებული, ყველაფერს საკმაოდ მაღალი ფასი აქვს. არადა, ადრე ყველაფერი მარტივად იყო – მაშინ თითქმის ყველა უბანს საკუთარი კინოთეატრი ჰქონდა და შესაბამისად, ახალგაზრდებსაც დროის გასაყვანად მეტი არჩევანი ჰქონდათ.

"რევოლუცია მაშინ ხდება, როდესაც ქვეყანაში რაღაც იცვლება", - ასე დაიწყო გუშინ კოტე ყუბანეიშვილმა ჟურნალისტთა ფედერაციაში გამართული პრესკონფერენცია. როგორც გაირკვა, კოტე ყუბანეიშვილმა პირადად დაიწყო, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, საკუთარი სატკივარის მოგვარება. მალე კოტე ყუბანეიშვილი ბაგებში გაუქმებული ბიბლიოთეკის განახლებულ ვარიანტს – ბიბლიოთეკა-წიგნების მაღაზია-კაფე, შესთავაზებს საზოგადოებას. "ყველა ბიბლიოთეკასა და კინოთეტარს ნამდვილად ვერ გავწვდები. ერთს თვითონ მივხედავ; სამ-ოთხს, ვისაც ამის სურვილი ექნება, ასეთი საზოგადოებრივი სივრცის განახლებაშიც დავეხმარები", - ამბობს პოეტი.

პრესკონფერენციას გაუქმებულ-გასხვისებული კინოთეატრების რამდენიმე დირექტორი და ამ თემით დაინტერესებული ადამიანებიც ესწრებოდნენ. თემის განხილვამ პრესკონფერენციის ავტორიცა და დამსწრე ჟურნალისტებიც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ პრობლემას საკმაოდ დიდი სიღრმეები აქვს და რომ მის გადაჭრას, შესაძლოა უამრავი ადამიანის რეპუტაცია შეეწიროს. "არ მინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ ვიბრძოდე. არ მსურს ისედაც საყოველთაო დაპატიმრებებში ჩემი წვლილი შევიტანო. ამას ოქრუაშვილი ისედაც მიხედავს", - იხუმრა ყუბანეიშვილმა. უახლოეს დღეებში მერიაში აღნიშნული საკითხი მთელი სიმძაფრით განიხილება.

„ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ"

ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲣᲚ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

"გენდერი არ არის ქალის საქმე და ქალის პოლიტიკა, ყველას მოვალეობაა იფიქროს იმაზე, თუ როგორ ნაწილდება ჩვენს საზოგადოებაში სოციალური როლები" – ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ჰაინრიხ ბიოლის ფონდის წარმომადგენელმა ვალტერ კაუფმანმა "კავკასიურ სახლში" გამართულ "გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონის" პრეზენტაციაზე. ვალტერ კაუფმანი ბიოლის ფონდის გენდერული პრობლემატიკით განსაკუთრებულ დაინტერესებაზე და ამ მიმართულებით "კავკასიურ სახლთან" ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგებზე საუბრობდა. ორი ორგანიზაციის თანამშრომლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგი სწორედ გენდერულ ტერმინთა ლექსიკონი გახლდათ. იგი ბიოლის ფონდის სტიპენდიანტმა, "კავკასიური სახლის" თანამშრომელმა ია მერკვილაძემ მოამზადა.

МАДИ ᲡᲔᲠᲔᲑᲠᲘᲐᲙᲝᲕᲐ

გენდერული თემატიკა და მასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში თანდათანობით იკიდებს ფეხს. ჩვენში ბოლო წლებში დაარსებული ათეულობით ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციისთვის იგი არცთუ ურიგო შემოსავლის წყაროდ იქცა. თუმცა გენდერული დემოკრატიის სფეროში დიდი წინსვლა მაინც არ შეინიშნება. უპირველეს ყოვლისა ეს საზოგადოების ინფორმირების ძალზედ დაბალი დონით აიხსნება. თავად სოციალური სქესის აღმნიშვნელი ტერმინი "გენდერი", რომელსაც ინგლისურ გრამატიკაში სქესის განმსაზღვრელთან ბევრი არაფერი აქვს საერთო - ჩვენი თანამოქალაქეთა უმრავლესობისთვის სავსებით გაუგებარია. ზოგიერთისთვის ის მხოლოდ ფემინისტების საყვარელი სიტყვაა, რომელსაც "ნამდვილი ვაჟკაცი" სათოფეზეც არ გაიკარებს.

თუმცა, ჩვეულებრივ მოქალაქეს რა უნდა მოსთხოვო, როდესაც ხშირად ამ დარგში მომუშავეები და პრესის წარმომადგენლებიც ნათლად ვერ არკვევენ, თუ სად მთავრდება ფემინისტური მოწოდებები და სად იწყება ნებისმიერი საზოგადოებისთვის განუყოფელი გენდერული წესრიგი. ფემინიზმი და ფემინისტური იდეოლოგია ცალკეული მოქალაქის პირადი არჩევანია, გენდერულ როლს კი საზოგადოების ვერც ერთი წევრი ვერ გაექცევა.

ია მერკვილაძის მიერ მომზადებული გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი არ წარმოადგენს აკადემიურ სამეცნიერო გამოცემას. იგი მკითხველთა ფართო წრისთვისაა განკუთვნილი. ლექსიკონი გენდერულ ლექსიკაში დამკვიდრებულ, ძირითად 80-მდე ტერმინის განმარტებას მოიცავს ქართულ და რუსულ ენებზე. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნი მართლაც ძალზედ ნათელი, მარტივი ენით არის დაწერილი და ამ სფეროში სრულიად გაუთვითცნობიერებელი ადამიანისთვის სავსებით გასაგები იქნება.

რადგან გენდერულ ტერმინთა ლექსიკონი საქართველოში პირველად გამოიცემა, იგი გენდერის, როგორც ინტერდისციპლინარული მეცნიერების განვითარებაშიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. სადღეისოდ თითქმის ყველა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში ჰუმანიტარული და სოციალური დისციპლინების სტუდენტები გენდერს სავალდებულო საგნად შეისწავლიან. თუმცა, ამ სფეროში დღემდე არ შექმნილა სრულფასოვანი სახელმძღვანელო.

ლექსიკონის ავტორი, ია მერკვილაძე რამდენიმე წლის წინათ პეტერბურგში გამართულ გენდერულ პრობლემებთან დაკავშირებულ კონფერენციაზე გავიცანი. მაშინ მისი კვლევის ობიექტი მეძავი ქალები იყვნენ. როგორც ჟურნალისტი, იგი წლების მანძილზე აქვეყნებს სტატიებს ქალთა აქტუალური პრობლემების შესახებ. ამ სფეროში საქართველოში დღეს ძალზედ ცოტა ჟურნალისტი მუშაობს. საკუთარი წიგნის წარდგენისას ია მერკვილაძემ აღნიშნა, რომ ლექსიკონი პირველ რიგში სწორედ ჟურნალისტებისთვის უნდა გახდეს საყურადღებო. "კავკასიური სახლის" ხელმძღვანელმა ნაირა გელაშვილმა კი წიგნის მზადების რთულ პროცესზე და მის ძირითად ღირსებებზე ისაუბრა. აღსანიშნავია, რომ პრეზენტაციას, მართლაც, ბევრი ჟურნალისტი დაესწრო. წიგნები დამსწრეთ უფასოდ დაურიგდათ.

ლექსიკონის გამოცემასთან ერთად, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი "კავკასიურ სახლში" კიდევ არაერთ ღონისძიებას გეგმავს და ახორციელებს. **"გენდერული დემოკრატია ბიოლის ფონდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია** – აღნიშნა ვალტერ კაუფმანმა – **გენდერი არ არის ნიშა, რომელშიც მხოლოდ მეცნიერების ვიწრო წრის წარმომადგენლები ახორციელებენ საკუთარ პროექტებს – გენდერი საზოგადოების საქმეა... მე ვამაყობ ამ წიგნით, რადგან ეს ჩვენი და "კავკასიური სახლის" ნაყოფიერი თანამშრომლობის კონკრეტული პროდუქტია".** გენდერული პრობლემებისა და ქალთა საკითხებისადმი ყურადღების მიპყრობის მიზნით, უკვე შეიქმნა დოკუმენტური ფილმების სერია, მოეწყო საგანმანათლებლო სემინარები, ტრეინინგები, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში, ჩატარდა სოციოლოგიური კვლევები. უახლოეს მომავალში "კავკასიურ სახლში" გენდერისა და გლობალიზაციის თემაზე სემინარების კიდევ ერთი ციკლი ჩატარდება, რომელსაც გენდერის სფეროს ახალგაზრდა ქართველი ექსპერტები გაუძღვებიან.

შესაძლებელი გამარჯვებულები

ბერლინის 54-ე კინოფესტივალი

ნინია კაკაბაძე
ბერლინიდან

ვინც ნებისმიერ საერთაშორისო კინოფესტივალს ერთხელ მაინც დასწრებია, მას ეცოდინება, რომ საკონკურსო ფილმების უმეტესობა არადამაკმაყოფილებელია. ასე ხდება ბერლინის კინოფესტივალზეც. შესაძლებელია, ეს მსოფლიო კინემატოგრაფიის საერთო სურათს ასახავს და ისიც შეიძლება სრულიად სამართლიანად ვიფიქროთ რომ, ამ შემთხვევაში, წარმოდგენილი 30-მდე კინოფილმიდან, შეუძლებელია ყველა დამაკმაყოფილებელი იყოს.

კადრი ფილმიდან "შენს ხელში".

კადრი ფილმიდან "მშვენიერი ქვეყანა".

უბრალოდ, ექსპერიმენტი

მე მხოლოდ იმ ფილმების შესახებ მოგაწვდით მოკლე ინფორმაციას, რომელიც არა მხოლოდ ჩემი, არამედ ფესტივალზე მყოფი ქართველი კრიტიკოსების აზრს გამოხატავს. აზრები უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა. განსხვავებები მხოლოდ ამგვარია: რომელიმეს ერთი მეტად მოეწონა, რომელიმეს - ნაკლებად, ცუდ ფილმზე ჯერჯერობით ყველა ერთხმად ვთანხმდებით, რომ ცუდია.

ფილმი პიველი

ფრანგი კინორეჟისორის პატრის ლეკონტის ფილმი Intimate Strangers

ანოტაცია. ახალგაზრდა ქალის ისტორია, რომელიც ქმართან შექმნილი ფიზიოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად, უცაბედად ადვოკატის კარზე დააკაკუნებს და მას ფსიქოლოგად მიიჩნევს. დაბნეული ადვოკატი კვირაში ერთხელ სანდრინ ბონეირას გმირის სმენას იწყებს. ქმრის ეჭვიანობის სცენები, პაციენტისა და ადვოკატის ერთამანეთისადმი ფარული ინტერესი და სიმპატია, პრობლემები მოგვარებადი შემსუბუქებული. ქალი ახალ ცხოვრებას იწყებს და მისი ახალი მამაკაცი (ადვოკატი) მასთან ერთად ცდილობს საკუთარი არსებობის განახლებას, გადახალისებას. მათ ბევრი იციან ერთმანეთის შესახებ და ეს სიყვარულია.

შეფასება პირველი. ტიპური ფრანგული კინო, არა სენტიმენტალური, არამედ რომანტიკული სცენებით, რომელიც ნაწილობრივ ყველა 60-იანელ ფრანგ რეჟისორს მოგვაგონებს. დასაწყისში გამიჩნდა აზრი, რომ ფილმი არა სიყვარულზე ან შემთხვევითობაზეა, არამედ ძალიან მსუბუქი ირონიით გაშარჟებულია ფსიქოთერაპიის "კულტურა", როდესაც ადამიანს სურს ილაპარაკოს საკუთარ პრობლემებზე და მას ერთადერთ მსმენელად თუ მხსნელად ფსიქოლოგი ევლინება. მაგრამ სამწუხაროდ ჩემი ვერსია არ გამართლდა, რადგან ფილმის ფინალმა სრულიად განსხვავებული გზით წამიყვანა. იმ გზით, რომელიც ანოტაციაში იყო მითითებული: - ფილმი სიყვარულზე და შემთხვევითობაზეა.

ფილმი მეორე

დანიელი კინორეჟისორის ანეტ ქეი ოლესენის ფილმი "შენს ხელში" (In Your Hands). ფილმი გადაღებულია "დოგმა 95" მანიფესტის მიხედვით.

ანოტაცია. ახალგაზრდა ქალი ქალთა კოლონიაში ქრისტიანობის ქადაგებას იწყებს. ფილმში ორი მთავარი გმირია, თეოლოგი და პატიმარი ქალი, რომელმაც უცაბედად საკუთარი 4 დღის შვილი მოკლა, მაგრამ ციხეში ამის შესახებ არავინ არაფერი იცის. ორივე გმირი საკუთარ ცხოვრებას ღმერთს უკავშირებს, ანა ქრისტიანობას ქადაგებს, ქეითი კი ხელის შეხებით ადამიანებს კურნავს და ამ ყველაფერს ღმერთის გამოცხადებას უკავშირებს. ორივე გმირი ადამიანებს ეხმარება. მოძღვარი ქალი 35 წლისაა და აქამდე უშვილოა; კოლონიაში მუშაობის დაწყების დღიდან იგი საკუთარი დაფეხმძიმების ამბავს შეიტყობს, მაგრამ ცოტა ხანში მას საკუთარ ნაყოფთან განშორება მოუწევს, ვინაიდან ბავშვი ავადმყოფია და გადარჩენის მხოლოდ 5 ან 10 პროცენტი არსებობს. აბორტის წინ სასოწარკვეთილი ანა ქეითთან გარბის დასახმარებლად, მაგრამ მისი მისტიური ძალების ურწმუნობის გამო, გაბოროტებული ციხეში ხმამაღლა აცხადებს ქეითის კოლონიაში ყოფნის ნამდვილ მიზეზს. ფინალი ამგვარია - ანა არ მიდის რისკზე და აბორტს იკეთებს, ქეითი კოლონიის საპირფარეშოში თავს იკლავს.

შეფასება მეორე. დოგმა - როგორც რეალისტური კინო, რეალისტური, როგორც კინემატოგრაფიული, ასევე შინაარსობრივი ფორმით. ორივე გმირი ღმეთთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ერთმანეთს ბოროტება არ დაანახონ. ადამიანები არ არიან დაცულნი სხვა ადამიანებისგან და საკუთარი თავისგან. ცხოვრება გამოცდაა, რომელსაც ვერც ერთი გმირი ვერ გაუძლებს. გარეთ გამოტანილია სიკეთე და ფარული ბოროტება.

ყველაზე საინტერესოა ფილმის ფინალი. დოგმის ფილმები ყოველთვის რეალისტური, მძიმე, "გამომზეურებული" სიმახინჯეა, სადაც ადამიანის კეთილი და ბოროტი საწყისი ერთმანეთს ხვდება, მაგრამ დოგმა უმეტეს შემთხვევაში ოპტიმისტურია. ამ შემთხვევაში ანეტ ქეი ოლესენის ფილმი პესიმისტურად და კიდევ უფრო რეალისტურად სრულდება. გამოსავალი არ არის. ადამიანებს ეძლევათ შანსი ერთმანეთს დაეხმარონ და ერთმანეთი უყვარდეთ, თუკი ამ შანსს არ გამოვიყენებთ, ჩვენი არსებობა უპერსპექტივოა.

კიდევ ორი

აქაური ჟურნალ-გაზეთები და კრიტიკოსები ოქროს დათვს ამ ეტაპზე ჰანს პიტერ მოლანდის ფილმს, "მშვენიერ ქვეყანას" უწინასწარმეტყველებენ. ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლის ჯილდოს კი ოქროს გლობუსის მფლობელს შარლიზ თერონს, ფილმში "მონსტრი". მაგრამ ეს ფილმები ჩვენს კონკურსში არ გადის, და მათ შესახებ მხოლოდ მაშინ მოგახსენებთ, თუკი აქაური კრიტიკოსების ვარაუდი გამართლდა.

პატარა ინტრიგა

ფესტივალის დასრულებისთანავე აქ მყოფ ყველა ქართველ კრიტიკოსს, ჟურნალისტს თუ ხელოვანს გამოვკითხავ. კითხვა ამგვარი იქნება: - რომელ ფილმს გადასცემდით ოქროს დათვს? საინტერესოა, თუკი რომელიმე ჩვენგანის აზრი, კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებას დაემთხვევა. ასე რომ, 14 თებრვალს გამოქვეყნდება "ქართული ჟიურის" ლაურეატი. 15 თებერვალს კი საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილების შესახებ მოგწერთ და იმ რეჟისორების და მათი ფილმების შესახებ მოგახსენებთ, რომელნიც 16 თებერვალს სახლში ოქროს და ვერცხლის დათვებს წაიღებენ.

ფოტოგრაფი

ანა ჩხარტიშვილი
მოსკოვიდან

წლების წინ, როცა ჩემი ახლობელი თხოვდებოდა, ოჯახში ლამის ტრაგედია დატრიალდა, სად ვთქვა, სიძე ფოტოგრაფი მყავსო, მოთქვამდა დედამისი. დრო გავიდა და დღეს ჩვენში ფოტოგრაფია თავს ფორსირებულად იმკვიდრებს - კვირაში ერთი ფოტოგამოფენა, ან ახალი სახელი უკვე ნორმად იქცა, საზოგადოებაში რესპექტაბელურად მიჩნეული ოჯახიშვილები ფოტოგრაფიას ჰობად კი არა, პროფესიად მიიჩნევენ.

რაც თავი მახსოვს, კარგ კინოსაც და ნახატსაც კარგი წიგნი და ფოტო მერჩია. ვისთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის ცხოვრებაში ორი გურამი, რჩეულიშვილი და თიკანაძე, გემოვნების და შეხედულებების ის კუთხე აღმოჩნდა, საიდანაც სამყაროს დღემდე ვუყურებ - ორი, სხვადასხვა საგნით - კალმით და ობიექტივით, ერთნაირი სიმძაფრითა და შეგრძნებით აღბეჭდილი სამყარო, რომელსაც თვითონ ხედავენ, გრძნობენ და გიზიარებენ. გურამ თიკანაძე პირველი ქართველი ფოტოგრაფი იყო, მანამდე ფოტოსადმი ჩემი "ტრანსცენდენტალური" სიყვარული მშობლიურიც რომ გახადა.

აბასი.

კარტიე-ბრესონი.

მანამდეც და მერეც ფოტოებს საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ ფოტოალბომებში ვათვალიერებდი, მოგვიანებით - საზღვარგარეთის ფოტოგამოფენებზეც: საუდეკს, ბრესონს, მიცკავიჩუსს... და რუსული სკოლა, ანუ ის, რომელსაც ადრე "პროფესიული ფოტოგრაფია" მხოლოდ კულუარებში ერქვა. მოსკოვში ვიზიტებისას, იქაური "ფოტოფილები" როგორ სტუდიებში არ დამატარებდნენ - სადღაც ლეფორტოვოს სარდაფებში, ან ახალი მრავალსართულიანი სახლების გაურემონტებელ ერთოთახიანებში, სადაც ფოტოტექნიკის გვერდით ცარიელი ბოთლების გახევებული არმიაც იდგა. დიდი ჭკუა არ სჭირდებოდა იმის მიხვედრასაც, რომ სულ მალე ბოთლები ჯერ ფულად და შემდეგ კვლავ "შემოქმედების ძალად" გადაიქცეოდნენ: ფირებად ან ისევ არყად. არალეგალური გამოფენაც არაერთხელ მინახავს და იქ მხოლოდ შიშველი სხეული არ ყოფილა სითამამე, იყო პროფესიონალიზმიც, პორტრეტიც, ნატურმორტიც, სოციალური სიდუხჭირეც და მორჩილი საზოგადოების სულიერი სიღარიბეც. გულიც მწყდებოდა, რომ ჩემთან, საქართველოში ეს არ მქონდა და დაბრუნებისას ნუგეშად ისევ "გურამებს" გადავშლიდი ხოლმე. 9 აპრილის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მხოლოდ იური როსტის ფოტოკამერა იღებდა და კიდევ კარგა ხნით გადავდე ქართულ ფოტოგრაფიაზე ოცნება.

ახლა უკვე თბილისში გახშირებულმა ვიზიტებმა სხვა "ფოტო" დამანახა, საქართველოში პროფესიონალური ფოტოგრაფიის აისი დამდგარა - ჯერ გაზაფხულზე და შემდეგ შემოდგომაზე მარტო თბილისისთვის კი არა, სხვა ქალაქებისთვისაც უჩვეულოდ ბევრი ფოტოგამოფენის დათვალიერებამ მომიწია.

რა თქმა უნდა, ყველა ერთი დონის არ იყო და ბევრს უფრო პროფესიონალიზმის პრეტენზიის არომატი დაკრავდა, მაგრამ ესეც ბუნებრივია და განვითარების პროცესისათვის ჩვეული. ის კამათიც ნიშანდობლივი იყო, კერძო საუბრებში რომ მესმოდა: "ციფრულით ყველა გადაიღებს, ეს ხელოსნობაა "არა, ფირის გარეშე ფოტოგრაფია არ არსებობს", "აპარატურა რომ მქონდეს...", "ოჯახს ხომ რჩენა უნდა"...

"თანაც ფოტოგრაფი", პროფესიონალი ვერ იქნები... თანამედროვე რუსი, შეძლებული, პრაქტიკოსი და "პრაქტიკული" ფოტოგრაფი ვადიმ პისკარიოვი ოთხმოციანი წლების დასაწყისს იხსენებს, როცა ფოტოგრაფად მუშაობის რამდენიმე წლის შემდეგ, ერთსა და იმავე ქუჩაზე როგორ დაინახა განსხვავება პროფესიასა და პროფესიონალობას შორის. ხოლო "ვგიკის" კინოსაოპერატორო ფაკულტეტის დამთავრების და რამდენიმე ფილმის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მას მოძრავი გამოსახულება არ აინტერესებს: "ადამიანს ერთი საჯდომი აქვს, სკამი კი ბევრია და თუ სკამებს შორის არ გინდა, ჩავარდე, ერთი სკამი უნდა აირჩიო".

ხშირად ფოტოგრაფიას პროფესიად ერთ საქმეში შეუმდგარი ადამიანები ირჩევენ, ადვილად ასათვისებელია, მთავარია, ექსპოზიცია განსაზღვრო და სიმკვეთრე გაასწორო, დანარჩენი ტექნიკაა და შეიძლება ასიდან ორმოცდაათმა თუ არა, ოციდან ერთმა ვიღაცის აღტაცებაც დაიმსახუროს. პროფესიონალობა ფოტოგრაფიაში ეს აბსოლუტურად სხვა აზროვნებაა, ობიექტთან ძალიან სპეციფიკური დამოკიდებულება. მეტრი ეუბნება შეგირდს : "დაიძინე სურათით თავში და სურათითვე გაიღვიძე".

პროფესიონალიზმი არც მხოლოდ მაღალი კლასის აპარატურაა. თუ "კიევით", "ზენიტით" და "სმენით" დაიწყო გადაღება, იმას არ ნიშნავს, რომ "კოდაკი", "ქენონი", ან "სონი" ფოტოგრაფს პროფესიონალიზმს აუმაღლებს.

საღამოს ფოტოგრაფს გადაღება ჰქონდა დანიშნული. დილით კი სტუდიაში ხანძარი გაჩნდა. ბევრი არ უფიქრია, ზოგი საკუთარი დანაზოგით და ზოგიც მეგობრების დახმარებით საღამომდე კამერა, ობიექტივი, განათება და კომპიუტერი იყიდა და გადაღება შედგა.

მეორე დღეს სტუდიის მეზობელმა რაღაც ძალებით გადარჩენილი "ვსპიშკები" მოუტანა. ფოტოგრაფმა გაასუფთავა, შეამონმა და მუშა მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა, შემდეგშიც ამ განათებით გააგრძელა მუშაობა. თუ პირველი პროფესიული კამერა Mamya-ა, შემდეგის შემდეგი Hasselblad უნდა იყოს, მაგრამ ამას ტექნიკური ევოლუცია მოითხოვს და არა ფოტოგრაფიის შინაგანი "მე". რომან ბარანი ლვოვში დღემდე "ზენიტით" იღებსო, მაგრამ როგორია?! და საერთოდ თუ ფოტოგრაფი თვლის, რომ 6 მეგაპიქსელიანი Phase One მისთვის საკმარისია, აღარ დაგიდევს"პიქსელების" მარათონს - ტექნიკის მიღწევას.

"ციფრა" თუ "ფირი"- თუ პროფესიონალის თვალით შევხედავთ, ციფრულ ფოტოს უკვე ცნობილ პარამეტრებთან ერთად, კიდევ ერთი აქვს - ფოტოგადაღება შემკვეთისთვის "შოუა", რომელშიც ის მონაწილეობს!

სირთულე არც ჟანრში ყოფილა: მაკსიმიშინი ვერ ერკვევა სტუდიაში, ათასნაირ განათებებში, მაგრამ მისი რეპორტაჟული ტექნიკის უმაღლესი ხარისხი სხვებისთვის ამოუხსნელია.

და კიდევ შეიძლება ბევრი რამ ითქვას, თუ რა არ არის პროფესიული ფოტო. მე კი შევწყვეტ და ერთს აღვნიშნავ, როცა სექტემბერში ტმსში "რევოლუციური ფოტო", თერთმეტი ფოტოგრაფის ნამუშევრები ვნახე და მითხრეს, რომ კიდევ ბევრს აქვსო -იური როსტი გამახსენდა და ეს ფაქტი კიდევ უფრო გამიხარდა.

პროფესიონალიზმი მოჩანს და ესე იგი მალე მოვა.

ორივე გურამი კი ისევ ისე მიყვარს.

ვისაც დღემდე ბაძავენ

მათ დღესაც არ ივიწყებენ და მრავალი თაობის ქალები ცდილობენ, ისე გამოიყურებოდნენ, როგორც ეს ლეგენდად ქცეული ქალები გამოიყურებოდნენ ოდესღაც. არადა, თავის დროზე ისინიც პიონერები იყვნენ და თავად შექმნეს საკუთარი სტილი.

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პრეზიდენტის მეუღლე, **ჟაკლინ კენედი** 1950-იანი წლების ამერიკის არაოფიციალური ხატი იყო. ჟაკლინის შემდეგ ასეთი მონდომებით არც ერთ პირველ ლედის არ ბაძავდნენ. მისი ყველაფერი მოსწონდათ: ვარცხნილობა, თმის ფერი, წარბების ფორმა, მაკიაჟი, გამოხედვა, ჩაცმის მანერა... ჟაკლინი არისტოკრატი ქალის სიმბოლო იყო, და მისი წამხედურობით ყველა ცდილობდა, უმაღლეს "კასტას" მიახლოებოდა – გარეგნულად მაინც.

ეს ქალი კი დაბადებით ნამდვილი პრინცესა გახლდათ, და მასზე უკეთ ზღაპრულ პრინცესას ვერავინ ითამაშებდა. მისი მანერები, თანდაყოლილი ელეგანტურობა, და ამავე დროს გულისამაჩუყებელი, სუფთა, ბავშვური გამოხედვა – **ოდრი ჰეპბერნი** განუმეორებელი იყო, და ისტორიას ის სწორედ ასეთად შემორჩა.

სულ სხვა იყო **მერლინ მონრო** – სექსუალური, თაყვანისმცემლების მიერ გაღმერთებული და ცხოვრებიდან დრამატულად წასული. მის შემდეგ მრავალი კილომეტრი კინოფირი, ტონობით ფოტოსურათი და უამრავი ქალი დარჩა, რომელთაც მის მსგავსად, ქერა კულულები ჰქონდათ და ღიმილითა თუ სიარულით ცდილობდნენ, ისეთივე მიმზიდველნი გამხდარიყვნენ, როგორიც მერლინი იყო.

ოდრი ჰეპბერნი.

ბრიჯიტ ბარდო.

თავიდან **მადონაც** მერლინ მონროს ბაძავდა, მაგრამ მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, და ვარსკვლავმა იმდენი სტილი შეიცვალა, რომ მისი მიბაძვის ნებისმიერი მცდელობა ფუჭია. ახალგაზრდობაში შეურიგებელი, მეამბოხე მადონა უცებ რბილი და დახვეწილად ქალური გახდა. თავად ამბობს, ორმოც წლამდე, უბრალოდ, სულელი ვიყავიო, და ახლა, ყველაფერთან ერთად, მისტიციზმშიცაა გადავარდნილი.

ასეთი რადიკალური ცვლილება თავის დროზე **ბრიჯიტ ბარდომაც** გაიარა. ის ბევრ რამეში პირველი იყო: მან პირველმა ჩაიცვა ბიკინები, ეკრანზე პირველმა მან მოახდინა სექსუალური თავისუფლების და ლამაზი ქალის სხეულის პროპაგანდა, და მას ვუმადლით წაგრძელებული სათვალის მოდას და ძალიან შეღებილ თვალებს. სწორედ ის იყო კინემატოგრაფის ისტორიაში პირველი ნამდვილი ქერა ქალი (და არა მერლინ მონრო). ახლა კი ბრიჯიტი სულ სხვაა – მორწმუნე ბრძანდება და ცხოველებს იცავს.

ფეხბურთი

"დინამო" დამარცხდა, შუშაკი მაინც კმაყოფილია

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ კვიპროსის ქალაქ აიანაპაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" მორიგი, მესამე საკონტროლო ამხანაგური მატჩი გამართა. შეგახსენებთ, რომ წინა ორივე შეხვედრა საქართველოს ჩემპიონმა ფრედ დაამთავრა: 0:0 ჩეხეთის "ბრნოსთან" და 1:1 პოლონეთის "ლეგიასთან".

ამჯერად "დინამომ", რომელსაც გუშინდელ სპარინგში სერბეთის "სარტიდმა" გაუწია მეტოქეობა, მარცხი განიცადა, თუმცა, მთავარი მწვრთნელი, ივო შუშაკი მაინცდამაინც უკმაყოფილო არ დარჩენილა.

მატჩის პერიპეტიებზე ყურადღებას არ გავამახვილებთ. როგორც "დინამოს" პრეს-ატაშემ, ლევან სალუქვაძემ "24 საათს" სატელეფონო საუბარში აცნობა, შეხვედრამ მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. ორივე კართან მრავლად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ "სარტიდმა" მათი რეალიზაცია უკეთ მოახერხა.

ასეთი შეხვედრებისთვის ტრადიციულად, შუშაკმა პირველ ტაიმში ძირითადი შემადგენლობა გამოიყვანა: გვარამაძე, წერეთელი, შაშიაშვილი, კანდელაკი, კარლოს და როჩა, კვირკველია, გოგობერიშვილი, ნემსაძე, ანჩაბაძე, მელქაძე, ახალაია. სწორედ ამ პირველმა გუნდმა დათმო მატჩი, რადგან პირველ ნახევარში ყოფილმა იუგოსლავებმა გვარამაძის კარში ორი უპასუხო გოლი გაიტანეს.

სამარქაფო შემადგენლობამ (მამალაძე, შაშიაშვილი, ექონია, კაშია, ჩიტაია, სახვაძე, ხმალაძე, ჯეფერსონი, ჰომერო, იაშვილი, ახალაია) თავისი ტაიმი გაცილებით უკეთ ჩაატარა. 47-ე წუთზე "დინამოში" სინჯებზე მყოფმა ერთ-ერთმა ბრაზილიელმა, ჰომერომ კარიდან დაახლოებით 30 მეტრის სიშორიდან საჯარიმო დარტყმა ბრწყინვალედ შეასრულა და ერთ ბურთამდე შეამცირა ანგარიში სხვაობა. თუმცა, ამ წარმატების განვითარება ჩვენებმა ვეღარ შეძლეს და კიდევ ერთი გოლი მიიღეს საკუთარ კარში. საბოლოოდ, ტაიმი ფრედ, 1:1 დასრულდა, მაგრამ საერთო ჯამში "დინამო" 1:3 დამარცხდა.

ივო შუშაკი: "დამარცხების მიუხედავად, ჩემი ფეხბურთელების მიმართ ძალიან მკაცრი ვერ ვიქნები. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ მატჩში უფრო მეტი შეცდომა დავუშვით, ვიდრე წინა ორში. თუმცა,

შუშაკი მაინც კმაყოფილია.

ამას თავისი ახსნაც აქვს. ახლა გუნდის საწვრთნელი პროცესი ისეთ ფაზაშია, რომ ფეხბურთელებს მძიმე ფიზიკური დატვირთვის ფონზე უწევთ სპარიგ-მატჩებში მონაწილეობა. შესაბამისად, გადაღლილები არიან და სრულად ვერ ავლენენ შესაძლებლობებს. თუმცა, იმ მომენტების ნაწილი მაინც რომ გამოგვეყენებინა, რომელიც ამ თამაშში შევქმენით, სულ სხვა შედეგს მივიღებდით.

ეს მატჩი საწვრთნელი ხასიათის იყო და, ამის გათვალისწინებით, "დინამოს" თამაშით კმაყოფილი ვარ."

მწვრთნელმა ახალწვეული ბრაზილიელების გარჯაც შეაფასა.

"ახალწვეულმა ბრაზილიელებმა "დინამოს" შემადგენლობაში დღეს მეორე მატჩი ჩაატარეს და მათი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. მეტიც: არ შევმცდარვარ, რომ სწორედ ისინი ჩამოვიყვანეთ სინჯებზე."

ასეთი კომპლიმენტების მიუხედავად, ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, რომ ჯეფერსონი და ჰომერო "დინამოსთან" აუცილებლად გააფორმებენ კონტრაქტს, თუმცა, ამის წინაპირობა უკვე არსებობს. ლევან სალუქვაძის თქმით, შუშაკი კიდევ დააკვირდება მათ და მერე გადაწყვეტს, ღირს თუ არა გუნდში მათი აყვანა. ბრაზილიელებზე კიდევ ერთხელ დაკვირვების საშუალება კი მწვრთნელს სულ მალე, 14 თებერვალს ექნება. ამ დღეს "დინამო" მორიგ საკონტროლო შეხვედრაში რუსეთის პრემიერლიგის გუნდს, იაროსლავლის "შინიკს" შეხვდება.

რუსებმა "რომასაც" დაადგეს თვალი

აკა ფონია

ევროპულ ფეხბურთში კვლავინდებურად მძვინვარებს ფინანსური კრიზისი. სიძნელეებს წარმატებული, სახელგანთქმული კლუბებიც კი განიცდიან. სწორედ ამ კრიზისის „დამსახურებაა", რომ საფეხბურთო ბიზნესში რომან აბრამოვიჩის მსგავსი ადამიანები ჩნდებიან. ლონდონის „ჩელსიც" ვალებში იყო, როდესაც ასპარეზზე ჩუკოტკელი მილიარდერი გამოვიდა. აბრამოვიჩმა „ჩელსის" ვალები გაისტუმრა და დაეპატრონა კიდეც კლუბს. როგორც ვთქვით, ფინანსური კრიზისი ისევ მძვინვარებს და, აქედან გამომდინარე, ხშირად ჩნდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ კლუბის შეძენა ბიზნესმენებს, ნავთობის მაგნატებს და შეიხებს სურთ.

დასავლურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციების დიდი ნაწილი სინამდვილეში აღარ მართლდება, მათ შორის, საფეხბურთო კლუბების შესაძლო გაყიდვის შესახებ ინფორმაციები. სულ ცოტა ხნის წინათ გვამცნეს, რომ აბრამოვიჩი იტალიური „პარმას" შესყიდვას გეგმავდა, თუმცა, საბოლოოდ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. დღემდე გრძელდება მითქმა-მოთქმა ინგლისური „ლიდსის" ახალი მფლობელების შესახებ, თუმცა, კონკრეტული არაფერია.

ძნელი სათქმელია, შედგება თუ არა ის გარიგება, რომელზეც ახლა უნდა გიამბოთ. თუმცა, ფაქტია, რომ მოლაპარაკებები ნამდვილად დაიწყო.

ეს მოლაპარაკებები იტალიური „რომას" შესაძლო გაყიდვას შეეხება, მყიდველი კი ისევ და ისევ რუსეთიდან არის. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ფინანსური კრიზისი თვით სახელოვან „რომას" - იტალიის მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერსაც შეეხო. კლუბის ფინანსურმა დავალიანებამ 250 მილიონ ევროს მიაღწია. ამ ვალების დასაფარავად „რომას" აუცილებლად სჭირდება ახალი ინვესტორი.

როგორც ჩანს, „რომას" მომავალი ლონდონის „ჩელსის" მსგავსად განვითარდება. უკვე გამოჩნდა მხსნელი, რომელიც კლუბის ვალებს გაისტუმრებს, მას დაეპატრონება და ახალი ვარსკვლავების შესაძენად დიდ თანხას გამოყოფს. „რომასა" და „ჩელსის" შორის ის მსგავსებაც არის, რომ რომაული კლუბის შეძენაც რუსებს სურთ.

ავტორიტეტული იტალიური გაზეთები, Corriere della Sera და Gazzetta dello Sport-ი იუწყებიან, რომ რუსული ნავთობ-კომპანია Нафта-Москва და მისი მეპატრონე ანატოლი კოლოტინი „რომას" დაპატრონებას ცდილობენ. კოლოტინის პირადი წარმომადგენელი ვალერი სემენოვი ახლა რომშია და კლუბის ხელმძღვანელობასთან ინტენსიურ მოლაპარაკებას ანარმოებს. იტალიური გაზეთების ინფორმაციით, სემენოვი რამდენჯერმე შეხვდა „რომას" პრეზიდენტ ფრანკო სენსის, სპორტულ დირექტორ ფრანკო ბალდინის, მწვრთნელ ფაბიო კაპელოს და მენეჯერ როსელა სენსის (იგი ფრანკო სენსის ქალიშვილია).

"რომას" სანაცვლოდ Нафта-



დაუთმობს სენსი "რომას" რუსებს?

Москва სენსის 400 მილიონი ევროს ინვესტირებას ჰპირდება. 250 მილიონი ვალების დაფარვას მოხმარდება, 100 მილიონს თავად სენსი მიიღებს, ხოლო 50 მილიონი ევრო ფაბიო კაპელოს განკარგულებაში გადავა, რათა მან ახალი ვარსკვლავები შეიძინოს. Нафта-Москва სენსის საპატიო პრეზიდენტობასაც სთავაზობს, რაც მისთვის საუკეთესო ვარიანტი უნდა იყოს. 78 წლის სენსი, რომელიც, სხვათა შორის, ასევე ნავთობის ბიზნესით გამდიდრდა, არ მალავს, რომ „რომა" დიდ ტვირთად აწევს. „მე უკვე მომბეზრდა „რომაზე" ყოველ წელიწადს 50 მილიონი ევროს ხარჯვა", - განაცხადა მან ერთხელ. კლუბის გაყიდვა კი მშვენიერი გამოსავალი იქნებოდა: სენსის არც ერთი ცენტის გაღება აღარ მოუწევს „რომასთვის", პირიქით, 100 მილიონ ევროს მიიღებს, თანაც, საპატიო პრეზიდენტის პოსტს შეინარჩუნებს.

სარფიანი წინადადების მიუხედავად, სენსი არ ჩქარობს. მოსაფიქრებლად მან დრო ითხოვა. შესაძლოა, 78 წლის პრეზიდენტი საუკეთესო ვარიანტს არჩევს. „რომას" შეძენა მხოლოდ Нафта-Москва-ს როდი სურს.

„რომას" დაპატრონება უნდა იტალიურ სამშენებლო კომპანია Lamaro-საც, რომელიც ძმებ პიერლუიჯი და კლაუდიო ტოტის ეკუთვნით. დედაქალაქის კლუბის შეძენა სურს ასევე რომაულ ბანკ Capitalia-ს, რომელიც „ლაციოს" და „პერუჯას" აქციონერი გახლავთ.

ასეა თუ ისე, „რომას" ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათი მხცოვანი პრეზიდენტი კლუბისთვის საუკეთესო ვარიანტს გამონახავს. 78 წლის ფრანკო სენსი უკვე 10 წელია მართავს ამ კლუბს. მისი პრეზიდენტობის ჟამს, უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში, „რომამ" პირველად მოიგო იტალიის ჩემპიონატი (2001 წელს). „ჩვენ, ყველა, ვენდობით სენსის. ის შეგვპირდა, რომ კლუბის ფინანსურ პრობლემებს გადაწყვეტს. დარწმუნებული ვარ, სენსი საუკეთესო გადაწყვეტილებას მიიღებს „რომასა" და ჩვენი ტიფოზებისთვის", - ამბობს კაპელო.

ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად Нафта-Москва, მართლაც, კარგი ვარიანტია. ამ კომპანიის წლიური ბრუნვა 1,3 მილიარდ ევროს შეადგენს და ის რუსეთის უმსხვილეს საწარმოდ მიიჩნევა.

ერთი საინტერესო დეტალიც: Нафта-Москва-ს ერთ-ერთი მეწილეა რომან აბრამოვიჩი...

მშობლების გაყრის გამო საკუთარ თავს ვადანაშაულებდი

ნაწყვეტები დევიდ ბექჰემის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

ნინო პირველი

საკუთარი ცხოვრების აღწერა ევროპაში დიდ მოდად იქცა. წერს ყველა, ვისაც არ ეზარება და ვინც დარწმუნებულია, რომ თავისი ავტობიოგრაფიით საზოგადოებას ძალიან დაინტერესებს.

სპორტსმენებს მწერლობის ჭია შეუჩნდათ - შტეფან ეფენბერგი, ბორის ბეკერი, ლანს არმსტრონგი, დევიდ ბექჰემი... ბექჰემი ჯერ კიდევ ორი წლის წინ შეჰპირდა თაყვანისმცემლებს, მალე წიგნს დავწერ და ჩემი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მომენტს დაწვრილებით მოგიყვებითო. მაშინ მისი უმცროსი ვაჟიშვილი, რომეო, ჯერ დაბადებული არ იყო. ფანები დიდხანს ელოდნენ ამ წიგნს. როგორც იქნა, ბექჰემის ბიოგრაფიაც გამოჩნდა მაღაზიათა თაროებზე. კაცმა რომ თქვას, ალბათ, უკეთესიც კია, ბექჰემმა აქამდე რომ არ გამოსცა თავისი ავტობიოგრაფია. ახლა თავისი თაყვანისმცემლებისთვის უფრო მეტი აქვს მოსაყოლი. ეჭვი არ არის, წიგნი სულ მალე ბესტსელერად იქცევა და ბექჰემის ისედაც სქელ ჯიბეს კიდევ უფრო გაასქელებს. ახალ წიგნში ბექჰემი ყველაფერზე ლაპარაკობს, აღწერს, როგორ გაიცნო ვიქტორია, რატომ შეუყვარდა ეს შავთმიანი "პოშ-სპაისი" ისე ძალიან, რომ მასზე დაქორწინება გადაწყვიტა, როგორ ემუქრებოდნენ უცნობი ადამიანები, ბავშვებს მოგტაცებთო, სულ მოკლე ხანში როგორ გახდა მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავი. "ბექსის" ცხოვრების ყველაზე საშინელი მოგონება კი მისი მშობლების გაყრის პროცესი ყოფილა.

მაშ ასე, გთავაზობთ ნაწყვეტებს დევიდ რობერტ ჯოზეფ ბექჰემის ავტობიოგრაფიიდან "ჩემი ცხოვრება".

განშორება ოცდაათი წლის შემდეგ

"ისინი ოცდაათ წელიწადს იყვნენ ერთად და ჩემთვის წარმოუდგენელი იყო მათი დაშორება. ახლაც კი ვერ ვეგუები იმას, რომ ერთად აღარ არიან. მგონია, რომ მათ გაყრაში მე მიმიძღვის ბრალი. მამაჩემს არაერთხელ უთქვამს: მათ პრობლემები შეექმნათ იმის გამო, რომ მე ადრე წავედი სახლიდან და მათთან ერთად აღარ ვცხოვრობდი. მაინც რა უნდა მექნა? როგორ უნდა შემენარჩუნებინა მათთვის ოჯახური მყუდროება?" - თავს იმართლებს ბექჰემი. არადა, საბრალო, სულაც არ არის დამნაშავე. რა უნდა ექნა, თუ მშობლებს ერთად ყოფნა აღარ შეეძლოთ... გაყრის შემდეგ ბექჰემი მაქსიმალურად შეეცადა, მხარში დადგომოდა დედ-მამას და დას. მამას ფული მისცა და ის სახლი აყიდინა, სადაც ადრე ცხოვრობდნენ და სადაც "ბექსი" დაიბადა. დედას და დას კი ახალი სახლი უყიდა ლაუგტონში. "ბექსი" ნამდვილად არ გამოდგა უძღები შვილი. მას შესანიშნავად ახსოვს, როგორ უწყობდა ხელს დედ-მამა, რომ მას ფეხბურთზე ევლო და სერიოზულად ეფიქრა სპორტსმენის კარიერაზე. "ვარჯიშზე მამას მივყავდი ხოლმე, მაგრამ არც დედა მაკლებდა ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ პარიკმახერად მუშაობდა და თითქმის არასოდეს ეცალა, მაინც ახერხებდა ვარჯიშზე მოსვლას. ბავშვობაში ძალიან ბევრს ვმუშაობდი საკუთარ თავზე. საჯარიმოების დარტყმაში ლონდონის ვედჰემ ლოჯის სპორტულ მოედანზე გავიწაფე. როცა ჩემი ამხანაგები მიდიოდნენ, მე ვრჩებოდი და კუთხურიდან ბურთებს ვაწვდიდი, ან საჯარიმოდან კარის მიმართულებით ვურტყამდი", - წერს ბექჰემი.

ასეთი დიდი მონდომების მიუხედავად, ფეხბურთი მაინც არ ყოფილა "ბექსის" ერთადერთი გატაცება – მას სხვა ინტერესებიც ჰქონდა. მაგალითად, ძალიან უყვარდა მუსიკა და, როგორც თავად ამტკიცებს, საკმაოდ კარგად მღეროდა კიდეც: "მუსიკის გაკვეთილებზე დიდი სიამოვნებით დავდიოდი. სკოლაში ჩემი ხმა ყველას მოსწონდა. სკოლის გუნდში ერთხელ სოლოც კი ვიმღერე. ცოტა რომ წამოვიზარდე, საოჯახო საქმეებითაც დავინტერესდი. არაჩვეულებრივად მეხერხებოდა საჭმელების კეთება. ცამეტი წლის ვიყავი, როცა დედამ პირველად მანდო მთელი ოჯახისთვის სადილის მომზადება. დედაჩემი პარიკმახერი იყო და კლიენტებს სახლშიც იღებდა. ხანდახან რიგიც დგებოდა. ამ დროს მე სტუმრებისთვის ჩაის ვადუღებდი და ნამცხვარს ვთავაზობდი", - სიამაყით აღნიშნავს მზრუნველი შვილი.

როცა ბექჰემი ცამეტი წლის გახდა, ის "მანჩესტერ იუნაიტედის" სკაუტმა აღმოაჩინა. თოთხმეტი წლისას "მან იუმ" კონტრაქტი გაუფორმა, ერთი წლის შემდეგ კი მან მშობლიური სახლი დატოვა და საცხოვრებლად გადავიდა მანჩესტერში, ქალაქში, სადაც მას მსოფლიო დიდება ელოდა, სადაც მან კარიერაც გაიკეთა და სიყვარულიც იპოვა.

ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ კიდევ ერთ თავს ბექჰემის წიგნიდან "ვიქტორია, ჩემი ცხოვრების სიყვარული".

ინფოთეკა

ფეხბურთი. მადრიდის "რეალის" მწვრთნელმა კარლუშ კეირუშმა განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, თავის გუნდში ტიერი ანრი და რუუდ ვან ნისტელროი იხილოს. "მე რომ არჩევანის გაკეთება შემეძლოს, რუუდ ვან ნისტელროის ან ტიერი ანრის ავირჩევდი. ფრანგი ამჟამად თავისი კარიერის პიკზეა", - განაცხადა კეირუშმა. ამასთან, პორტუგალიელმა აღიარა, რომ არ სჭირდება ფრანჩესკო ტოტის მომსახურება. "არა მგონია, რომ ტოტი ის კაცია, რომელიც "რეალს" სჭირდება", - თქვა მწვრთნელმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ჩუკოტკის გუბერნატორმა რომან აბრამოვიჩმა კვლავ მიაღწია საწადელს. "ჩელსიმ" და ფრანგულმა "რენმა" დაასრულეს მოლაპარაკება ლონდონურ კლუბში მეკარე პეტერ ჩეხის გადასვლის შესახებ. "რენის" სპორტულმა დირექტორმა პიერ დრეოსიმ სატრანსფერო თანხა არ დაასახელა, მაგრამ, ჩეხური მედიის ინფორმაციით, თანხა 9 მილიონ ევროს შეადგენს.

■ ■ ■

ფეხბურთი. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომიტეტმა დისკვალიფიკაციის ვადა შეუმცირა "ინტერის" ფორვარდ მოჰამედ კალონისა და "პარმას" ნახევარმცველ მანუელე ბლაზის. კალონი გამოტოვებს არა 8, არამედ 6 თვეს. ბლაზი კი 6-ის ნაცვლად 5 თვეს არ ითამაშებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. "მილანის" მცველმა დარიო შიმიჩმა გუნდთან კონტრაქტი გააგრძელა. შიმიჩი 2007 წლის 30 ივნისამდე "მილანის" საკუთრება იქნება. იტალიურ კლუბთან მისი წინა კონტრაქტი 2005 წლის ივნისში იწურებოდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი დევიდ ბეტი "ლიდსის" მაისურით მინდორზე აღარ გამოვა. ამის მიზეზი ნახევარმცველის წარუმატებელი თამაშია. "ჩვენ დევიდს ამ სეზონში აღარ გამოვიყენებთ, - ამბობს კლუბის მწვრთნელი ედი გრეი, - ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ საფეხბურთო მიზეზით არის ნაკარნახევი".

■ ■ ■

ფეხბურთი. ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი გამოვიდა ინიციატივით, ამხანაგურ მატჩებში ცვლილებების რაოდენობა ხუთამდე შემცირდეს. ფიფას მმართველი ორგანოსადმი გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამია: "ამხანაგურ მატჩებში დიდი რაოდენობით ცვლილებების განხორციელება მატჩისადმი ინტერესს ანელებს და კურიოზულ სიტუაციებს ქმნის. ცვლილებების მაქსიმალური რაოდენობა ამხანაგურ მატჩებში უნდა შეიზღუდოს". ბლატერის წინადადება განიხილება ფიფას მმართველი ორგანოს სხდომაზე, რომელიც 27 და 28 თებერვალს ლონდონში გაიმართება.

■ ■ ■

ფეხბურთი. "დეპორტივოს" პრეზიდენტმა აუგუსტო ლენდოირომ განაცხადა, რომ ზაფხულში ის კლუბის ნახევარმცველ ვალერონთან კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე მოლაპარაკებას გამართავს. აღსანიშნავია, რომ კლუბთან ვალერონის ამჟამინდელი კონტრაქტი მხოლოდ სამი წლის შემდეგ იწურება. ლენდოირო აპირებს, ვალერონს ისეთი კონტრაქტი შესთავაზოს, რომელიც ფეხბურთელს კლუბში საფეხბურთო კარიერის ბოლომდე დააკავებს.

■ ■ ■

კრივი. მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ჯორჯ ფორმენმა განაცხადა, რომ რინგს დაუბრუნდება, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელად 7 წლის წინათ იჩხუბა. ფორმენმა წვრთნის პროცესი თავისი 55 წლის იუბილეზე, 10 იანვარს დაიწყო. "მე კიდევ 10 კილოგრამის დაკლება მომიწევს. თუ ეს გამომივა, კიდევ ერთ ბრძოლას გავმართავ", - განაცხადა ფორმენმა. ვისთან იჩხუბებს ლეგენდარული მოკრივე, ეს ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

კრივი. მძიმე წონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა შეიძლება უკვე 24 აპრილს გაიმართოს. სწორედ ეს დღე აწყობს სატელევიზიო არხს "ნვო", რომელიც მთავარ ბრძოლებს გადასცემს. მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონმა ლენოქს ლუისმა სპორტული კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა, ნათელი გახდა, რომ ჩემპიონის ქამრისთვის ორი საუკეთესო მოკრივე იჩხუბებდა. ამჟამად პირველ ადგილზე ვიტალი კლიჩკოა, მეორეზე კი - კორი სანდერსი. სწორედ ეს ორი მოკრივე იბრძოლებს ჩემპიონის ტიტულისთვის.

■ ■ ■

კალათბურთი. ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გამართულ კალენდარულ შეხვედრაში "ატლანტამ" - 102:96 დაამარცხა "დალასი". გამარჯვებულთა ფორვარდმა სტეფან ჯექსონმა თავის გუნდს 30 ქულა შესძინა. მთავარი მოვლენა კი NBA-ის ახალი რეკორდია, რომელიც ლებრონ ჯეიმსმა დაამყარა. ის გახდა NBA-ის ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი, რომელმაც სეზონში 1000 ქულა მოაგროვა. ამ მაჩვენებლით მეორე შედეგი კობი ბრაიანტს აქვს.

ფორმულა 1

"ფერარის" მომხრეები და მოწინააღმდეგეები

ბარიკელოს და შუმახერს ზოგი წარმატებას უწინასწარმეტყველებს, ზოგიც დამარცხებას.

"ფერარის" გერმანელი პილოტის, მიხაელ შუმახერისგან განსხვავებით, იტალიური საჯინიბოს ბრაზილიელ პილოტს, რუბენს ბარიკელოს ახალი F2004-ით რბოლა დაუგვიანდა. თუმცა, დანაკლისი ერთბაშად აინაზღაურა, როდესაც მიუჯელოში "ფერარის" სატესტო ტრასაზე წრის რეკორდით გამოიჩინა თავი.

ახალი ბოლიდით ბრაზილიელმა ტრასას 73-ჯერ შეომოუქროლა და როდესაც რბოლა დაასრულა, წამზომი 1:18.704-ს უჩვენებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბარიკელომ წინა რეკორდი 2,239 წამით გააუმჯობესა. დამხობილი რეკორდი კი ეკუთვნოდა მიხაელ შუმახერს, რომელიც მან შარშან, 13 ივლისს დაამყარა. რბოლის შემდეგ "ფერარის" მეორე პილოტი, ბუნებრივია, კმაყოფილი იყო. კმაყოფილი არა საკუთარი თავით, არამედ ახალი ბოლიდის შესაძლებლობებით.

"შემიძლია ვთქვა, რომ F2004-ს სუსტი მხარეები არა აქვს. ახალი ბოლიდი ყოველმხრივ საუკეთესოა...

რა თქმა უნდა, საბოლოო განაჩენის გამოტანა ჯერ ადრეა, მაგრამ ფაქტია, წინამორბედთან შედარებით ახალი მანქანა უკეთესია, - შთაბეჭდილებებს გვიზიარებს ბარიკელო: "ახალი მანქანის გაცნობა ყოველთვის ემოციურია. ამ სეზონში ჩვენი დიდი უპირატესობა ის იქნება, რომ სეზონს ახალი ბოლიდით ვიწყებთ".

F2004-ზე საუბრის შემდეგ ბრაზილიელმა კონკურენტებისთვისაც მოიცალა: "ვალენსიაში "მაკლარენის" პილოტებს რაიმე ხელშესახები შედეგებისთვის არ მიუღწევიათ. ბარსელონაში კი ტექნიკური პრობლემები შეექმნათ, - მეტოქეებზე საუბრობს ბარიკელო და იქვე "BMW-უილიამსსა" და "რენოს" ტესტებზე აგრძელებს სიტყვას" "უილიამსის" FW26-ზე ის ვიცით, რომ იგი ძალზე სწრაფია, ოღონდ ერთ წრეზე. დიდ მანძილებზე სიჩქარის განვითარება კი უჭირს. "რენოს" შემთხვევაში ყველაფერი პირიქითაა. მათ დიდ პროგრესს მიაღწიეს. ისინი სტაბილურად სწრაფები არიან როგორც ერთ წრეზე, ისე რბოლის სიმულაციისას".

ეს, რაც შეეხებოდა ბარიკელოსა და "ფერარის" კონკურენტებს. ახლა იმაზე, თუ რას უქადიან ბარიკელოს თანაგუნდელს, მიხაელ შუმახერს, ახალი სეზონის წინ, სეზონის, რომელზეც გარკვეული შთაბეჭდილება უკვე შექმნილია. უფრო სწორად, მეტ-ნაკლებად ცნობილია მსოფლიო ჩემპიონატის წინ საჯინიბოებს შორის ძალთა თანაფარდობა.

თუ წინა ჩემპიონატებში შუმახერს უპირობოდ მიიჩნევდნენ უმთავრეს ფავორიტად, ახლა სურათი შეიცვალა. ყოველ შემთხვევაში, ბევრი ფიქრობს, რომ მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი მეშვიდე ტიტულს ვერ დაეუფლება. ყველაფერ ამაზე საკუთარი მოსაზრება აქვთ როგორც ფორმულა 1-ის პილოტებს, ისე მათ ხელმძღვანელებსა თუ პილოტებს, რომლებიც ორად - მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად არიან გაყოფილნი.

მომხრეები:

ნორბერტ ჰაუგი (მერსედეს-მოტოსპორტის ხელმძღვანელი): "მაშინაც კი, თუ ბევრი მიიჩნევს, რომ "ფერარის" ჩემპიონობის შანსი არა აქვს, ჩვენ მათ მაინც ვერ ჩამოვწერთ. ასეთ შეცდომას არ დავუშვებთ. "ფერარი" და "ბრიჯსტოუნი (საბურავების მწარმოებელი) კიდევ დაწინაურდებიან.

ჰანს-იოაჰიმ შტუკი (ფორმულა 1-ის ექსპერტი): "არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება "ფერარის" პრეტენდენტთა სიიდან ამოღება. ასეთი რამ სისულელე იქნებოდა. "წითლები" საბურავებზე არიან კონცენტრირებულნი - 2003 წლის სეზონში საბურავები მათი სუსტი მხარე იყო. თუ ამ პრობლემას მოაგვარებენ, - რაშიც ეჭვი არ მეპარება, - მაშინ მეშვიდე ტიტულისკენ გზა ხსნილი იქნება შუმახერისთვის".

მოწინააღმდეგეები:

ბერნი ეკლსტოუნი (ფორმულა 1-ის ბოსი): "მიმაჩნია, რომ მიხაელს მძიმე სამუშაო ელის. მეშვიდე ტიტულის დაუფლება იოლი არ იქნება".

მაქს მოსლი (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტი): "ფორმულა 1-ის ყოველი სეზონის წინ შუმახერის დასახელება ფავორიტთა შორის ნამდვილად შეიძლება, მაგრამ ამჯერად, შესაძლოა, ჩემპიონად ვინმე სხვა მოგვევლინოს".

მარკ ვებერი ("იაგუარის" პილოტი): "მეშვიდე ტიტული ფანტასტიკური შედეგი იქნებოდა, მაგრამ მგონია, რომ ჩემპიონი "მაკლარენის" პილოტი გახდება - გაიმარჯვებს კიმი რაიკონენი ან ვინმე "უილიამსიდან".

ნიკ ჰაიდფელდი ("ჯორდანის" პილოტი): "მაყურებლისთვის ცუდი არ უნდა იყოს, თუ მიხაელ შუმახერი ჩემპიონი ვერ გახდება".

კრისტიან კლინი ("იაგუარის" პილოტი): "უილიამსი" და "მაკლარენი" ძალზე ძლიერები არიან. სწორედ ეს ორი გუნდი იბრძოლებს ტიტულისთვის. ფსონს რაიკონენსა და მონტოიაზე ჩავდივარ".

მარკ შურერი (ფორმულა 1-ის ექსპერტი): "არ მინდა, ემოციებს ავყვე და ვილაპარაკო იმაზე, რომ ახალი "ფერარი" სუპერმანქანაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალ სეზონამდე ცოტა დრო რჩება, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლა საუკეთესო მდგომარეობაში არიან "მაკლარენ-მერსედესი" და "უილიამსი".

ბოგბურთი

ბელორუსებს - ორდენები, რუსებს - არაფერი

ლუკაშენკომ ჩოგბურთელები დააფასა.

"დევისის თასის" პირველი ეტაპი დასრულდა. გაირკვა ყველა მეოთხედფინალისტის ვინაობა. საინტერესო დაპირისპირებები გველის მომავალში. ახლა კი კონკრეტულად იმაზე, თუ როგორ არ შეაფასა სათანადოდ რუსეთის ნაკრებმა ბელორუსის ნაკრები და ამისთვის კაი ჩიტიც დაიჭირა.

სანდრო ნავერიანი

პირველივე ეტაპიდან რუსების გამოვარდნას არავინ ელოდა, მით უმეტეს, არ ელოდნენ თავად რუსები, მაგრამ მათ არ შეაფასეს მეტოქის შესაძლებლობანი, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. უკანასკნელ, მეხუთე მატჩამდე ანგარიში საყაიმო (2:2) იყო. უკანასკნელ შეხვედრაში მიხაილ იუჟნისა და ვლადიმერ ვოლჩკოვის დაპირისპირებას უნდა გამოევლინა რუსეთ-ბელორუსის წყვილში გამარჯვებული. როგორც რეიტინგით, ისე კლასით, მიხაილ იუჟნი ვოლჩკოვზე, მთელით თუ არა, ნახევარი თავით მაინც მაღლა დგას, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მთავარი შემართება ყოფილა, რაც ვოლჩკოვმა აშკარად გამოამჟღავნა იუჟნისთან მატჩში და დამსახურებულად გაიმარჯვა კიდეც.

ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ პირადად მოულოცა ვოლჩკოვს გამარჯვება და აღნიშნა, რომ ბელორუსის ნაკრებმა მსოფლიოში უძლიერესი თუ არა, ერთ-ერთი წამყვანი გუნდის დამარცხება შეძლო. "ჩვენ გავიმარჯვეთ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან და არ შეიძლება, ეს არ მახარებდეს. ბელორუსი და რუსეთი ოდითგანვე დიდი მეგობრები იყვნენ, მაგრამ იმას, რომ ეს გამარჯვება მე ეროვნულ რანგში ამყავს, არავითარი კავშირი არა აქვს ბელორუსსა და რუსეთს შორის მოსალოდნელ უსიამოვნებასთან. დარწმუნებული ვარ, ბორის ელცინიც იგივეს იტყოდა. პუტინზე იმიტომ არ ვამბობ ამას, რომ მას ნაკლებად უყვარს ჩოგბურთი", - განაცხადა ალექსანდრ ლუკაშენკომ. ბელორუსის პირველი პირი მხოლოდ ქათინაურებით არ შემოიფარგლა და ნაკრების კაპიტანი სერგეი ტეტერინი "ეროვნული გმირის" ორდენით დააჯილდოვა. მაქსიმ იუჟნის "სამშობლოს სიყვარულის" ორდენი გადასცა, ხოლო ვლადიმირ ვოლჩკოვს "სიმამაცის" ორდენი მიანიჭა. ასე რომ, ბელორუსის ნაკრები მეოთხედფინალში გავიდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მან, მართლაც, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები დაამარცხა.

მაშ, რუსებს რაღა? არც არაფერი! მარატ საფინის მუქარა, რომ გაანადგურებდნენ ბელორუსის ნაკრებს, მუქარად დარჩა. ბორის ელცინის თანადგომა, რომელიც მინსკის კორტებზე ხმამაღალ შეძახილებში გამოიხატებოდა, ვერაფრით დაეხმარა რუსეთის ეროვნულ გუნდს. ვერ უშველა ვერც წითელ მოედანზე დამონტაჟებულმა პატარა მონიტორმა, რომლის საშუალებითაც მოსკოველებს შეეძლოთ, თვალი ედევნებინათ პირდაპირი ტრანსლაციისთვის. ბელორუსებმა, მართლაც, გმირობა ჩაიდინეს და დაამტკიცეს, რომ მათ ქვეყანაში ჩოგბურთი პროგრესს განიცდის. მარატ საფინს მარტო ცრემლები არ გადმოუყრია, თორემ სხვა ყველაფრით გვაგრძნობინა, რომ ძალიან დაწყდა გული "დევისის თასის" გათამაშებიდან გამოვარდნის გამო, თუმცა, არც ცრემლი და არც გულახდილობა საქმეს არ შველის.

ბელორუსებთან ერთად მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს აშშ-ს, შვედეთის, ესპანეთის, საფრანგეთის, არგენტინის, შვეიცარიის და ნიდერლანდების ნაკრებებმა.

კრივი

პრომოუტერი კლიჩკოები

კლიჩკოები საკუთარი ბედის ბატონ-პატრონები გახდნენ.

ძმები კლიჩკოები უახლოეს მომავალში თვითონ გახდებიან საკუთარი თავის პრომოუტერები - თვითონ იკისრებენ საკუთარი ბრძოლების ორგანიზებას. ამისთვის მათ გადაწყვიტეს, პრომოუტერული კომპანია ჩამოაყალიბონ.

"ჩვენ ამ მიმართულებით ვმუშაობთ და უახლოეს მომავალში მზად ვიქნებით, ამის შესახებ ოფიციალურად განვაცხადოთ, - აღიარა ვიტალიმ, - ჩვენ გვსურს, თავად გავხდეთ ჩვენი ბრძოლების პრომოუტერები და ისეთი მოკრივეების კვალზე წავიდეთ, როგორებიც ოსკარ დე ლა ჰოია, როი ჯონსი და ლენოქს ლუისი არიან".

შეგახსენებთ, რომ ძმები კლიჩკოები აპირებენ, გაწყვიტონ ურთიერთობა გერმანულ პრომოუტერულ კომპანია Universum Box-Promotion-თან, რომელსაც კლაუს-პეტერ კოლი ხელმძღვანელობს. თუმცა, ვიტალი კლიჩკოს თქმით, ამ პროცესს არავითარი სასამართლო გართულება არ მოჰყვება. უბრალოდ, უახლოეს მომავალში ჰამბურგის იურიდიული ინსტიტუტი ძმებს Universum Box-Promotion-თან სადავო საკითხზე ახსნა-განმარტებას წარუდგენს. კერძოდ, მათი კონტრაქტი 30 აპრილს ამოიწურება ან განახლდება მოკრივეების მიერ მიღებული ტრავმების საფუძველზე.

ზოგიერთმა საინფორმაციო საშუალებამ იჩქარა და გამოაცხადა, რომ ძმებ კლიჩკოებსა და პრომოუტერ კლაუს-პეტერ კოლს შორის სასამართლო დავა იქნებოდა. ამასთან, ითქვა, რომ მოკრივეთა ადვოკატმა სარჩელი უკვე წარადგინა და ჰამბურგის მხარის სასამართლოს ყველა აუცილებელი დოკუმენტი გადასცა. თუმცა, თავის ოფიციალურ საიტზე ძმებმა ეს ინფორმაცია უარყვეს.

ძმებ კლიჩკოებსა და კრივის კლუბს შორის შეთანხმება წლის ბოლოს იწურება. კოლი ითხოვს, კონტრაქტი უფრო "ხანგრძლივი ურთიერთობების" ფარგლებში გაგრძელდეს. კლიჩკოს თქმით კი, ძმებსა და Universum Box-Promotion-ს შორის უთანხმოება კონტრაქტის ვადის თაობაზე წარმოიშვა. ანუ უნდა შეწყვეტილიყო თუ არა კლიჩკოებსა და Universum Box-Promotion-ს შორის კონტრაქტი სწორედ ამა წლის 30 აპრილს. ახლა მხარეები მოლაპარაკების პროცესში არიან. თუ ისინი კონსენსუსამდე ვერ მივლენ, კამათი ჰამბურგის სასამართლოში გაგრძელდება.

ვიტალი კლიჩკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დავა არავითარ შემთხვევაში გავლენას არ იქონიებს მათ სპორტულ კარიერაზე და, საბოლოო გადაწყვეტილების მიუხედავად, კლიჩკოები რინგზე წარმატებით გამოსვლას გააგრძელებენ. ლენოქს ლუისის სპორტიდან წასვლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ვაკანტური დარჩა. WBC-ის წესების თანახმად, მსოფლიო ჩემპიონის ვაკანტური ტიტული შეიძლება გაითამაშონ რეიტინგის პირველმა (ვიტალი კლიჩკო) და მეორე (კორი სანდერსი) ნომრებმა.

"სანდერსთან ბრძოლა ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ამ ბრძოლაში გამარჯვება საშუალებას მომცემს, მძიმე წონაში ყველაზე პრესტიჟული ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ქამარი მოვიპოვო, - განაცხადა ვიტალი კლიჩკომ, - მართალია, ეს ბრძოლა ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ ის მხოლოდ ბრძოლაა. ლენოქსთან ერთად თუ მის გარეშე, მე ერთი მიზანი მაქვს - მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ვაკანტური ტიტულისთვის, WBC-ის ვერსიის წესების თანახმად, რეიტინგის მეორე ნომერთან ვიბრძოლებ. ეს ბრძოლა არანაკლებ საინტერესო იქნება, ვინაიდან სამხრეთაფრიკელმა კორი სანდერსმა ჩემი უმცროსი ძმა, ვლადიმირი დაჩაგრა".

სანდერსთან მატჩი შეიძლება 24 აპრილს გაიმართოს. ეს თარიღი ტელეარხ "ნვო"-ს აწყობს. მაგრამ 24 აპრილი სამუშაო დღეა. ახლა დაიწყება მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების სერია, რომლითაც გაირკვევა ბრძოლის ზუსტი თარიღი და მისი ჩატარების ადგილი.

ჯერჯერობით, WBC-ს ოფიციალური ინფორმაცია არ გამოუქვეყნებია. ამიტომ ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ კლიჩკო და სანდერსი ერთმანეთის წინააღმდეგ კი არა, არამედ შესარჩევ ბრძოლებში მიიღებენ მონაწილეობას, რომელთა შორის გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს.

თუმცა, ვრცელდება ჭორი, რომ ლენოქს ლუისმა მხოლოდ შესვენება აიღო და მას შემდეგ, რაც ვიტალი კლიჩკო მსოფლიო ჩემპიონის ქამარს მოიპოვებს, ლუისი მის წინააღმდეგ იბრძოლებს და შეეცდება, ტიტული დაიბრუნოს.

TV-სპორტი

ოთხშაბათი. 11 თებერვალი

НТВ+ФУТБОЛ
07:00 NBA TV. "PORTLAND TRAIL BLAZERS" - "UTAH JAZZ". პირდაპირი ტრანსლაცია
07:30 NBA TV – NBA შიგნიდან
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგა. 2003-2004 სეზონი. "მონაკო" – "დეპორტივო"
15:10 "პოსტსკრიპტუმი"
15:40 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:35 თავისუფალი დარტყმა
16:50 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:50 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
18:20 "FUTBOL MUNDIAL"
18:50 განვლილი სეზონის საუკეთესო მატჩები – ბრაზილიის ჩემპიონატი. "კრუზეირო" – "ფლამენგო"
20:30 თავისუფალი დარტყმა
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 "დარტყმა გოლისთვის"
21:10 იტალიის ჩემპიონატი. "რომა" – "იუვენტუსი"
22:55 ჩემპიონთა ლიგა. 2003-2004 სეზონი. "ინტერი" – "არსენალი". შესვენებისას (22:45) – თავისუფალი დარტყმა
01:05 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:00 02:00-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. დღიური
04:30 NBA TV. "DETROIT PISTONS" - "SACRAMENTO KINGS". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+ СПОРТ
11:00, 14:10, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:25 აერობიკა
11:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში
12:15 ჩოგბურთი. დევისის თასი. პირველი წრის მატჩების მიმოხილვა
13:10 "ვარსკვლავური სამშაბათი"
14:50 "კეგლის დროა"
15:20 ამერიკული ფეხბურთი. Pro Bowl. შესვენებისას (17:00) – პრესცენტრი
21:00 ათენის გაზაზე
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 "Power week – NHL-ის კვირა"
23:00 "თოვლის სამყარო"
23:30 "NHL – პლუს"
23:45 ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. შესვენებისას (01:15) – ახალი ამბები
02:00 ბოულინგი. PBA Tour ტოლედოში (აშშ)
02:50 02:50-დან 04:30-მდე შესვენება
04:30 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "NEW JERSEY DEVILS" – "NEW YORK RANGERS". პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
11:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში
12:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში
12:30 მულტისპორტი
13:00 ფეხბურთი. ევროგოლები
14:00 სპიდვეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალ ზელანდიაში
15:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
15:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
17:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
19:00 ფეხბურთი. აფრიკის ნაციათა თასი
21:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი შვეიცარიაში
22:00 ფეხბურთი. აფრიკის ნაციათა თასი
00:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი შვეიცარიაში
00:15 მულტისპორტი
00:30 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი საფრანგეთში
01:30 გოლფი. PGA ტურნირი. ჰაინეკენის თასი ავსტრალიაში
03:00 მულტისპორტ-გალა
03:30 ახალი ამბები
03:45 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
04:15 ახალი ამბები

ლეონარდო და ვინჩი

ლეონარდო და ვინჩი - ჯოკონდა

ყველა იცნობს ამ დიდი იტალიელი მხატვრის, მარტინ ლუთერის უფროსი თანამედროვის უკვდავ ქმნილებას, ქალის პორტრეტს, რომელსაც უფრო ხშირად "ჯოკონდას" უწოდებენ, უფრო იშვიათად კი "მონა ლიზას". ქალის ფიგურა ხეებითა და კლდეებით მოფენილი, მდინარეებითა და ჩანჩქერებით მდიდარი პეიზაჟის ფონზეა გამოსახული. სახე მომრგვალებული და რბილია, კანი თბილი და ხავერდოვანი, თვალები ცოცხალი. განსაკუთრებით ცნობილია ჯოკონდას იდუმალი ღიმილი, რომლის გარშემო, უკვე მეექვსე საუკუნეა, სხვადასხვა აზრებს გამოთქვამენ კრიტიკოსები. ეს პორტრეტი ლეონარდოს ყველაზე ცნობილი ნამუშევარია.

როცა მეოცე საუკუნის დასაწყისში ჯოკონდა ლუვრის მუზეუმიდან მოიპარეს, მთელი მსოფლიო აღშფოთდა და მთელმა მსოფლიომ შვებით ამოისუნთქა, როცა მოპარული სურათი იპოვეს.

მაგრამ ფერწერის ამ საქვეყნოდ ცნობილი შედევრის გარდა ლეონარდო ბევრი სხვა რამით იყო ცნობილი, რაც მას მკვეთრად განასხვავებდა ფერმანული რეფორმაციის ცნობილი მოღვაწეებისაგან. ეს უკანასკნელნი თითქოსდა ყრუნი და ბრმანი იყვნენ გარშემო სინამდვილის მიმართ. ლეონარდო კი ყურადღებით აკვირდებოდა მას. ეს თვისება მოგვიანებით მისმა თანამემამულემ, გალილეო გალილეიმ აიყვანა თვალუწვდენელ სიმაღლეზე და პროტესტანტებისათვის დამახსიათებელ შინაგან კონცენტრაციასთან ერთად მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ევროპული ცივილიზაციის ფორმირებაში.

ადგილი არ გვეყოფა ყველა იმ გამოგონებისა და აღმოჩენის ჩამოსათვლელად, რომლებიც ლეონარდოს სახელთანაა დაკავშირებული. მისი ბიოგრაფი, ჯორჯო ვაზარი წერს: "ყოველდღე რაღაც პროექტებს იგონებდა, ხან მთების გადასაადგილებლად, ხან მათში ხვრელების გასაყვანად, იგონებდა, როგორ უნდა მოეხდინა ბერკეტებისა და ამწეების საშუალებით დიდი სიმძიმეების აწევა, როგორ უნდა ამოეტუმბა წყალი დაბალი ადგილებიდან". მას ეკუთვნის პირველი ტყვიამფრქვევის იდეა, პირველი პარაშუტი, იწინასწარმეტყველა, რომ მალე ადამიანიც შეძლებდა ცაში ფრენას. ამბობენ, რომ მის მიერ აგებული მფრინავი აპარატი დედამიწას მოწყდა, მაგრამ ექსპერიმენტი არ გამეორებულა და ამიტომაც ეჭვის ქვეშაა.

ლეონარდო გამომგონებელს არ ჩამორჩა. ლეონარდო მეცნიერი, რომელმაც უარყო მზის მოძრაობა დედამიწის ირგვლივ, შეადგინა იტალიის გეოგრაფიული რუკა, უარყო ბიბლიური ლეგენდა იმის შესახებ, თითქოსდა ქალაქები სოდომი და გომორა ღმერთმა დასაჯა მათი მცხოვრებლების უზნეობათა გამო — მათ გაქრობას ლეონარდო მკვდარი ზღვის მახლობლად მომხდარი მიწისძვრით ხსნიდა.

ლეონარდოსავით ვერავინ გამოხატა მისი დროისათვის დამახასიათებელი ინტელექტუალური სულისკვეთება და ცოდნის წყურვილი. ის, რასაც გამოგონებებს უწოდებენ, სინამდვილეში მხოლოდ ინტუიცია იყო, მაგრამ ეს შემოქმედი ადამიანური შემეცნების თითქმის ყველა სფეროს შეეხო და ყველა სფერო გაამდიდრა რაღაც ახალი და შესამჩნევი მონაპოვრით. მომავალი დროის ბევრი აღმოჩენა შეუძლებელი იქნებოდა ლეონარდოს მიერ ჩატარებული გამოკვლევებისა და გამოთვლების გარეშე. შემთხვევით როდია, რომ იგი დახასიათებულია როგორც "აღორძინების ხანის და, შესაძლოა, ყველა დროის ყველაზე სრული კაცი".

სამწუხაროდ, ცალკეულ სამთავროებად დაყოფილი და კათოლიკური ეკლესიის წყალობით ეროვნულ კარჩაკეტილობაში მყოფი იტალია ვერ გახდა ნაყოფიერი ნიადაგი ლეონარდოს ინტელექტის ასაყვავებლად. ექსპერიმენტულ მეცნიერებას, რომლის წინამორბედიც იგი იყო, რეფორმაციისა და კაპიტალიზმის მიერ მოტანილი კოსმოპოლიტური გარემო სჭირდებოდა გასავითარებლად.

შესაძლოა, ჯოკონდა ლეონარდოს ავტოპორტრეტია

ახალგაზრდა ლუთერის ვნებანი - 2

ახლა კი დროა ვნახოთ, რას წარმოადგენდა თვით პიროვნება, რომელსაც ისტორიამ რეფორმაციის შემოქმედის სახელი დაუმკვიდრა — მარტინ ლუთერი.

შვიდი და-ძმისგან ყველაზე უფროსი, მარტინი, 1483 წელს დაიბადა ქალაქ აისლებენში. მამამისი, ჰანსი გლეხი იყო და შემდგომ მაღაროელის პროფესიას დაეუფლა. მკაცრი კაცი იყო, გულფიცხი და პირწავარდნილი ანტიკლერიკალი. დედა, გრეტა, ქმრისაგან განსხვავებით სულ მთლად საშინაო საქმეებსა და საეკლესიო ცხოვრებაში იყო ჩართული. მაგრამ ქმართან ის აკავშირებდა, რომ ღრმად სწამდა: ბავშვების აღზრდაში წკეპლა ყველაზე ქმედითი და კეთილისმყოფელი მეთოდი იყო. მოგვიანებით მარტინი აღიარებს, რომ ერთხანს სძულდა კიდეც საკუთარი მშობლები იმ საშინელი სისასტიკის გამო, რომელსაც მათში ხვდებოდა. კიდევ უფრო მოგვიანებით, ფსიქოანალიზისკენ მიდრეკილი მისი ისტორიკოსები იტყვიან, რომ სწორედ ამ შიშსა და სიძულვილში იმალება ლუთერის ბავშვობისდროინდელი ტრავმა, რომელიც ბოლოს და ბოლოს ეკლესიის წინააღმდეგ ამბოხში გადაიზარდა. თითქოსდა ქვეცნობიერად ლუთერმა რომის პაპს სასტიკი მამის როლი მიაკუთვნა და თავისი ადრინდელი წყენა აზღვევინა.

ამ თვალსაზრისით ბევრი სათქმელი არა გვაქვს — ამას სხვა მომზადება სჭირდება. მაგრამ ერთი რამ აშკარაა: პირველი წარმოდგენა, რომელიც ლუთერმა ღმერთზე შეიქმნა, თანაც საკმაოდ ადრე, ეს სიყვარულით აღსავსე ალერსიანი მამა კი არ იყო, არამედ ულმობელი მოსამართლე, რომელიც უფრო ადვილად იძლეოდა მარადიული წარწყმედის საგზურებს, ვიდრე სამოთხის ვიზებს.

პატარაობიდანვე ლუთერი მარხვისა და სინანულის ატმოსფეროში, ჯოჯოხეთის მუდმივი შიშის ქვეშ იზრდებოდა. ჰანსი მაშინაც ძალიან არ ანებივრებდა ოჯახს, როცა გამდიდრდა და მაღაროელის პროფესია ვაჭრისაზე გაცვალა, რადგანაც მისი გაგებით სიმდიდრეს ნაშოვნი კი არა, დაუხარჯავი ფული ქმნიდა. და მაინც, მამა ხედავდა უფროსი ვაჟის წარმატებას სწავლაში და უარი არ უთქვამს, რომ მარტინს სწავლა ჯერ მაგდებურგში გაეგრძელებინა, მერე კი აიზენახში.

პირველად თოთხმეტი წლის ასაკში იგემა ლუთერმა ალერსი და გულისხმიერება. ამ კეთილგანწყობის წყარო ვინმე ფრაუ კოტა იყო: კეთილი ქალი, რომლის ბინასაც ქირაობდა სწავლის პერიოდში მარტინი. ეს ქალბატონი ხშირად ამბობდა ხოლმე, რომ ერთადერთი ამქვეყნიური სიკეთე კარგი ცოლის ყოლაა. ამ ჭეშმარიტების ირგვლივ ლუთერს ორმოცდაორი წლის ასაკამდე არ შეუწყვეტია თეორიული და თეოლოგიური განაზრებები, მერე კი პრაქტიკულადაც განახორციელა.

მეორადი განათლების მხრივაც ისეთი თვალსაჩინო იყო ლუთერის წარმატებები, რომ ძუნწმა ჰანსმაც არ დაიშურა ხარჯი და შვილი ერფურტის უნივერსიტეტში გაამგზავრა. ალბათ ფიქრობდა, რომ ეს ნიჭიერი შთამომავალი ვექილი დადგებოდა და საქმეშიც შეეწეოდა. ალბათ მარტინიც გარეგნულად არ იმჩნევდა თავის საიდუმლო განზრახვებს და მამას დროზე ადრე არ უმჟღავნებდა თავის ნამდვილ მიდრეკილებებს.

მისი მეგობრები შემდგომში იხსენებდნენ, რომ ლუთერი მეგობრობაში ერთგული და საკმაოდ უდარდელი ახალგაზრდა იყო, არასოდეს განრიდებია საერთო გართობასა და ქეიფს, ხშირად უერთებდა თავის ლამაზ ბარიტონს შეზარხოშებული სტუდენტების მხიარულ გუნდურ სიმღერებს, სიმებიან საკრავებზე დაკვრაც შეეძლო.

მაგრამ რაც შეეხება პროფესორებს, ისინი ლუთერის ამხანაგების განწყობას არ იზიარებდნენ. იმ დროს საუნივერსიტეტო განათლება მთლიანად თეოლოგიაზე იყო დამყარებული და კიდევ საღვთო წერილისა და არისტოტელეს ლოგიკის იმ ნარევზე, რომელიც სქოლასტიკის სახელითაა ცნობილი. ლუთერს ყოველივე ამის მონელება ნამდვილად უჭირდა. მაგრამ არანაკლებ გაუცრუეს იმედი ჰუმანისტებმა, რომლებიც ვირგილიუსისა და ციცერონის კულტს ქადაგებდნენ მაშინ, როცა აისლებენელ ყმაწვილს ადრექრისტიანული მწერლის, ტერტულიანეს მკაცრი და შთამბეჭდავი პროზა ერჩივნა.

ლუთერმა მაინც ბრწყინვალედ შეისწავლა ლათინური, ზედ ცოტა ბერძნული და ებრაულიც დაუმატა. ეს საკმარისი იყო, რომ მაგისტრის ტიტული მიეღო. მამა ჰანსი იმდენად გაალაღა შვილის წარმატებებმა, რომ კანონთა კორპუსის ძვირფასი გამოცემა უყიდა და საჩუქრად გაუგზავნა. როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ ეგონა, რომ მარტინი ადვოკატად გამოადგებოდა მის კომერციულ საქმიანობას. მაგრამ ლამის ნაღველმა ამოასხა ყელში, როცა გაიგო, რომ ვაჟმა ეს წიგნი, თავისი დიპლომი და თავისი სამოქალაქო ტანსაცმელი შორს მოისროლა და ერფურტის ავგუსტინელთა მონასტერს მიაშურა. მარტინ ლუთერი ბერად აღიკვეცა.

წითელი ვარდები ლუთერის საფლავთან ვიტენბერგში

მისი ბიოგრაფები ამ მოულოდნელ გადაწყვეტილებას ჭექაქუხილით ხსნიან. ამ მომენტამდე მარტინი სხვა სტუდენტებისგან არაფრით გამოირჩეოდა, ყოველ შემთხვევაში, სინამდვილის მიმართ თავისი განწყობით. იმას ვგულისხმობთ, რომ საკმაოდ ადვილად უყურებდა ყველა იმ სისუსტეს, რომელიც ადამიანურ ბუნებას ახასიათებს. ძლიერი იყო, გულღია და მგრძნობიარე, ალბათ თავისი ასაკის ახალგაზრდისათვის ჩვეული გამოცდილებაც არ ასცდენია ცხოვრებაში, თუმცა ზოგიერთი ბიოგრაფი ამას უარყოფს. სავარაუდოა, რომ რაღაც ჩადენილმა ცოდვამ რაღაც სინანული გამოიწვია. მაგრამ სინანულს ადრეც არ მოუხდენია დიდი გავლენა ლუთერზე და არ განუდევნია მისი ცხოვრებიდან ყოფითი ცოდვები. მაგრამ ერთ დღეს, როცა შინიდან ერფურტში ბრუნდებოდა, გზად ჭექაქუხილში მოჰყვა. მის სიახლოვეს მეხი დაეცა და მარტინი ბენზე გადარჩა სიკვდილს. ამ მოვლენაში ლუთერმა რაღაც გაფრთხილება დაინახა საშინელი და შურისმაძიებელი ღმერთისგან, რომელსაც ბავშვობიდან უქადაგებდნენ მშობლები. ამ სასტიკი ღმერთის მოწოდებას ლუთერმა საბერო აღთქმით უპასუხა.

თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ შემდგომ წლებში თვითონ ლუთერს ეჩვენებოდა, რომ სწორედ ჭექაქუხილი იყო მისი გადაწყვეტილების მიზეზი: ძალიან ძლიერია ცდუნება, დაიჯერო, რომ საკუთარ თავზე გრძნობ პავლე მოციქულის მიერ განცდილ ელვისებურ მოქცევას. ღვთის ნიშანს მხოლოდ მაშინ ხედავენ, როცა მისთვის შინაგანად უკვე მზად არიან და ელოდებიან კიდეც. ყმაწვილი უკვე კარგა ხანია აფორიაქებული და საკუთარი თავით უკმაყოფილო იყო. ერფურტში დაბრუნებულმა მეგობრები მოიწვია შინ და უკანასკნელად აქეიფა, სვა და იმღერა მათთან, მერე კი თავისი გადაწყვეტილება გაანდო.

ლუთერის მიერ არჩეული მონასტერი ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი იყო. მაგრამ სიმკაცრეში მონასტერს თვით ახალგაზრდა ბერი სჯობდა. სხვა ბერები ხშირად პოულობდნენ მას სენაკის ცივ იატაკზე დამხობილსა და გონდაკარგულს: მუდმივი მარხვა და ხშირი თვითგვემა ზოგჯერ სძლევდა ნორჩსა და ძლიერ სხეულს. ყოველთვის ყველაზე ძნელს სამუშაოსა და მორჩილებას ითხოვდა თავისთვის. ამბობდა, რომ მხოლოდ ასე შეძლებდა თავისი დანაშაულის გამოსწორებას. ამაოდ ცდილობდნენ მისი მოძმენი, დაერწმუნებინათ ლუთერი, რომ ქრისტემ ყველანი ერთნაირად გამოისყიდა პირველყოფილი ცოდვისაგან თავისი სიკვდილითა და ბრწყინვალე აღდგომით. ბოლოს და ბოლოს, მოსამზადებელი პერიოდი შეუმცირეს, რომ ამ ზომაგადასულ ასკეტიზმს ლუთერის სიცოცხლე არ გადაჰყოლოდა. 1506 წლის სექტემბერში ლუთერმა საბოლოო აღთქმა დადო და 1507 წლის მაისში მღვდლად აკურთხეს.

ამ ახალმა მდგომარეობამ თითქოს შეარიგა საკუთარ თავთან და სწავლის გაგრძელების საშუალებაც მისცა. მაინც უარი თქვა თეოლოგიურ სიღრმეებში ჩაყვინთვაზე: მშობლიური გერმანელი მისტიკოსების კითხვა არჩია. ერთხელ კი იან ჰუსის რომელიღაც ტექსტი ჩაუვარდა ხელში: ლუთერის სულიერი სამყარო კიდევ ერთხელ ძირფესვიანად შეიძრა. შემდგომში ის წერდა: "დავხურე წიგნი, სულის სიღრმეში ვიყავი შეურაცხყოფილი იმ აზრით, რომ ამგვარი ქრისტიანული აღტკინების მქონე მწერალი შეიძლებოდა კოცონზე დაეწვათ ერეტიკოსივით".

ლუთერი თავის უშუალო უფროსს, ავგუსტინიანელთა პროვინციელ ვიკარს, ვინემ შტაუპიცს გამოუტყდა და მისგან ავგუსტინეს წაკითხვის მამობრივი რჩევა მიიღო. რჩევამ შედეგი არ გამოიღო. ავგუსტინეს კითხვისას მეხსიერებაში მაინც ჰუსის აზრები იღვიძებდნენ. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება წინასწარგანსაზღვრულობის იდეას მოეხდინა. ერთხელ ლუთერი პავლე მოციქულის წერილებს კითხულობდა და იქ წააწყდა სიტყვებს, რომ მართალი ადამიანი რწმენით ცხოვნდებოდა. ლუთერმა მაშინვე გამოიტანა დასკვნა, რომ ცხოვნებისთვის არც კეთილ საქმეებს და არც ლოცვას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია რწმენა, რომლის მოცემა მხოლოდ თვით ღმერთს ძალუძს. ღმერთმა კი თავიდანვე აარჩია თავის სამწყსოში საცხოვნებლად და წარსაწყმედად გათვალისწინებული ცხვრები, როგორც ამას ამტკიცებს ჰუსი.

ვიკარი შტაუპიცი შეძრწუნდა ახალგაზრდა მღვდლის ამ აზრების გაგონებაზე და ვიტენბერგში გააგზავნა იგი იმ იმედით, რომ ახალი გარემო მის ყურადღებას მიიპყრობდა და გონებას გაუნათლებდა. მიუხედავად საკმაო ასკეტური მომზადების, ლუთერს არ მოეწონა ვიტენბერგი: თავის წერილებში "ლოთებითა და არამზადებით დასახლებულ მიყრუებულ სოფელს" უწოდებდა. ჯერ არ იცოდა, რომ ვიტენბერგი მისთვის იგივე იქნებოდა, რაც მედინა იყო მოჰამედისთვის.

1510 წელს ავგუსტინელთა მონასტერმა ლუთერი და კიდევ ერთი ბერი რომში წარგზავნა, რათა იქ გადაწყვეტილიყო საქსონიელ ძმებთან გაჭიანურებული კამათი. ქალაქის დანახვაზე ლუთერი მუხლებზე დავარდა და შეჰღაღადა: "სალამი შენ, წმიდაო რომო!". სულ ჩოქვით შემოიარა რომის ეკლესიები და სხვა წმიდა ადგილები. ისიც უნდა ითქვას, რომ მომავალმა რეფორმატორმა თვითონ იმდენი ინდულგენცია შეიძინა, რომ ლამის იფიქრა: ნეტა ჩემი მშობლები უკვე გარდაცვლილნი იყვნენ, მათი განსაწმენდელიდან სამოთხეში გადაგზავნა სულ არ გამიჭირდებოდაო.

რა თქმა უნდა, რენესანსის არქიტექტურა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებები ლუთერს დიდად არ აინტერესებდა, მაგრამ არსაიდან არ გამომდინარეობს, რომ სილამაზის ეს ზეიმი მასში ზიზღს იწვევდა. ამის საბუთები არ არსებობს. მხოლოდ ათი წლის შემდეგ, როცა უკვე თავით ფეხებამდე იყო ჩაფლული თავის რეფორმატორულ მოღვაწეობაში, წამოსცდა, რომი საშინელ მკრეხელობად მომეჩვენაო, მაგრამ ეს უკვე საკუთარი წარსულის იდეოლოგიური გადაფასება იყო და მეტი არაფერი. ათი წლის შემდეგ იმასაც ამბობდა, რომ პაპები ათეულობით შიშველი ქალიშვილის თანდასწრებით სადილობდნენ. ამგვარი მითოლოგიით არა მარტო ლუთერის დროინდელი პროტესტანტები გამოირჩეოდნენ. მაგალითად, რუსი მართლმადიდებლები XVII საუკუნეში ამტკიცებდნენ, რომ კათოლიკეები წირვისას, საკურთხეველში ქალის ტანსაცმელს იცვამენ და უხამს მოძრაობებს ასრულებენ. დღეს, ჩვენი მორწმუნე თანამემამულეები ხშირად სერიოზულად ამტკიცებენ, რომ პროტესტანტები თავიანთ ეკლესიებში ძაღლებს ნათლავენ. რელიგიური აღტკინებით გამოწვეული ცილისწამება ხშირად აბსურდულ ფორმებს იძენს და ამაში თვით ლუთერიც არ ყოფილა გამონაკლისი: არანაირი ისტორიული ცნობა არ არსებობს, პაპის სადილზე მოცეკვავე შიშველი გოგონების შესახებ, სამაგიეროდ, დანამდვილებითაა ცნობილი, რომ დედაქალაქში ყოფნისას ლუთერი არც ერთხელ არ ყოფილა პაპის სასახლეში და არ ენახა მისი სადილი.

ვიტენბერგში დაბრუნებული ვიკარად დანიშნეს. ყველაფერი მშვიდად მიდიოდა, სანამ ლუთერმა რომელიღაც არქივში ნაპოვნი ანონიმური ხელნაწერი არ გამოაქვეყნა და უცნაური სათაური არ წაუმძღვარა მას: "გერმანული თეოლოგია". მაშინ ორთოდოქსული კათოლიკეები შეშფოთდნენ: თეოლოგია ერთადერთი იყო და ნაციონალიზაციას არ ექვემდებარებოდა.

ლუთერმა შენიშვნები ყურად არ იღო. საუნივერსიტეტო ლექციებში ღიად საუბრობდა რწმენით ცხოვნების შესახებ, ამბობდა, რომ საეროთა გარყვნილების მიზეზი სამღვდელოების უზნეობაა. ლუთერის თავზე უკვე შეგროვდა საავდრო ღრუბლები, მაგრამ ვიტენბერგში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა და ახალდანიშნული ვიკარის ქრისტიანულმა გმირობამ ყველა გააკვირვა: იგი თავგანწირულად შედიოდა სნეულთა სახლებში, მოწყალებისა და თანაგრძნობის სასწაულებს აჩვენებდა. საქსონიის ჰერცოგმა ეპიდემიის დაცხრობის შემდეგ ლუთერს დრეზდენში რამდენიმე ქადაგების წაკითხვა სთხოვა, მაგრამ შედეგით უკმაყოფილო დარჩა: დოგმატიკა დიდად არ ადარდებდა, მაგრამ საერო მთავარს არ მოსწონდა, როცა მის ქვეშევრდომებს უქადაგებდნენ, რომ მათი ცხოვნება არაა დამოკიდებული მათ ქცევაზე.

ვინ იცის, საითკენ გადაიხრებოდა ლუთერის ბედი. მაგრამ ინდულგენციების ამკრეფი ტეტცელი უკვე მიემზგავრებოდა ვიტენბერგისკენ და სულ მალე ჩვენს წინა სტატიაში აღწერილი მოვლენები განვითარდა.



მარტინ ლუთერი

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეზარაშვილი

ქურქი - მომხრეები და მოწინააღმდეგეები

ნაომი კემპბელი ქურქში...

...რომელიც მელას გახადეს

უცნაური სანახაობა იყო: მილანის მოდების ჩვენების დროს ორი ქალი "დოლჩე და გაბანას" კოლექციას დაესხა თავს. სწორედ მაშინ, როცა ერთ-ერთი მოდელი ბორდოსფერი ქურქის პრეზენტაციას ახდენდა, ისინი პოდიუმზე აცვივდნენ და ტრანსპარანტების გაშლა სცადეს. დამსწრე საზოგადოება მხოლოდ გუმანით მიხვდა, რომ Peta-ს (ცხოველებთან ეთიკურად მოქცევის საზოგადოება) აქტივისტებთან ჰქონდა საქმე, რადგან დაცვამ ისინი დარბაზიდან ოპერატიულად და ფრიად უხეშად გააბრძანა. აქციას მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. საერთოდ, ცხოველთა დამცველების პროტესტები იშვიათი მოვლენა გახდა, მიუხედავად იმისა, რომ მოდაში ძალიან ბევრი ბეწვი გამოჩნდა, ბევრად მეტი, ვიდრე უწინ იყო.

ერთადერთი დიზაინერი, რომელიც ბეწვს სათოფეზე არ ეკარება, სტელა მაკარტნია – ის ვეგეტარიანელიც გახლავთ და ცხოველური წარმოშობის ნაწარმს თავის შემოქმედებაშიც ერიდება. ყველა სხვა მოდელიორი ბეწვსა და ტყავს ისე მშვიდად იყენებს, თითქოს ამ მასალასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ არსებობდეს.

"ქურქის დაბრუნება" თავდაპირველად მოდელიორთა სინდისის ქენჯნას იწვევდა. მათ ჯერ "სახალისო" გამოსავალი მონახეს – ხელოვნური ბეწვი, შემდეგ კი, სკანდინავიურ ბეწვის მწარმოებელ "საგა ფარსთან" თანამშრომლობისას, ბუნებრივი ბეწვის გადაღებვას მიჰყვეს ხელი. ეს შელებილი, გაკრეჭილი და სხვადასხვა მასალასთან შეხამებული ბეწვი ბუნებრივის შთაბეჭდილებას არცკი ახდენდა და ჩინებულადაც იყიდებოდა.

იმავე დროს ახალგაზრდებმა ძველმანებში ბეწვის ტანსაცმელი აღმოაჩინეს. ეს ცხოველები ხომ დიდი ხნის დახოცილები იყვნენ, და ამიტომ ბებოს სკივრიდან ამოთრეული კვერნის საყელოს ტარება ცოდვად არ ითვლებოდა. თან, ბეწვის ტარებას ვერავინ ბედავდა, და რა მაგარი ხარ, როცა იმას აკეთებ, რასაც სხვა ვერავინ ბედავს!

გარდა ამისა, ასაკობრივი ჯგუფიც შეიცვალა: 50-ს გადაცილებული, წარმატებული მამაკაცების ცოლების ნაცვლად ბეწვი ახალგაზრდა, დამოუკიდებელმა ქალებმა მოისხეს. ამავე დროს, ქურქის მიზანი მხოლოდ გათბობა აღარ იყო – ველურები ხომ არ ვართ! და ასეთი ცნებაც კი გაჩნდა: ზაფხულის ქურქი.

ყველაფერთან ერთად, ბაზარზე იაფფასიანი ბეწვიც გამოჩნდა. რასაკვირველია, შეიძლება Baby Dior-ში შებრძანდეთ და თქვენს პატარას ქურქი 5 ათას დოლარადაც უყიდოთ, მაგრამ არსებობს კურდღლის ქუდები და ხელჩანთებიც – ასეთების ყიდვა დემოკრატიულ Zara-სა თუ H&M-შიც შეიძლება.

ყველაფერ ამის ფონზე დიზაინერები კვლავ "გაკადნიერდნენ": ვერსაჩე და მარკ ჯეკობსი ნიანგის ტყავს იყენებენ, გუჩი - გველისას. ბეწვეულის მოყვარულები ერთეულები როდი არიან, და ნიუ იორკის მწეველებივით მათ იქედნურად არავინ უყურებს. ცხოველთა დამცველების დასამშვიდებლად ის არგუმენტი მოჰყავთ, რომ ცხოველები, რომელთა ნაშთებსაც შეძლებული ხალხი ატარებს, კარგ პირობებში ცხოვრობდნენ, საგანგებო ფერმებში გაიზარდნენ – აი, ნახეთ, როგორი ბრჭყვიალა და ფუმფულა ბეწვია! განა დაჩაგრულისა ასე იბზინებდა?

ამ ბეწვს, ცხადია, არც ღებავენ და არც კრეჭენ – არც დიზაინერები და არც ის მებრძოლები, რომლებიც 80-იანსა და 90-იანი წლების დასაწყისში ქურქიანებს ქუჩებშიც კი ესხმოდნენ თავს. უნდა ითქვას, რომ ეს აქციები იმხანადაც არ იყო დიდად წარმატებული. როგორც ჩანს, ქურქის სიყვარული ყველანაირ კორექტულობაზე მაღლა დგას.

ამის საუკეთესო მაგალითი ნაომი კემპბელის ისტორია გახლავთ. მოდელი, რომელიც 1994 წელს გასძახოდა, ბეწვის ტარებას მირჩევნია, შიშველმა ვიაროო, 1998 წელს კვლავ ბეწვში ჩაფლული ეჩვენა საზოგადოებას. დღეს ბეწვს მხოლოდ ჯენიფერ ლოპესისთანა უპრინციპო ქალები კი არა, ჰიპ-ჰოპის ვარსკვლავებიც ატარებენ. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ნატურალურ ტყავზე, დაახლოებით, 400 დიზაინერი მუშაობს, მაშინ, როცა სულ რაღაც ათი წლის წინათ ისინი მხოლოდ ორმოცდაათნი იყვნენ. დღეს "ქურქოსნებს" აღარ ეშინიათ, რომ კარლ ლაგერფელდის ან ამერიკული "ვოგის" მთავარი რედაქტორის, ანა ვინტურის ბედს გაიზიარებენ – იმათ ხან ტოფუს ტორტები დააყარეს და ხან მკვდარი არსებები დაახვედრეს წვნიანში. დღეს მათ მხოლოდ ის საფრთხე ემუქრებათ, რომ ყელზე შემოხვეულ მელაკუდას მეტისმეტად ბევრი ადამიანი სიყვარულით გადაუსვამს ხელს.

მართლაც, ბეწვზე უფრო რბილი და სასიამოვნო მასალა არც არსებობს. წარმოიდგინეთ, როგორი ნეტარებაა ბეწვის გადასაფარებელზე გორაობა! მაგრამ მელაკუდამ რა დააშავა? ალბათ, მასაც მოსწონდა თავისი ფუმფულა კუდი...

ცხოველთა დამცველები მიხვდნენ, რომ საბოტაჟით ვერაფერს გახდებიან. ამის ნაცვლად მათ ახალი მოდის დანერგვა აქვთ გადაწყვეტილი. მათი დევიზი ასეთია: "ლატექსი ტყავის ნაცვლად!" სხვა თუ არაფერი, მის მოსაპოვებლად არავის გატყავება არაა საჭირო.

სკანვორდი



TV პროგრამა

11 თებერვალი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეიპუცები" **09.40** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **23.00** ღამის კურიერი **00.05** მხ. ფილმი "ინტუიცია". მთ. რ-ში: ჯონ კიუსაკი, კეიტ ბეკინსეილი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "მუშკეტერები ოცი წლის შემდეგ" მე-4ს. **11.45** დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **12.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** ზღვარი **15.15** მხ. ფილმი "დაკარგულ ბავშვთა სამყაროში" **17.05** დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **17.20** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** ენერგია **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** "არტე" წარმოგიდგენთ **21.50** "მათი შვილები" **22.30** სერიალი "ჩემი ამერიკელი ბიძა" **23.45** მხ. ფილმი "ამფეთქებელი"

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "ჰალკი" მთ.რ-ში ერიკ ბანა, ჯენიფერ კონელი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "გველის ტყავი" მთ.რ-ში მელანი ლინსკი, ბონდ კესტნერი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **11.00** მხ. ფილმი **13.25** მხ. ფილმი **15.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **15.10** მხ. ფილმი **18.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **19.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "ლამარკის უკანასკნელი საქმე" (რობერტ დე ნირო) **23.45** მხ. ფილმი "ეკვილიბრიუმი" (კრისტიან ბეილი)

მეორე არხი

19.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **19.35** კინოსეანსი "ანთიმოზ ივერიელი" **21.00** და არს მუსიკა **21.20** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი "ანთიმოზ ივერიელი"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ფორესტ გამპი" **14.30** მხ. ფილმი "კერკეტი კაკალი 2" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "მაიკლი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ყბები" **00.30** მუსიკა

იბერია

08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** მხ. ფილმი "მერცხლების ბულვარი" **12.15** სილუეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 13.30** დოკ. ფილმი **14.50, 18.30, 21.50, 23.30, 01.05** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "მარი მარმეი" **17.30** მულტფილმი **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** მხ. ფილმი "სტარტაფის შთამომავლობა" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "მოახლე ტიტანიკიდან"

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 17.50, 19.40, 20.20** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "ვინ ესროლა პეტს?". **14.00** მულტფილმი "მარკოს და ჯინის თავგადასავალი" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **16.00** სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ზღვარზე" **17.00** მხ. სერიალი "ზებუნებრივი სამყარო" **18.00** მულტფილმი "კონკია" 1-ლი ს. **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** ქართ. ფილმი "სამანიშვილის დედინაცვალი" **01.00** მხ. ფილმი "ვარსკვლავური ომები" (ჰარისონ ფორდი)

იმედი

07.00, 10.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 17.20, 00.20** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.10** არხის პროფილაქტიკა **15.15** მხ. ფილმი "კანონგარეშე" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.05** ქრონიკა **17.25** ლარის მახე **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** არტ-ბულვარი **22.50** მხ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა"

არხი

08.00 მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** ისტორიული ფილმი "ნაპოლეონი" 1 ს. **11.05** დოკუმენტური ფილმი **12.20** კომედია "რისხვის მართვა" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია "რისხვის მართვა" (გაგრძ.) **14.10** მელოდრამა "პრინცესა ფეტვის მარცვალზე" **16.20** მულტფილმი "პიტერ პენი-2" **17.30** სათავგადასავლო ფილმი "რობინზონ კრუზო" **19.30** მხატვრული ფილმი "ანა და მეფე" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20, 02.55, 05.30** მუსიკა **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** ფილმი-კატასტროფა "მთიელი" **03.25** მხატვრული ფილმი "სახელმწიფოს მტერი"

1 ОРТ

07.00 "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Сериал "Следующий" 11.20, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Диснейклуб: "Чудеса на виражах" **13.20 Худ.фильм "Рукопись академика Юрышева" 15.00** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.30** "Смехопанорама" **20.50 Сериал "Моя граница" 22.00** "Время" **22.35 Сериал "Следующий" 23.40** "Тайны века". "Челюскин". Обреченные на подвиг" **00.25 Футбол.** Сборная России - Олимпийская сборная Японии. Пер. из понии. В перерыве - Ночное "Время" **02.30 Комедия "Шафер" 04.20 Худ.фильм "Биодом"**

РТР

06.00 "Доброе утро, Россия!" **09.45 Сериал "Подари мне жизнь" 10.50** "Короткое замыкание" **11.50, 14.45, 17.25, 01.15** "Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** "Что хочет женщина" **13.50 Сериал "Вокзал" 15.30** "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Кобра. Антитеррор". "Обратный отсчет" 19.00 Сериал "Спас под березами" 19.55 Сериал "Тайны следствия 2. Суббота. 15 часов" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55 Сериал "Подари мне жизнь" 23.00 Сериал "Вокзал" 00.00** "Вести+" **00.20** "Последний солдат. Афганистан" **01.30 Худ.фильм "Контракт со смертью" 04.00** "Дорожный патруль" **04.20** "Агентство одиноких сердец" **04.40 Сериал "Ангелы Чарли"**

НТВ

07.00 "Утро на НТВ" **09.50 Сериал "Я все решу сама" 11.00** "Сегодня утром" **11.25** "Кулинарный поединок". А.Васильев - О.Орлова" **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.00** "Сегодня" **13.35 Детектив "Особо опасные..." 15.35** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Протокол" **20.40 Премьера "Стилет", 7 с. 21.50 Сериал "Я все решу сама", 7 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.45 Сериал "Без следа: Экстремист" 00.50 Сериал "Стилет"**

უფრთხილდით კიბოს!

ვარსკვლავები ასეთ პირად თემებს საკმაოდ იშვიათად ეხებიან ხოლმე. მსახიობი ნიკოლ კიდმანი განსაკუთრებით მამაცი აღმოჩნდა: მან აღიარა, რომ მკერდის კიბოს ეჭვი ჰქონდა. ამის გამო მან იანვარში, ლოს ანჯელესის ერთ-ერთ საავადმყოფოში გამოკვლევა გაიარა. როგორც ჩანს, კლინიკაში მისული ვარსკვლავი რეპორტიორებმაც შენიშნეს და ისიც კი მოახერხეს, რომ მის სამედიცინო დასკვნას შეავლეს თვალი.

მას შემდეგ ნიკოლს მრავალი "მზრუნველი" ჟურნალისტი ურეკავდა, ისინი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით იყვნენ დაინტერესებული. იმის შიშით, რომ მისი ავადმყოფობის ამბით ჟურნალ-გაზეთების გარეკანებსაც ააჭრელებდნენ, ნიკოლმა ყველას გულმოდგინედ აუხსნა, რომ მკერდში რაღაცა აღმოუჩინეს, რაც უფრო გულდასმით გამოკვლევას მოითხოვდა. "ამ ტესტის პასუხები მივიღე. მითხრეს, რომ ყველაფერი წესრიგშია," განაცხადა ახლა კიდმანმა.

მსახიობი ყველა ქალს ურჩევს, პროფილაქტიკური გამოკვლევები ჩაიტარონ ხოლმე. თავად მას გადაწყვეტილი აქვს, ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებას.

მილიონები "ემოციური ტკივილისთვის"

პერის ჰილტონი - მილიონერთა შთამომავალი

პერის ჰილტონი პანამურ ინტერნეტ-ფირმას, "კაპატანის" უჩივის. მისი თქმით, ფირმამ მას "სერიოზული ეკონომიკური, ემოციური და სხვა ზარალი" მიაყენა. ამ ფირმამ პერისის დაუკითხავად მოიპოვა და გაამრავლა ვიდეოჩანაწერი, სადაც ის თავის ყოფილ მეგობართან, რიკ სალომონთან სექსითაა დაკავებული. სარჩელში ნათქვამია, რომ "კაპატანიმ" ჩანაწერი უკანონო გზით ჩაიგდო ხელში და მისი წყალობით გამდიდრების იმედი ჰქონდა.

22 წლის მილიონერების მემკვიდრე მისთვის მიყენებულ ზარალს 15 მილიონ დოლარად აფასებს. პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევის გამო მან სარჩელი ლოს ანჯელესის სასამართლოში შეიტანა.

სასიყვარულო თამაშების ამსახველი ფირი ინტერნეტ-გვერდზე შემოკლებული, ცუდი ხარისხის ვერსიის სახითაა წარმოდგენილი. უნდა ითქვას, რომ სრული ვერსიის ხელში ჩაგდება და ინტერნეტში გაშვება მანამდეც მრავალ ფირმას უცდია, მაგრამ პერისის შიში მაინც ჰქონდათ. "კაპატანი" ყველაზე თავხედი აღმოჩნდა. ამ ფირმას მომხდართან დაკავშირებით ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია.

არადა, თავად პერისსაც უჩივიან. მოსარჩელე, არც მეტი, არც ნაკლები, მისი ყოფილი პარტნიორი, რიკ სალომონია. ის აცხადებს, რომ ჰილტონმა ჩანაწერი თვითონ გაავრცელა, რომ თავის სამსახიობო კარიერისთვის შეეწყო ხელი, და მორალური ზარალის ანაზღაურებას – ათ მილიონ დოლარს სთხოვს.

დაიანა გისოსებს მიღმა

ამერიკელ ვარსკვლავს, დაიანა როსს, ორი დღით საპყრობელეში უკრეს თავი. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ 59 წლის მომღერალი მეტისმეტად დათვრა და ერთ კარგ საღამოს მეტისმეტად კარგი დრო გაატარა.

დაიანა მაშინ დააკავეს, როცა ის გზატკეცილზე მოძრაობის საწინააღმდეგო მომართულებით მიაქროლებდა მანქანას. როცა მისთვის ალკოჰოლის ტესტის ჩატარებას ცდილობდნენ, ის კინაღამ სიცილით მოკვდა და საბოლოოდ, ძირს დაეცა.

განაჩენით გათვალისწინებული ვადა დაიანამ მარტის დასაწყისამდე ლოს ანჯელესში უნდა მოიხადოს. არიზონას შტატის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას თავისუფლების აღკვეთის გარდა, 850 დოლარი ჯარიმა და ალკოჰოლიზმის იძულებითი მკურნალობაც მიუსაჯეს.

სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გთავაზობთ ხარისხის მოსაბოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბროდვეიზე, ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ეკონომიკურ-ფინანსურ ინფრასტრუქტურაშია თავმოყრილი. პროგრამაში ბაკალავრის ხარისხის მოსაბოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაბოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამაში ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღი 2004 წლის 3 აპრილი.

MBA — მარკეტინგი / ფინანსები / IT; ელექტრონული კომერცია / HRM; პროექტის მენეჯმენტი

MSc — საინფორმაციო ტექნოლოგიები; კომპიუტერული სისტემის ინჟინერია; ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი £3950 სანგრძლივობა 15.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაბოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 6950.

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, მაჩვეის 2, სადარბაზო 1, ოფისი 1.
ტელ; 253045, 230284 მობ. 893-352067
E-mail: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისებული მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის № 72 ტელ:29-48-61

ნდობის ტელეფონი
კონსულტანტები ინტიმი

822 009 005
მობილური 80თ
თბილისი 50თ

18 წლიდან

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.